23 ნოემბრის არჩევანი A3 | რეფორმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში A8 | ფოსტა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 24 ნოემბერი, 2004 წელი. №279 (828) | ფასი 50 თეთრი

# კურთხევის დღე




აღსრულდა. საქართველოს დედაქალაქში, ელიას მთაზე წმინდა სამების სადიდებელი გვირგვინი დაიდგა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## გიორგობა უკრაინაში

თამარ მჭედლიშვილი

*კიევი. დამოუკიდებლობის მოედანი, შეყვარებული წყვილი. გოგონას სტაფილოსფერი კაშნე უკეთია, ყმაწვილს - ლურჯ-თეთრი. ორივე იღიმება. სულ რაღაც წამებში ბიჭი გოგონას ეამბორება - ეს ფოტოსურათი არჩევნების მეორე დღესვე, ერთ-ერთი პროსახელისუფლებო გაზეთის, "კიევსკიე ვედომოსტის" პირველ გვერდზე დაიბეჭდა. მარჯვენა კუთხეში ამ ფოტოსურათს კი ასეთი მინაწერი ამშვენებდა - "კენჭისყრის შემდეგ სრულდება პოლიტიკური ბრძოლა და ყველა სამშობლოს საკეთილდღეოდ იწყებს შრომას". ასეთი მშვიდი განწყობა სხვა სახელისუფლებო გაზეთების ფურცლებიდანაც იფრქვეოდა. ერთი სიტყვით, ის, ვისაც კენჭისყრის მეორე დღეს უკრაინული გაზეთების გადაფურცვლის საშუალება მიეცა, აშკარად გაკვირვებული დარჩებოდა - უკრაინის ბეჭდვით მედიას, სრულიად შეგნებულად, ობიექტურად არ გაუშუქებია ის მოვლენები, რომელიც 21 ნოემბერს, მთელი დღის განმავლობაში კიევში და მთელ უკრაინაში ვითარდებოდა. გაზეთებმა და ტელეარხებმა არც იმაზე გაამახვილეს ყურადღება, რომ საარჩევნო უბნების დახურვისთანავე, კიეველთა უმრავლესობა დამოუკიდებლობის მოედანზე გაემართა და ვიქტორ იუშენკოს მხარდამჭერ მრავალათასიან მიტინგში მიიღო მონაწილეობა. "ჩვენთან მედიას კუჩმას ქალიშვილი, მისი მეუღლე, ასევე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სერგეი ტიგიპკო აკონტროლებენ. ამას არც ვმალავთ. ერთადერთი დამოუკიდებელი მედიასაშუალება მეხუთე არხია, რომელსაც ყველაზე მეტი აუდიტორია ჰყავს," - ეს იმ უკრაინელ ჟურნალისტთა სიტყვებია, რომლებსაც კენჭისყრის დღეს, უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გავესაუბრეთ. და მაინც, იმ ჟურნალისტთა უმრავლესობამ, რომელიც სწორედ ამ გაზეთებსა თუ ტელეარხებზე მუშაობს, ხმა ვიქტორ იუშენკოს მისცა.*

გაგრძელება A5 გვერდზე

## უსისხლო რევოლუციის მოლოდინში

ხათუნა გაბიევი

გუშინ, თბილისის დროით დაახლოებით 21:40 საათზე დასავლურ ფასეულობებზე ორიენტირებული მოსახლეობა, კონკრეტულად კი ვიქტორ იუშენკოს მომხრეები უკვე პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან იმყოფებოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ მოლაპარაკებათა შედეგებს. ადმინისტრაციის შენობაში კუჩმას ადმინისტრაციის წარმომადგენელთან მოლაპარაკებას ვიქტორ იუშენკოს თანამოაზრეები აწარმოებდნენ, უცნობი იყო თავად იუშენკოს ადგილსამყოფელი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამ დროისათვის შენობაში არ იმყოფებოდა ლეონიდ კუჩმა. მოვლენები ელვის სისწრაფით მას შემდეგ განვითარდა, რაც უმაღლეს რადაში საგანგებოდ მოწვეული სხდომა ვიქტორ იუშენკოს მიერ საპრეზიდენტო ფიცის დადებით დასრულდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

### ამინდი

| | 24/11 | 25/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | 8 |
| ქუთაისი | 11 | 11 |
| ბათუმი | 9 | 8 |
| სოხუმი | 3 | 8 |
| ფოთი | 9 | 8 |
| თელავი | 6 | 6 |
| ზუგდიდი | 9 | 11 |
| გორი | 5 | 4 |
| ახმეტა | 6 | 7 |
| ჭიათურა | 8 | 7 |
| გაგრა | 1 | 7 |
| სამტრედია | 11 | 10 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3180 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.2978 |
| რუბლი | 0.0624 |

# ის, რასაც არ დავთმობთ



ჩვენთვის უკრაინის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია.

ბესო გულაშვილის ფოტო

მაია ჭალაგანიძე

*უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ერთადერთი, რითიც მოუწყობელი და კორუფციული ქვეყნის მოქალაქეებს გვანუგეშებდნენ, სანაქებოდ წარმოებული საგარეო პოლიტიკა იყო. ამ პოლიტიკას წინა პრეზიდენტის პიროვნება განაპირობებდა და არა ქვეყნის საგარეო სტრუქტურა. ხელ-ფეხშებორკილი, დაუფინანსებელი საელჩოები დაშტამპული განცხადებებით შემოიფარგლებოდნენ და საგარეო საქმეთა მინისტრებიც ვერ სცდებოდნენ პროტოკოლურ ჩარჩოებს.*

*შიდა პრობლემები აწყობილ საგარეო ურთიერთობებს რომ არ გულისხმობს, ერთი წლის წინ დავინახეთ, როდესაც უცხო, მაგრამ მეგობარმა ქვეყნებმაც დაუჭირეს მხარი ჩვენს შიდა ცვლილებებს. საგარეო პოლიტიკის ცვლილებები რევოლუციურ ტემპებს არ ექვემდებარება, მაგრამ რადიკალურ გარდატეხებს ნამდვილად საჭიროებს.*

*ის, რასაც საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი მოითხოვს, გაწონასწორებული დიპლომატებისთვის, ჩვენი საელჩოებისთვის, სრულიად ახალი და, შეიძლება ითქვას, რევოლუციურიც არის – ინიციატივები, დაუყოვნებლივი და მკვეთრი რეაქციები იქ, სადაც საჭიროა, მეგობრების მოძიება იქ, სადაც არ გვყავს და მტრების შემცირება იქ, სადაც ისინი მოგვეპოვებიან. და რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დამოუკიდებლად, მინისტრთან ყოველდღიური თათბირების და მისი ინსტრუქციების გარეშე.*

*საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საგარეო პოლიტიკის ახალ ამოცანებზე საუბრობს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი.*

გაგრძელება B1 გვერდზე

## მიწა ისევ "ფეოდალების" ხელშია

*ბოლო ერთ წელიწადში "მამალაძის საფაშოდ" ცნობილ ქვემო ქართლში ყველაფერი თითქმის ისევეა, როგორც რევოლუციამდე იყო.*

მაია მოსიაშვილი

"ვარდების რევოლუციის" წლისთავს გუბერნატორ მამალაძისგან გათავისუფლებული ქვემო ქართლი ძველი პრობლემებით ხვდება. ახალი ხელისუფლების მთავარი დაპირება - უკანონოდ გასხვისებული ასეულობით ჰექტარი მიწის ხალხისთვის გადანაწილება - ისევ დაპირებად დარჩა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მარნეულის რაიონში.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, უკლებლივ ყველა "პატარა ფეოდალმა" უკან დაიბრუნა და სასამართლოს გადაწყვეტილებით საბოლოოდ დაიკანონა სადავო მიწები. ალგეთში, ხიხანში და სხვა სოფლებში ლამის ხალხისთვის გადაცემული ნაკვეთები ისევ ძველმა პატრონებმა დაამუშავეს.

**"აქ არის მთელი ჯგუფი, რომელიც უმსგავსობებს აკეთებს მიწასთან დაკავშირებით. ხალხი დაზარალდა და მშიერი დარჩა,"** - ასეთია ამ საკითხზე ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის იოსებ მაზმიშვილის კომენტარი.

ქვემო ქართლის იმ რაიონებში, რომლებიც ძირითადად აზერბაიჯანელებითაა დასახლებული, ჩინოვნიკები კვლავაც იღებენ ქრთამს.

- ქრთამის აღებისთვის თუ დაგიჭერიათ ვინმე?

- არა...

-რა, არ არის მარნეულში ქრთამი?

გაგრძელება A2 გვერდზე

## რევოლუციის წლისთავზე ქუთაისში მხოლოდ მმართველობა შეიცვალა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

რევოლუციის წლისთავს იმერეთი მშვიდად შეხვდა. მათ ვისაც შუქი ჰქონდა, შინ იჯდა და საზეიმო ღონისძიებებს ტელევიზიით ადევნებდა თვალს. ქალაქის მოქეიფე და უმუშევარ ნაწილს კი (ასეთები ქუთაისში მრავლად არიან) რევოლუციის წლისთავისა და გიორგობის სახით, მყარი არგუმენტები მიეცა, მამაპაპურად კიდევ ერთი მოლხენისათვის. ადგილობრივი ხელისუფლება კი დღის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობით იყო გართული.

რწუნებული გია გეწაძე და ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გია გიორგაძე, თავდაპირველად, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ახალი სპორტული მოედნის გახსნას დაესწრნენ. შემდეგ კი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში სამუსიკო და ქორეოგრაფიული სასწავლებლების მიერ ორგანიზებულ კონცერტზე გადაინაცვლეს. საღამო ხანს ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე ახალი საათის პრეზენტაცია მოეწყო. აღნიშნულ ადგილზე დიდი საათი ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში იდგა და დროს, იმ ეპოქის დასრულებამდე, უნაკლოდ აჩვენებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ კი საათის მექანიზმი გაფუჭდა, კორპუსი ჯართში ჩააბარეს. რევოლუციის წლისთავზე აღნიშნული საათის აღდგენა, რა თქმა უნდა, სიმბოლური გახლდათ, რაც მოსახლეობამაც შესაბამისად შეაფასა. **"ამ საათმა ახალი ეპოქის ათვლა უნდა დაიწყოს,"** - განაცხადა

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეფორმა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ფოსტა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## რუდოლფუს ლუბერსი: საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს

### გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი პანკისელი ჩეჩნების ბედით არის დაინტერესებული



ირაკლი ლეჟავა (?) ფოტო

გაერო-ს კომისრის გეგმებში ამინდმა კორექტივები შეიტანა.

გუშინ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი რუდოლფუს ლუბერსი დახურულ კარს მიღმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს შეხვდა. დიალოგის დასრულების შემდეგ მინისტრმა ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ამ ეტაპზე განსაკუთრებით არის დაინტერესებული პანკისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების ბედით და რუსეთის დამოკიდებულებით ჩეჩენი ლტოლვილებისადმი. **"ბატონ ლუბერსს ჩვენგან სურდა, გაეგო რუსეთის დამოკიდებულება ამ ადამიანებისადმი. რას შეიძლება ველოდოთ რუსეთისაგან იმ 2800 ჩეჩენ ლტოლვილთან მიმართებაში, რომლებიც პანკისში ცხოვრობენ,"** - დასძინა სალომე ზურაბიშვილმა.

რუდოლფუს ლუბერსი პანკისელ ლტოლვილებს გუშინ თბილისში შეხვდა. თავდაპირველად, გაერო-ს უმაღლესი კომისრის ვიზიტი პანკისის ხეობაში ვითარების ადგილზე გაცნობას ითვალისწინებდა. უამინდობის გამო, კომისრის პანკისში სტუმრობა ვერ მოხერხდა და ჩეჩენმა ლტოლვილებმა თავად გამოგზავნეს წარმომადგენლები პანკისიდან. ლტოლვილებთან შეხვედრის შემდეგ, გაერო-ს უმაღლესმა კომისარმა ქართველ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და საგანგებოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია, ნებისმიერ ჩეჩენ ლტოლვილს ვუწოდოთ ტერორისტი, თუ არ დამტკიცდება მისი მონაწილეობა ამა თუ იმ ტერორისტულ აქტში.

რაც შეეხება პანკისელი ჩეჩნების გადაყვანას ე. წ. მესამე ქვეყანაში, რუდოლფუს ლუბერსის განმარტებით, გაერო-ს უმაღლესი კომისარიატი განიხილავს ამ საკითხს და წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ გარკვეული შეზღუდვები არსებობს. კერძოდ, ლუბერსის თქმით, მიმღები ქვეყანა თავად ირჩევს კონკრეტულ ოჯახს და, აქედან გამოდინარე, ფაქტობრივად, ყველაფერი ამ ქვეყანაზეა დამოკიდებული. როგორც ლუბერსი-ზურაბიშვილის შეხვედრაზე გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, ამ ეტაპზე ძირითადი მიმღები ქვეყანა არის პოლონეთი, სადაც უამრავი ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს.

გაერო-ს უმაღლესი კომისრის ვიზიტი აფხაზეთში მის გამგზავრებასაც ითვალისწინებდა, მაგრამ აფხაზეთში ამჟამად არსებული დაძაბული ვითარების გამო, ლუბერსის სოხუმში ვიზიტი ჩაიშალა. კომისარი ცხინვალის რეგიონში გაემგზავრება. დღეისთვის დაგეგმილია მისი შეხვედრა კოკოითთან. რუდოლფუს ლუბერსმა გუშინ პრესას განუცხადა, რომ **"საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება",** რათა სამხრეთ ოსეთში სიტუაცია დარეგულირდეს და იქაური დევნილები თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდნენ.

*ვერიკო თევზაძე*

## ტერორისტი ქარი

მაია ურუშაძე

ქარის ამოვარდნისთანავე დენი რომ გაითიშა, ამაში უცნაური არაფერი ყოფილა. ალბათ, თბილისში აღარ დარჩა ოჯახი, რომელსაც საგანგებო ახსნა-განმარტება დასჭირდებოდა იმისათვის, რომ უშუქობაში მთავრობა, პარლამენტი, უშიშროება ან ენერგეტიკის მინისტრი კი არა, მხოლოდ ქარი დაედანაშაულებინა. ალბათ ამიტომ, ჩემს რედაქტორს ერთხელაც არ უკითხავს, რა მოხდაო, როცა შუა მუშაობაში, რედაქციას დენი რამდენჯერმე ზედიზედ გაეთიშა.

მეორე მხრივ, დენის გარეშე დარჩენილ სახლებში თუ ოფისებში ძალიან ციოდა და სულ არ იყო საინტერესო, ვისი ბრალი იყო, რომ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე სინათლე ჩაქრა.

მალე გავიგეთ, რომ, თურმე, ჯერ "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ერთი-ორი ანძა ქარმა წაიღო და ნახევარი საქართველო ჩააბნელა, მერე დიდუბის ქვესადგურში "თელასის" ტრანსფორმატორი გაუჯიუტდა, მერე ერთი-ორჯერ სომხეთთან მაკავშირებელი "ალავერდის" ავტომატურმა ამომრთველმა იმუშავა და ელექტროგადამცემი ხაზი "პროფილაქტიკის მიზნით" გამორთო, რეგიონებში კი ენერგომეურნეობა ისე დაზარალდა, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ბრიგადებს ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდათ – დაზიანებიდან დაზიანებისკენ დარბოდნენ. პერიოდულად დენის ხაზებს ქარი ისე უტევდა, რომ ენერგეტიკოსთა ბრიგადები მთელი დღე კატასტროფის მოლოდინში შეჰყურებდნენ ჰაერში მოქანავე, ჯერჯერობით გადარჩენილ სადენებს.

ენერგეტიკული თვალსაზრისით, ჩვენი ელექტროსისტემისთვის ქარი მართლაც ყველაზე საშიშია: მთელი საქართველოს ელექტრომომარაგება ახლა სულ რამდენიმე ხაზზე – რუსეთთან მაკავშირებელ "კავკასიონზე", სომხეთთან მაკავშირებელ "ალავერდსა" და "ქართლი-1 – ქართლი-2 – იმერეთი"-ს მაგისტრალურ ჯაჭვზე, ანუ "საქრუსენერგოზე" ჰკიდია. "კავკასიონზე" წაქცეული ერთი ანძა ხომ კრიზისის გამწვავებას, ჰიდრორესურსების უყაირათო ხარჯვას და უშუქოდ გატარებულ რამდენიმე ცივ დღეს ნიშნავს.

ყველაზე ძნელი, ალბათ, სტიქიის მიერ დაზიანებული მეურნეობის აღდგენა იქნება. უკვე მივეჩვიეთ, რომ ამ საქმეს ორი-სამი დღე, უარეს შემთხვევაში კი (თუ "კავკასიონი" რუსეთის ტერიტორიაზე ან განსაკუთრებით მიუდგომელ, მაღალმთიან რაიონებში ზიანდება), ერთი-ორი კვირა სჭირდება ხოლმე.

ასე რომ, თუ გუშინდელ დღემდე ენერგოსტრუქტურები თავს იწონებდნენ, ზამთრისთვის კარგად მოვემზადეთო, გუშინ უკვე შიშით შესცქეროდნენ ამინდის პროგნოზს: "რა დროს ეს ქარი იყო. ოღონდ ახლა ამ სტიქიას გადავურჩეთ და რაღა გვიჭირსო".

უარესი ზამთრებიც გადაგვიტანია, მაგრამ გუშინ, ცოტა არ იყოს, შეგვეშინდა. ამ ქარს თოვლი და სიცივეც რომ მოჰყვება თან, მერე?

## მიწა ისევ "ფეოდალების" ხელშია

პირველი გვერდიდან

- მარნეულში ქრთამი იმდენია, რომ...

ასეთი დიალოგი გაიმართა რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის რწმუნებულსა და რაიონის პროკურორს შორის, როდესაც ეს უკანასკნელი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას აპირებდა.

ამ რეგიონის არაქართულ მოსახლეობაში კვლავ ყველაზე არაპოპულარული ენა ქართულია. ჩვენი კანონმდებლობით, სახელმწიფო თანამდებობის პირები ვალდებული არიან, სახელმწიფო ენა იცოდნენ. მიუხედავად ამისა, ახალმა ხელისუფლებამ თანამდებობებზე დანიშნა ან დატოვა საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც არც კი ცდილობენ, სახელმწიფო ენაზე ისაუბრონ. უფრო მეტიც, მარნეულის გამგებლის მოადგილე ტოფიკ გაჯიევი ირწმუნება, რომ ქართული ენის მასწავლებლებს, მისი აზრით მისიონერებს, თავინთი მისიის შესრულე-



მაია მოსიაშვილის ფოტო

*"აქ არის მთელი ჯგუფი, რომელიც უმსგავსობებს აკეთებს მიწასთან დაკავშირებით," - ასეთია ამ საკითხზე ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის იოსებ მაზმიშვილის კომენტარი.*

ბა არ უწერიათ.

დღესაც, ისევე როგორც ადრე, არავინ იცის რამდენი ბავშვი იბადება აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში. ქალები სახლებში ჩუმად მშობიარობენ და ასეულობით ბავშვი სრულწლოვანი ისე ხდება, რომ დაბადების მოწმობა არ აქვთ აღებული.

ბოლნისელები კვლავ ძველებურად ითხოვენ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას, რომელსაც მათ იქაური ოქროს წარმოება უქმნის.

დმანისში კვლავ ჭრიან ხეტყეს, იპარავენ საქონელს და სომხეთში გადაჰყავთ, რადგან საზღვარი იქ ისევ გაუკონტროლებელია.

გარდაბნელები ახალ ხელისუფლებას "თბილსრესის" გაწირვაში ადანაშაულებენ. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში "სრესის" რამდენიმე ენერგობლოკის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი მიზნობრივი გრანტი - 6 მილიონი ევრო - ელექტროენერგიის ერთჯერად შესყიდვაზე დაიხარჯა. დღეს უშუქოდ დარჩენილი გარდაბნელები გზებს კეტავენ, საპროტესტო აქციებს აწყობენ და ახალ ხელისუფლებას ძველის გზას უყენებენ.

ამას ემატება რაიონებში უკვე გაერთიანებულ ნაციონალებსა და დემოკრატებს შორის შიდაპარტიული დაპირისპირებები, მხარის რწმუნებული კი, ხან ერთ ჩინოვნიკს ათავისუფლებს თანამდებობიდან, ხან მეორეს, თუმცა უშედეგოდ - ისინი კვლავ თავიანთ სკამებზე სხედან. სამაგალითოდ ერთ ფაქტიც კმარა: მაზმიშვილმა ჯერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში საჯაროდ განაცხადა, რომ მარნეულის გამგებელი ამირან შუბითიძე თანამდებობიდან წავიდა, რადგან "ის ძველ კადრებს ვერ ელეოდა". შუბითიძე დღესაც გამგებელია, მაზმიშვილი კი ერთი თვეა, პრეზიდენტს არ დალაპარაკებია.

## რევოლუციის წლისთავზე ქუთაისში მხოლოდ მმართველობა შეიცვალა

პირველი გვერდიდან

ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმა გამვლელმა. საღამო ხანს კი ოთარ რამიშვილისა და სხვა შემსრულებლების კონცერტი მოეწყო. ამით რევოლუციის წლისთავის ოფიციალური ნაწილი ამოიწურა...

გუშინ ქუთაისში იმაზეც ბევრს საუბრობდნენ, თუ რა შეიცვალა ერთი წლის განმავლობაში. განვლილი წლის შეფასებისას მოსახლეობის ნაწილი, ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი, ნაწილი კი საერთოდ დუმილს ამჯობინებს. ახალი ხელისუფლების მომხრეებიც ბლომად არიან, თუმცა ისინი, რატომღაც, ადგილობრივის ნაცვლად, ცენტრალური ხელისუფლების მიღწევებით იწონებენ თავს. **"საქრთველოში ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, ბიუჯეტი სრულდება. პენსიისთვის, მართალია, საათობით რიგში ყოფნა მიწევს, მაგრამ მაინც დროზე მაძლევენ, ახლა იმასაც გვპირდებიან, გაგიზრდითო. საპატრულო პოლიცია შემოიღეს, ჯარს მეტ ყურადღებას აქცევენ, მეტი იმედი გაჩნდა,"** - ამბობს პენსიონერი მიხეილ ვაშაყმაძე, თუმცა მასაც უჭირს, დაასახელოს დადებითი შედეგი, რომელიც მან ქუთაისის მაგალითზე იგრძნო.

საქმე ისაა, რომ რევოლუციის წლისთავი იმერეთში ენერგოკრიზისის დაწყებას დაემთხვა, ქუთაისის ზოგიერთ უბანს შუქი დღეში მხოლოდ ორი-სამი საათის განმავლობაში მიეწოდება. ამ მხრივ პრივილეგირებულ უბნებშიც კი დენი საღამოს ექვსიდან 10-11 საათამდეა. 22 ნოემბერს, უკვე მეხუთე დღე შესრულდა, რაც ქალაქის ძირითად ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა. აღნიშნულის მიზეზად წყალსაქაჩი სადგურებისთვის დენის მიუწოდებლობა სახელდება. არადა, იმერლებს კარგად ახსოვთ პრემიერ მინისტრის მიერ დაპირებული მინიმუმ 18-საათიანი გრაფიკი. თუმცა არც წყლის მოსვლაა ქუთაისელებისათვის მაინცდამაინც დიდი შეღავათი. თუკი ონკანიდან სასმელ წყალს რომელიმე უნიკალური ჯიშის ჭია არ გამოჰყვა, მისი დალევა, სპეციალისტების განმარტებით, 2-3 საათის განმავლობაში მაინც არ არის რეკომენდირებული. შუქი და წყალი - ეს არის ქუთაისის ორი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ხელისუფლებისადმი სიმპათია-ანტიპათიის ძირითადი განმსაზღვრელია.

**"შარშანდელთან შედარებით, შუქისა და წყლის მხრივ არაფერი გამოსწორებულა. შუქს მოგვცემენ, წყალი არ არის, წყალი მოვა და შუქი მიდის, რის გამოც სასმელი წყლის ზედა სართულებზე ატანა ხელით გვიწევს. ხომ შეიძლება, რაღაც გრაფიკი დაგვიწესონ, რომ გავიგოთ, როდის გვექნება დენი და წყალი,"** - ამბობს უწყლობით შეწუხებული დიასახლისი მაგდა მექვაბიშვილი.

პოლიტიკურად, განვლილი წელიწადი ქუთაისისთვის მეტად დატვირთული იყო. მთლიანად შეიცვალა ქუთაისის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის შემადგენლობა. მართალია ვარდების რევოლუციის პერიოდში ქუთაისი განსაკუთრებული აქტივობით არ გამოირჩეოდა (მერიის წინ რამდენიმე ასეულ ადამიანს ძლივს უყრიდნენ თავს), მაგრამ რევოლუციის შემდეგ ქუთაისელებმა ჯერ წინა ხელისუფლების მხარდამჭერი მერი ნუგზარ ფალიანი გადააყენეს. გუბერნატორ დავით მუმლაძის პერიოდს უკავშირდება ცნობილი კრიმინალების აყვანა, ქალაქიდან "კანონიერი ქურდების" განდევნა.

ბონდო შალიკიანმა დათო მუმლაძეს ძღვნად ახალი სამუშაო სკამიც მიართვა, მაგრამ შალიკიანის დაკავებას სწორედ აღნიშნული სკამის ოთახიდან გამოძევება უძღოდა წინ. საბოლოოდ, სკანდალურად ცნობილ ბიზნესმენს სამ მილიონამდე ლარის ოდენობით ნაღდი ფული და ქონება "ნებაყოფლობით" დააბრუნებინეს ხალხისთვის. უფრო იაფად გამოვიდა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბენიძე, რომელსაც თანამდებობრივ გულგრილობასა და სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების გადამეტებაში 300 000 ლარი გაადახდევინეს. აღნიშნულის შემდეგ, მიუხედავად გართულებული კრიმინალური ვითარებისა, ხმაურიანი ოპერაციები იმერეთში არავის უნახავს. არადა რევოლუციის წლისთავზე ქუთაისში კრიმინოგენული ვითარება კვლავაც მძიმე რჩება.

დაახლოებით ორი თვის წინ კი იმერეთში ახალი რწმუნებული გია გეწაძე დაინიშნა. პირველი, რაც მან გააკეთა, დათო მუმლაძის მოფარღალალებული კაბინეტზე კარებების ჩამოკიდება იყო, რის შემდეგაც ქუთაისელები მას სადმე აქციის დასაშოშმინებლად მისულს თუ მოჰკრავდნენ თვალს. ადგილობრივი ტელევიზიითა და პრესით მისი გამოჩენა იშვიათი მოვლენაა. მიუხედავად გარკვეული კარჩაკეტილობისა, გეწაძის შესახებ იშვიათად გაიგონებთ კრიტიკას. აღნიშნულ ფაქტს ახალი რწმუნებული იმერლებისგან ავანსის მიცემით ხსნის.

ერთი სიტყვით, რევოლუციის წლისთავზე იმერეთში სრულად მხოლოდ მმართველი ელიტა შეიცვალა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კი თითქმის უცვლელი დარჩა. რაც შეეხება მოსახლეობაში რევოლუციის შემდეგ ჩასახულ იმედს, მნიშვნელოვანი ცვლილებები ერთი წლის შემდეგ არც მას განუცდია.

## თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია

### ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ინსტიტუციური დიალოგის გზა

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისათვის ხელშეწყობის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში ახალი ინიციატივების მხარდაჭერას, უკვე დამკვიდრებული უცხოური გამოცდილების გაზიარებას, ახალი ინიციატივების პროგრამულ ფინანსირებას და ექსპერტულ უზრუნველყოფას.

საქართველოში ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ ის, რომ წელიწადნახევრის წინ ევროსაბჭოს, ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესისა (**CLRAE**) და საერთაშორისო ორგანიზაცია **CIVITAS GEORGICA**-ს ხელშეწყობით, შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ჩამოსაყალიბებლად. სწორედ ამ ორგანიზაციათა ძალისხმევით იქნა უზრუნველყოფილი საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთა წარმომადგენელი 16 კაციანი ჯგუფის (ქალაქების მერები, სოფლების, რაიონების გამგებლები) შეკრება, რომელსაც დაევალა თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ეროვნული ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა. დონორმა ორგანიზაციებმა დიდი დახმარება გაუწიეს სამუშაო ჯგუფს მეთოდური დახმარების, სემინარებზე მივლინებისა და სემინარების ორგანიზების საქმეში. განვლილი პერიოდის მანძილზე სწორედ მათი თანადგომითა და ხელშეწყობით მოეწყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში ათამდე სამუშაო შეხვედრა, რომლებზეც მოწვეული იყვნენ ექსპერტები, კონსულტანტები და დამკვირვებლები. მათივე მხარდაჭერით, სამუშაო ჯგუფის წევრები მივლინებული იქნენ ნორვეგიასა და ლატვიაში, სადაც გარკვეული გამოცდილებაა დაგროვილი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის საქმიანობისა. ამ ორ ქვეყანაში ახლა თვისობრივად სხვადასხვა ტიპის ასოციაცია ფუნქციონირებს, მაგრამ ორივე ფრიად ავტორიტეტულია. მაგალითად, ლატვიაში კანონის მიღებისას აუცილებლად მართავენ კონსულტაციებს ასოციაციასთან და ითვალისწინებენ მის პოზიციას ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის წევრები, ასევე, იყვნენ მივლინებული სტრასბურგში, სადაც ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ორგანოთა კონგრესზე წარდგნენ "საქართველოში თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის შესაქმნელად გაწეული მუშაობის" ანგარიშით.

გვესაუბრება თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ჩამოყალიბების საორგანიზაციო ჯგუფის წევრი, ქალაქ ოზურგეთის გამგებელი ლევან ურუშაძე:

**"ჩემი პრაქტიკული საქმიანობის გადასახედიდან, უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის შექმნა. მის ეფექტიანობაში კი განსაკუთრებით დამარწმუნა ამ ინსტიტუტების მიერ ნორვეგიასა და ლატვიაში ჩატარებული მუშაობის გაცნობამ. ისინი რეალურად მონაწილეობენ ადგილობრივი დემოკრატიის პრინციპების დანერგვაში, ერთგვარი მედიუმის როლს ასრულებენ თვითმმართველობის ორგანოებსა და ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის. ჩვენთან კი ამის დეფიციტს ნამდვილად ვგრძნობთ და ეს ორგანო ფრიად ქმედითი დანაყოფი იქნება ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. გარდა ამისა, აქტიურად შეუწყობს ხელს ჩვენი თვითმმართველობის განვითარებას, ხელისუფლების რეალურ დეცენტრალიზაციას.**

**გარდა ამისა, ასოციაციას პრაქტიკული ამოცანებიც აქვს გადასაჭრელი. კერძოდ: თვითმმართველობაში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი სწავლების სტრატეგიის განსაზღვრა, ფართოპლანიანი საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება, საგამომცემლო საქმიანობის წარმართვა. პრიორიტეტულად, რა თქმა უნდა, დარჩება ხელისუფლებასთან ურთიერთობისას თვითმმართველობის საკითხების ლობირება. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თავად ხელისუფლება არის დაინტერესებული ჩვენთან თანამშრომლობითა და აქტიური დიალოგით.**

**არცთუ უმნიშვნელო ამბავია ისიც, რომ 2002 წლიდან საქართველოს აღარ ჰყავს რეგიონული წარმომადგენლობა ევროსაბჭოში. თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციათა შექმნა, რაც ევროსაბჭოსა და ევროკომისიის მხარდაჭერით, ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის ხელდასხმით ხდება, ერთგვარ დამატებით ბერკეტს წარმოადგენს ევროსაბჭოში ნდობის ფაქტორის აღდგენის, ურთიერთობის მანდატის განახლების თვალსაზრისით".**

ამ ეტაპზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ეროვნული ყრილობის მოსამზადებლად და ჩასატარებლად, ყრილობის დელეგატები აირჩევიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან. თითოეულ რაიონზე კვოტა 7 დელეგატს შეადგენს. ყრილობაზე, რომელიც 2004 წლის 17 დეკემბერს, თბილისში გაიმართება, აირჩევენ ასოციაციის პრეზიდენტს, აღმასრულებელ საბჭოს, დაამტკიცებენ ასოციაციის წესდებასა და პროგრამას.

### მოკლედ

## ლევან ბერძენიშვილი - კრიტიკულად განწყობილი გულშემატკივარი

"საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, "ვარდების რევოლუციის" წლისთავზე საქართველოს მოქმედი ხელისუფლება, "შევარდნაძის რეჟიმის მსგავსად, ხალხის მოტყუებას ცდილობს", ხოლო "ლიდერებს შორის რევოლუციით ყველაზე დაბალრეიტინგულმა ფიგურამ - ზურაბ ჟვანიამ ისარგებლა".

ბერძენიშვილის აზრით, "ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დემოკრატიისა და თვითმმართველობის შემდგომ განვითარებაზე უარი თქვა".

"ნაციონალებისა" და "დემოკრატების" გაერთიანებამ დაადასტურა, რომ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების სერიოზულ განხილვას არ აპირებს და, შევარდნაძის რეჟიმის მსგავსად, მოსახლეობის დაცინვას, აგდებას და მოტყუებას აგრძელებს. განსხვავება ის არის, რომ თუ შევარდნაძის დროს არსებულ პრობლემებზე საუბარი შეიძლებოდა, რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების პირობებში სიტყვის თავისუფლების ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაზეც საერთაშორისო ექსპერტებიც საუბრობენ," - აცხადებს ბერძენიშვილი.

ლევან ბერძენიშვილი ხელისუფლების შეცდომებსა და წარუმატებლობას პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას უკავშირებს. ბერძენიშვილის თქმით, ის და "რესპუბლიკური პარტია" ჟვანიას "არ ენდობიან" და დარწმუნებულები არიან, რომ გაერთიანების შემდეგ, მთავრობის პირველივე წარუმატებლობას სწორედ ზურაბ ჟვანია შეეწირება, რომელიც "ნაციონალებთან" გაერთიანებული პარტიის თან წაყვანას ველარ შეძლებს".

კრიტიკული შეფასებების მიუხედავად, ლევან ბერძენიშვილი ხელისუფლების გულშემატკივრად რჩება და დარწმუნებულია, რომ "სააკაშვილის დამარცხება ქვეყნის დამარცხებას ნიშნავს", რაც "არც მის და არც მისი თანამოაზრეების ინტერესებში არ შედის".

***ინტერ-პრესი***

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაქვემდებარებული დანაყოფების ახლადგარემონტებული ყაზარმები მოინახულა. ქვეყნის მეთაური შს სამინისტროს გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმისა და ყოფილი შინაგანი ჯარის პირველი ოპერატიული ბრიგადის ყაზარმებს ეწვია. სააკაშვილმა ყაზარმებს "3 და 4-ვარსკვლავიანი სასტუმროს მსგავსი შენობები" უწოდა.

გუშინვე პრეზიდენტმა ჯარისთვის ახალი ფორმების გადაცემის განკარგულება გასცა. როგორც შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, დღეს საქართველოში 6 ახალი ყაზარმაა, რომლებიც 6000 ჯარისკაცზეა გათვლილი. სულ მალე კი ახალი ყაზარმები გორში გაიხსნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** გიორგობის დღესასწაული და "ვარდების რევოლუციის" წლისთავი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაშიც აღნიშნეს. გუშინ რეგიონში იმყოფებოდნენ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელი და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი. პატარა ლიახვის ხეობაში დღეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალი, დიდი ლიახვის ხეობაში კი ქართველ მშვიდობისმყოფელთა ბატალიონის განახლებული ყაზარმა გაიხსნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი "ვარდების რევოლუციის" წლისთავზე საზოგადოების იმედგაცრუების შესახებ საუბრობს. მისი აზრით, "ხალხი, რომელიც რევოლუციის დღეებში პარლამენტის შენობის წინ დადგა, დღეს იმედგაცრუებულია". თუმცა, ამის მიზეზს პოლიტოლოგი თავად საზოგადოების "გადაჭარბებული მოლოდინით" ხსნის. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო FM 107.4

## რადიო შოუ როკი და ფეხბურთი



„2000 წლიდან რეგულარულად ვთმობდი რაღაცას ერთიანობისათვის“

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები, სათასო თამაშები; მიმდინარე, დასრულებული და დაუსრულებელი მატჩების შედეგები - როკი და როკვა ქართულად. ყველაფერი პირდაპირ ეთერში; შაბათ-კვირას, ექვსიდან - ღამის 2-საათამდე - როკი და ფეხბურთი მწვანე ტალღაზე

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე 42 107 4; 42 107 5

წამყვანები - არჩილ ბენაშვილი, გაგა გობრონიძე, მინდია გაბაშვილი, ირაკლი დანელია

21 ნოემბრის გადაცემის სტუმარი - ზურაბ აზმაიფარაშვილი, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი



ზურაბ აზმაიფარაშვილი: 2000 წლიდან რეგულარულად ვთმობდი რაღაცას ერთიანობისათვის. ამას ემსახურებოდა თანაპრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებაც. დღეს ქართულ საჭადრაკო სამყაროს ჰყავდეს ძლიერი, გავლენიანი პრეზიდენტი, რომელსაც შეეძლება არა მარტო გაამთლიანოს, არამედ მატერიალურადაც გააძლიეროს ფედერაცია, პირვანდელ სახეს დაუბრუნოს ჭადრაკის სასახლე, გამოაცოცხლოს საჭადრაკო მოძრაობა, აღადგინოს ჟურნალი და გაზეთი, ხელი შეუწყოს პროფესიონალებს წარმატებების მიღწევაში, მომავალ თაობას ჩაუნერგოს იმედი და რწმენა, რომ გამარჯვებების შემთხვევაში მათი შრომა სათანადოდ იქნება დაფასებული.
დღეს კომპიუტერულმა თამაშებმა ჩაითრია ბევრი პატარა. ჭადრაკიც თამაშია, ნორჩებს ლოგიკისა და სხვ აზროვნებას აჩვევს. მისასალმებელია ის სასკოლო დაწესებულებები, სადაც ბავშვებს ჭადრაკს ასწავლიან. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ჭადრაკი სასკოლო პროგრამაშიც შევა და ყველა პატარას ექნება საშუალება, ამ ბრძნულ თამაშს ეზიაროს.


## პრეზიდენტი ოთხ ტელევიზიასთან ერთად



პრეზიდენტი სააკაშვილი, თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **"ყოველთვის ყველას ყურადღებით უსმენს,"** განსაკუთრებით კი, ოთხ ტელეკომპანიას. გუშინ სააკაშვილი ოთხ ქართულ ტელეკომპანიას შეხვდა. პრეზიდენტი ერთდროულად საუბრობდა როგორც სახელმწიფოებრივ მშენებლობაზე, ჯარის ძლიერებაზე, ემიგრანტების დაბრუნებაზე, ასევე ტრასების, სათამაშო და საცეკვაო მოედნების მშენებლობაზე, წალენჯიხის დანგრეულ გზებზე, ჯიბის ქურდებზე... ოთხ ტელევიზიასთან შეხვედრისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა, თავისი წინამორბედი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, პარალელები გაავლო დავით აღმაშენებელთან!

მიხეილ სააკაშვილმა შეაჯამა ერთი წლის მანძილზე განვლილი გზა, ისაუბრა კონკრეტულ მიღწევებზე და დასძინა: **"ჩვენ, როგორც ერმა, გავიხსენით მეორე სუნთქვა... ჩვენ გავთავისუფლდით კომპლექსებისგან."** პრეზიდენტმა, ასევე, ისაუბრა ქვეყანაში არსებულ სიღარიბეზე, ჯერ კიდევ შემორჩენილ კორუფციაზე, გამგეობებში არსებულ განუკითხაობაზე და დასძინა: **"მათაც მივწვდებით!"**

მიხეილ სააკაშვილმა აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის დამხობის პარალელურად, დავით აღმაშენებლის მიერ ფეოდალების ალაგმვის ფაქტი გაიხსენა. აღმაშენებელთან პარალელები ამით არ დასრულებულა: **"დავით აღმაშენებელს ათი წელი დასჭირდა, მტრისთვის ხარკი რომ შეეწყვიტა და 30 წელი, რომ თბილისი აეღო. ჩვენ ამდენი წელი არ უნდა დაგვჭირდეს, თანამედროვე მსოფლიოში სულ სხვა სიტუაციაა"...**

ოთხ ტელეკომპანიასთან საუბარი პრეზიდენტმა ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა: **"მე ვფიქრობ, რომ კარგად იქნება საქმე."**

*24 საათი*

# 23 ნოემბრის არჩევანი

### წერილი მესამე

*დასასრული.*
*დასაწყისი იხ.N277, 278*

დიმიტრი შველიძე




გოგიტა ბახაძის ფოტო

ახლა, რაც შეეხება რეფორმების მომხრეებს. პარადოქსულია, მაგრამ აქ უფრო არაერთგვაროვანი სურათია. ზოგადად, არსებობს რეფორმატორული გუნდი და მისი მხარდამჭერი საზოგადოების დიდი ნაწილი. მაგრამ თვით მომხრეთა შორის, კონკრეტულ საკითხებში ბევრი არ იზიარებს რეფორმატორთა ძალისხმევას, პრინციპულად უპირისპირდება მათ. საზოგადოების აზრით, თვით რეფორმატორთა ბანაკი ერთგვაროვანი არ არის და რამდენიმე მიმართულებისაგან შედგება. პირველი და ყველაზე უმნიშვნელოვანესი მიმართულება - ქვეყნის პრეზიდენტი და უშუალოდ მისი გუნდია (პრეზიდენტის კადრები). პრეზიდენტის გუნდი რეფორმატორთა საერთო ბანაკში, თუ შეიძლება ითქვას - ზომიერ ფრთას განასახიერებს. იგი უკეთ ითვალისწინებს მოსახლეობისა და საზოგადოების საერთო ინტერესებს და ცდილობს, ამ უკანასკნელის ჰარმონიზაცია მოახდინოს რეფორმების მიზანდასახულობასთან. ერთი სიტყვით, ზომიერ რეფორმატორთა საპრეზიდენტო გუნდი და მისი ლიდერი ორიენტირებულია მოსახლეობის ინტერესებისა და საზოგადოების მენტალობის მაქსიმალურად გათვალისწინებაზე და მზადაა, ამა თუ იმ შემოთავაზებული რეფორმის რევიზიისთვის. ამ გზით ხდება მიმდინარე რეფორმების საქართველოს ადგილობრივ თავისებურებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამგვარი პრაქტიკაც კი დამკვიდრდა, რამდენიმე საფეხურიანი: პირველ საფეხურზე - მედია ახმოვანებს ამა თუ იმ კანონპროექტს, მეორე საფეხურზე მიმდინარეობს პროექტის რამდენიმე მუხლის შესახებ დაპირისპირება მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. საზოგადოების დიდი ნაწილი უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავს განსაკუთრებით არაპოპულარული ნორმების გამო, რომლებითაც ზარალდება მოსახლეობის მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები; მესამე საფეხურზე - გამოდის პრეზიდენტი და ამა თუ იმ ნორმას გამოხატავს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების სასარგებლოდ. ყველაფერი მოგვარებულია. ასე მოხდა არაერთხელ, მაგ. მოქალაქეთა ას კვ.მ-ზე მეტ საცხოვრებელ ფართზე გადასახადის დაწესების შემთხვევაში.

საპრეზიდენტო გუნდის ზომიერ-რეალისტური მიმართულებისაგან განსხვავდება, შეიძლება ასე ვუწოდოთ - მაქსიმალისტი რეფორმისტების ფრთა. მასში ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან, რომლებსაც თანამოაზრეები, ცხადია, სახელისუფლებო გუნდშიც ჰყავთ. რეფორმისტ-მაქსიმალისტები ერთ შემთხვევაში წინააღმდეგი არიან ე.წ ფინანსური ამნისტიისაა. სხვა შემთხვევაში ისინი ინდიფერენტიზმს იჩენენ ეროვნული ღირებულებებისა და ინსტიტუტების ისტორიული გამძლეობის მიმართ და დემოკრატიზაციის ხელშემშლელ პატრიარქალურ ფაქტორად მიიჩნევენ მათ. სამწუხარო ისაა, რომ ამგვარი მაქსიმალიზმი, ფაქტობრივად, ხელს უშლის რეფორმების განხორციელება-წარმატებას, ხელს უწყობს სრულიად ზედმეტ ფუფუნებას დღევანდელი საქართველოსათვის - სამოქალაქო დაძაბულობას, ცალკეული ჯგუფების უაზრო დაპირისპირებას. რაც მთავარია, მაქსიმალისტური რეფორმიზმი აუფასურებს ჭეშმარიტ დასავლურ ღირებულებებს საზოგადოების თვალში და მიმდინარე რეფორმებს მოწინააღმდეგეს უფრო უმრავლებს, ვიდრე მომხრეებს.

განათლების სისტემის რეფორმის გარშემო ვნეაბათაღელვა თითქმის მთელი წელია მიმდინარეობს. რეფორმა უნდა გატარდეს - ეს პოზიცია უალტერნატივოა. საქართველო უნდა შეუერთდეს ბოლონიის პროცესს, რომელიც განათლების საერთო ევროპული სისტემის შექმნას ითვალისწინებს. საქართველოს საამისოდ პრეტენზია რომ ჰქონდეს, ბევრი საშინაო დავალება უნდა შეასრულოს - ესეც ცალსახა აუცილებლობაა, თუ გვინდა მსოფლიო პერიფერიაში არ ჩავინთქათ. სწორედ ამიტომ შეიქმნა განათლების სისტემის რეფორმის პროექტი, რომლის შემადგენელი პუნქტების დიდი უმრავლესობა დასავლური უმაღლესი სკოლის სტრუქტურების ქართულ ნიადაგზე დამკვიდრებას ითვალისწინებს.

მაგრამ, ორი ფრთა მაინც შეეჯახა ერთმანეთს - უკიდურესი ანტირეფორმიზმი და მაქსიმალისტური რეფორმიზმი და ამ ორივეს ამყოლი, პროვოცირებული საზოგადოება. საზოგადოების ერთმა ნაწილმა პროექტის რამდენიმე მიუღებელ პუნქტს მთელი რეფორმა გადააყოლა, როგორც ნარეცხს ბავშვი, ხოლო მაქსიმალისტებმა - კბილებით დაიცვეს პროექტის ყოველი პუნქტი და ჩაყოლას სწორედაც ჩათრევა ამჯობინეს. შედეგი - "ილია ჭავჭავაძის" პროექტის სადავო პუნქტები დამარცხდა და უარყოფილი იქნა, მნიშვნელოვანწილად. ამის შემდეგ საზოგადოებისათვის შემოთავაზებული პროექტის ალტერნატიული ვარიანტიდან არაერთი სადავო პუნქტი ამოიღეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც უამრავი მელანი, ენერგია და დრო დაიხარჯა.

რეფორმების განხორციელება ხშირად არაპოპულარული პროცესია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომელთა მოსახლეობაც თავისი ცხოვრების წესით საგრძნობლად განსხვავდება სანიმუშო ქვეყნების საზოგადოებისაგან. ამგვარ ქვეყნებში, და ჩვენ, რა თქმა უნდა, საქართველოს ვგულისხმობთ, ულტრარეფორმიზმი უნდობლად განაწყობს საზოგადოების დიდ ნაწილს. საზოგადოება შფოთავს სრულიად, როცა რომელიმე ფსევდორეფორმისტის განცხადებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ისტორიის სანაგვეზეა გადასაგდები, ან როცა ზოგიერთთა ძალისხმევით თითქოს საქართველოს ისტორიას იღებენ ე.წ. პრიორიტეტული საგნების სიიდან.

რა არის ამის მიზეზი? ნუთუ რეფორმიზმი და პატრიოტიზმი მართლაც ისეთი შეუთავსებელი ცნებებია, როგორც ერთ დროს ჩვენებური სოციალ-დემოკრატებისათვის იყო შეუთავსებელი სოციალური იდეალი და მამულიშვილობა. რამ გამოიწვია სტუდენტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფების ოპოზიცია ხელისუფლებისადმი, მაშინ როცა ამჟამინდელი ხელისუფლების ძირითადი საყრდენი სწორედ სტუდენტი-ახალგაზრდობა უნდა იყოს? ამ შემთხვევაში საპრეზიდენტო გუნდი და პრეზიდენტი, ფაქტობრივად, მაქსიმალისტ-რეფორმისტთა გაუაზრებელი საქმიანობის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

ზოგადად, სახელისუფლებო გუნდი ერთიანია. ასეც დააფიქსირა აღნიშნული რეალობა პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა, "მათ მსოფლმხედველობაც ერთნაირი აქვთ'', "მაგრამ ქვეგუნდებიც ხომ არსებობს.'' ამის შემდეგ ბ-ნი კობა დავითაშვილი, ჩვენს მიერ მაქსიმალისტ-რეფორმისტებად წოდებულ ჯგუფზე წერს: "ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ უნდა მოხდეს სწრაფი, რევოლუციური გადასვლა ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებზე...''

გარდა ჩვენ მიერ აღნიშნული ორი მიმართულებისა, რეფორმისტულ მოძრაობაში კიდევ ერთი პოლიტიკური ჯგუფი არსებობს. მან რეფორმისტულ-პოლიტიკურ რუკაზე ერთგვარი სიცარიელე შეავსო. სიცარიელე მოითხოვდა იმგვარი პოლიტიკური ძალის გამოჩენას, რომელიც რეფორმების აუცილებლობის მომხრეც იქნებოდა, ამავდროულად, ანგარიშს გაუწევდა ისტორიულ-ეროვნულ ღირებულებებს, საზოგადოებრივ მენტალიტეტს და სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორის გათვალისწინებით დაუპირისპირდებოდა მაქსიმალისტ-რეფორმისტებს. ამგვარი მიმართულება რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა და ნოემბრის თვეში გაფორმდა პილიტიკურ პარტიად - "კონსერვატორებისა" თუ "ახალი კონსერვატორების" სახელით. ჩვენში იმდენი კონსერვატიული სახელდების პარტია არსებობს, რომ ახალი პარტიის მსოფლმხედველობრივი იდენტიფიცირება გაჭირდება. რამდენადაც ამჯერად მხოლოდ რეფორმებთან მიმართება გვაინტერესებს, ალბათ ახალ პოლიტიკურ ძალას პატრიოტულ-რეფორმისტული მიმართულების ჯგუფი უნდა ვუწოდოთ. ამ პარტიის ორი ლიდერის სახით აღნიშნულ კვალიფიკაციაში თითქოს სიმბოლურად შეერთდა ორი მიმართულება - რეფორმიზმი (კობა დავითაშვილი) და პატრიოტიზმი (ზვიად ძიძიგური). მშვენიერი სახელწოდება კი გამოვიდა: პატრიოტ-რეფორმისტები?!

### ახალი თაობის არჩევანი

ერთი წლის განმავლობაში მოხდა საქართველოს, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა სრული გაახალგაზრდავება... მინისტრები, პარლამენტარები, გამგებელ-გუბერნატორები, თვით სამინისტროებისა და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომელთა დიდი ნაწილი - მათი "ასაკობრივი ცენზი'' 25-45 წლებს შორის მერყეობს. აი მაგ. გუბერნატორები: მიხეილ ქარელი, პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში - 29 წლის; გიგი უგულავა - სამეგრელოსა და ზემო სვანეთში -29 წლის; გია გეწაძე, იმერეთში - 36 წლის; გოგა ხაჩიძე, მცხეთა-მთიანეთში - 30 წლის; ბეჟან კალანდაძე, გურიაში - 27 წლის... არც 23 ნოემბრის მოძრაობის ლიდერთა სამეული ან დღევანდელი მინისტრები არიან "მოხუცები''. აქა-იქ უწყებებისა და ცალკეული მსხვილი დაწესებულებების ხელმძღვანელებად 25-26 წლის "ბიჭებიც'' არიან დანიშნული.

საზოგადოების ერთ და არც თუ უმნიშვნელო ნაწილს სერიოზულად აღიზიანებს თაობათა ამგვარი რადიკალური ცვლა და ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, სამართლიანადაც. რა დასამალია, რომ ამ ასაკის პიროვნებას არა აქვს საკმარისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, მსხვილი დარგებისა და ადამიანთა დიდი ჯგუფების ორგანიზებისათვის რომაა საჭირო.

მაგრამ პრობლემას აქვს მეორე მხარეც. ხშირად ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მისთვის უფრო პრაგმატული ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი თვისებებია გამოსადეგი. ისტორიამ მრავალი შემთხვევა იცის, როცა ყველაზე სწრაფ, ეფექტურ რეფორმებს ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური მოღვაწეები და მათი "თანამოჰასაკე'' თანამებრძოლები ატარებდნენ - ეგვიპტის ფარაონ ეხნატონიდან და ჩინეთის იმპერატორ ცინ ში ხუანდიდან პეტრე პირველსა და ნაპოლეონამდე.

ჩვენი დიდი რეფორმატორი მეფეებიც: ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი ახალგაზრდანი იყვნენ, როდესაც თავიანთ დიდ პროექტებს ანხორციელებდნენ.

ახალ ეპოქაში რეფორმატორული პროექტები ახალგაზრდა თაობის პოლიტიკოსთა წრეში იბადებოდა ხშირად. 1832 წლის შეთქმულნი სრულიად ახალგაზრდა არისტოკრატები იყვნენ, როცა ეროვნული სახელმწიფოს კონსტიტუციურ პროექტებს თხზავდნენ. XIX ს-ის შუა ხანებში კი თერგდალეულთა ახალთაობის სტუდენტთა ინტელექტუალურ სალონებში დაიბადა ახალი საქართველოს იდეა.

ცხადია, დღეს სხვა ვითარებაა, მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელმა მოითხოვა ახალგაზრდული მახასიათებლების აქტიურად გამოყენების საჭიროება, ისეთი თვისებებისა, როგორიცაა: ენერგიულობა, გამბედაობა, გარკვეული რადიკალიზმი, საბჭოურისაგან თავისუფალი გონება და მენტალობა; დასავლურ ღირებულებებისადმი ლოიალობა, ძველის, დრომოჭმულის, შეჩვეულის უარყოფისადმი მზაობა, სიახლისადმი მიდრეკილება, იდეალიზმი და კიდევ ზოგიერთი სხვა რამ. თუნდაც ჩვენ მიერ ჩამოთვლილი არასრული მახასიათებლები, ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებთან შედარებით დიდი უპირატესობის ხარისხის მატარებელია.

ჩვენ ნოემბრიდან ნოემბრამდე განვლილი წლის მანძილზე გაკეთებულ-გაუკეთებელი საქმეების შეჯამება-ანგარიში არ დაგვისახავს მიზნად. უფრო ისა ვცადეთ, კიდევ დაგვეფიქსირებინა - რისი არჩევანი და რატომ გააკეთა ქართველმა საზოგადოებამ და საქართველოს მოსახლეობამ 2003 წლის 23 ნოემბერს და გვაქვს თუ არა საფუძველი, რომ არჩეულ მიზანთან მიღწევის იმედი ვიქონიოთ, თუნდაც ამ ერთი წლის ძალისხმევის მიხედვით.

არჩევანი სწორი, სამართლიანი და ერთადერთი იყო.

განვლილი წელი - პირველი ნაბიჯების, ზოგჯერ წარმატებულის, ზოგი წარუმატებლობისა, ზოგჯერ გამართულის, ზოგჯერ მრუდის, ზოგჯერ მართებულის და მცდარისაც... მაგრამ მაინც - პირველი ნაბიჯების წელი იყო. გადაჭარბებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო უზარმაზარი ნახტომები, მაგრამ უსამართლობა და სიბრმავე იქნება ისიც, თუ ვიტყვით, არც ერთი ნაბიჯი წინ არ გადაგვიდგამსო. ამ მხრივ განვლილი წელი - ოპტიმიზმის წლად უნდა შევაფასოთ.

რეფორმების გზით - დემოკრატიისაკენ, დემოკრატიის გზით - დასავლურ პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკურ სივრცესთან ინტეგრაციისაკენ; ინტეგრაციის გზით - სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უზრუნველყოფისა და კეთილდღეობისაკენ - ამგვარი ევოლუციის სახით ჰქონდა წარმოდგენილი ქართველ საზოგადოებას ერთი წლის წინ გაკეთებული - 23 ნოემბრის არჩევანი.

## ეთერ მამულაშვილის სვეტი

[illegible]

...ბული ანაბრებისა და მეანაბრეთა ზუსტ რაოდენობას დაითვლის და ამ თანხის დაბრუნების გარკვეულ სქემას შეიმუშავებს.

სხვათა შორის, მსგავსი კომისიის შექმნის იდეა არახალია. მეტიც - დაახლოებით ამდაგვარი კომისია ძველი ხელისუფლების დროსაც ფუნქციონირებდა, რომელიც წლების განმავლობაში მხოლოდ მევალეთა დათვლითა და ანაბრების კოეფიციენტების გამოთვლით იყო დაკავებული.

ამ არითმეტიკაში გართულ ხელისუფლებას კი ავიწყდება, რომ ცოცხლად დარჩენილი მევალეების უმეტესობა დღეს საპენსიო ასაკს გადაცილებულია და მათი რიცხვი ყოველ წელიწადს საგრძნობლად მცირდება.

# აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მოადგილე საქართველოს ეროვნული ბანკის მუშაობას გაეცნო

*გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილის ჯორჯ ტეილორის ვიზიტი საქართველოში. გუშინ ის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას შეხვდა და ბანკის მუშაობა დადებითად შეაფასა.*



*ჯორჯ ტეილორი ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური ვითარებით დაინტერესდა.*

ჯორჯ ტეილორი ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური ვითარებით დაინტერესდა. ამ მიზნით, ის გუშინ საქართველოს ეროვნულ ბანკს ესტუმრა. ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ვიზიტით ევროპაში იმყოფება და, საჰაერო რეისების შეფერხების გამო, ტეილორთან შესახვედრად ჩამოსვლა ვერ მოახერხა. ეროვნულ ბანკში ტეილორს მასპინძლობა ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ კაკულიამ გაუწია.

ბანკის ხელმძღვანელობასთან თითქმის ერთსაათიანი შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრიდან გამოსულმა აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ იგი საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური მდგომარეობითა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ეროვნული ბანკის როლით კმაყოფილია. მან, ასევე, დადებითად შეაფასა ეროვნული ბანკის სტაბილური მონეტარული პოლიტიკა და ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის დაბალი ტემპი.

**"საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას კარგად ახორციელებს. ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს რეფორმები, საგადასახადო კოდექსზე მუშაობა და ეკონომიკის ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4-პროცენტიან ზრდაში აისახება,"** - განაცხადა ტეილორმა.

როგორც ჟურნალისტებს გუშინ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ კაკულიამ განუცხადა, შეხვედრის დროს მხარეებმა იმ სირთულეების შესახებ ისაუბრეს, რაც ამჟამად საქართველოს ეკონომიკის წინაშე დგას.

**"ამერიკის მხრიდან დახმარების თაობაზე საუბარი არ ყოფილა. სტუმარი დაინტერესდა, როგორი ხედვა აქვს ეროვნულ ბანკს იმ სირთულეების მიმართ, რაც ეკონომიკაში არსებობს. ვისაუბრეთ, აგრეთვე, ქართულ ეკონომიკაში მომხდარი სერიოზული დადებითი ძვრების შესახებაც,"** - განაცხადა კაკულიამ.

*24 საათი*

# ბიზნესმენები - ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ

*დიდი ბიზნესი ყოველთვის ლოიალურია ძლიერი ხელისუფლების მიმართ. - ეს დაუწერელი კანონი საქართველოში, სადაც სახელისუფლებო კეთილგანწყობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, განსაკუთრებით კარგად მუშაობს. ამიტომ, მოსალოდნელი გახლდათ, რომ ბიზნესმენები საქართველოს მთავრობის მიერ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შეფასებისას განსაკუთრებით კრიტიკულები არ იქნებოდნენ. თუმცა, გარკვეული შენიშვნები ხელისუფლების მიმართ "24 საათთან" საუბრისას მათ მაინც გამოთქვეს:*

**ნიკო ზარდიაშვილი – გადამზიდავი კომპანია "კავკასტრანსექსპრესი"**

ალბათ, ორიგინალური არ ვიქნები, თუკი ვიტყვი, რომ ახალი ხელისუფლებისგან უფრო ბევრს ველოდი. ველოდი, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი ჩვენს ბიზნესზე უფრო კარგად იქნებოდა მორგებული, ვიდრე ეს დღეს არის. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა. ახალი კოდექსის პროექტი არის უკან გადადგმული ნაბიჯი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის - გადამზიდავი კომპანიებისთვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვქონდა იმედი, რომ ახალი კოდექსის მიღება შემოდგომამდე მაინც მოესწრებოდა, რათა ჩვენ, ბიზნესმენებს, გვქონოდა საშუალება, ცოტა უფრო ადრე დაგვეგეგმა მომავალი წელი. დღეს სრული გაურკვევლობაა, ჩვენ არ ვიცით, რა სახით მიიღებენ ახალ საგადასახადო კოდექსს.

რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაღელვებს, ეს საბაჟოზე არსებული ვითარებაა, რაც ფაქტობრივად არ შეცვლილა. ის ხელოვნური ბარიერები და ბიუროკრატია, რასაც ძველი ხელისუფლების დროს ჰქონდა ადგილი, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად არ შეცვლილა. რიგითი მებაჟეების დონეზე პრობლემები ისევ არსებობს.

**ოსმან თურანი – მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელი"**

გასული ერთი წელი მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდა ჩვენი კომპანიისათვის. აშკარად იგრძნობოდა ცვლილებები როგორც ეკონომიკის, ასევე ბიზნესის სფეროში. ეს ცვლილებები განსაკუთრებით დაეტყო აჭარის რეგიონს, სადაც საბაჟო პუნქტებზე მუდმივად პრობლემებს ვაწყდებით. გვიანდებოდა ტვირთების განბაჟება, რაც უარყოფითად მოქმედებდა ჩვენი ბიზნესის სწრაფ ტემპზე. დღეს ეს მნიშვნელოვანი საკითხი, ჩვენდა საბედნიეროდ, მოგვარებულია. მოგვარდა ასევე აჭარის რეგიონში მოქმედ ორგანიზაციებზე ჩვენ მიერ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადების ჩათვლა. როგორც უცხოურმა ინვესტორმა, კიდევ ერთი რამ მინდა დავამატო: დღეს საქართველოში არნახულად ხელსაყრელი და სტაბილური გარემოა შექმნილი ახალი ინვესტიციებისათვის. ყველა მსურველს მინდა მოვუწოდო საქართველოში ჩამოსვლა და რეალური ბიზნესის დაწყება ახლავე, თორემ მათთვის, ვინც თავს შეიკავებს, შესაძლებელია, საქართველოს ბაზარზე თავისუფალი ადგილები აღარ მოინახოს.

**ბადრი ჯაფარიძე – "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია."**

ამდენი წლის განმავლობაში პირველად ჩვენ გაგვიჩნდა იმედი, რომ ხელისუფლება მხარში ამოგვიდგებოდა, რაც ნაწილობრივ გამართლდა კიდეც. პირველად საქართველომ ინვესტორების ყურადღება მიიპყრო და რუკაზე ჩვენი ქვეყანა გამოჩნდა. პოზიტიურია ის, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ახალ საგადასახადო კოდექსზე და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ბიზნეს-კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია ძველი საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერა, რითაც ბიზნესმენებს საშუალება მიეცათ, საკუთარი საქმე ახალი ფურცლიდან დაეწყოთ. ამ ვალდებულებების დიდი ნაწილი არის შექმნილი საგადასახადო კოდექსის არაადეკვატური და მიკერძოებული ინტერპრეტაციის შედეგად. აქედან გამომდინარე, ამ ფულის უმეტესობა სახელმწიფოსთვის დაკარგული იყო და ხელისუფლების ეს ნაბიჯი ბიზნესმენებს შორის სტაბილურობის განცდას ქმნის. ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში უკეთესი საინვესტიციო გარემოს შექმნას. თუმცა, ქვეყანაში გარკვეული უარყოფითი ტენდენციები კვლავ რჩება, რაც ჩვენ, ბიზნესმენებს, ხშირად მნიშვნელოვან დაბრკოლებებს გვიქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა არის აბსოლუტურად პრობიზნესურად განწყობილი, იგივე ხელისუფლების ქვედა რგოლებში დარჩა იმ ხალხის უმეტესობა, რომელიც წინათ ერთადერთი საქმით - ბიზნესისთვის ხელისშეშლით იყო დაკავებული. დღეს ისინი, ვითომდა თავიანთ ხელისუფლებასთან ლოიალურობის დემონსტრირებით, მტრულ ნაბიჯებს დგამენ ბიზნესის მიმართ, რის გამოც საინვესტიციო გარემო ქვეყანაში, ჯერჯერობით, საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია. სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს კადრების მთლიანად გადახალისებას, განსაკუთრებით - საგადასახადო ადმინისტრაციაში, ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ხალხის მიყვანას იქ, რომელსაც განათლება მიღებული ექნება დასავლეთში, რომელსაც ეცოდინება, რა არის ბიზნესი.

დღეს, სამწუხაროდ, არის ორიენტაცია ე.წ. საგადასახადო გეგმებზე და ამ მიზნით ხდება არაადეკვატური დარიცხვები კომპანიებზე. ასეთი მუშაობის პირობებში კი ძნელია, შეიქმნას ახალი გადამხდელები. არადა, დღეს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი გადამხდელი სჭირდება, ამისათვის კი საჭიროა, რომ საგადასახადო ადმინისტრირება იყოს არა მტრული, არამედ - ადეკვატური.

**არკადი მექერიშვილი – პურპროდუქტების მწარმოებელი კომპანია "ალაფი"**

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები შეინიშნებოდა. ქვეყანაში მყარდება წესრიგი, უმჯობესდება სამეწარმეო გარემო. უფრო კონკრეტულად: პირველ რიგში, მნიშვნელოვნად შემცირდა კონტრაბანდა, რაც ხელს უწყობს სამეწარმეო სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას. მეწარმეები თანდათან დგებიან თანაბარ პირობებში. წესრიგდება ურთიერთობები მაკონტროლებელ ორგანოებთან. უკვე უმიზეზოდ აღარ გვაწუხებენ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. იწყება საქმიანი ურთიერთობები საბაჟო და საგადასახადო ორგანოებთან, ისინი რეალურად ინტერესდებიან მეწარმის პრობლემებით და ცდილობენ დახმარებას მათ აღმოფხვრაში. ჩვენი ურთიერთობები უფრო თანამშრომლობის ხასიათს იძენს და არ შეიძლება ამას არ მივესალმოთ. დიდ იმედებს გვისახავს ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება. ვფიქრობთ, რომ ის უფრო მნიშვნელოვნად გაუადვილებს მეწარმეს საქმიანობას, შეამსუბუქებს საგადასახადო ტვირთს. ძალზე საინტერესო მოვლენაა საგადასახადო ამნისტია. ვფიქრობთ, ესეც ხელს შეუწყობს მეწარმისა და სახელმწიფოს ურთიერთობების მოწესრიგებას და მათ შორის ნდობის ფაქტორის გაძლიერებას.

ვისურვებდით, რომ შემდგომში რეფორმების განხორციელების ტემპი არ დაიკარგოს.

**თორნიკე აბულაძე – არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანია "არსი"**

ჩემთვის ძალიან მისაღებია, რომ დღევანდელი ხელისუფლება, იგივე, ქალაქის მთავრობა არის ჩემი, როგორც ბიზნესმენის პარტნიორი. პარტნიორში ვგულისხმობ იმას, რომ ხელისუფლება არის მდგრადი და ადეკვატური იმისათვის, რომ მესაუბროს. თუმცა, დღეს ადრინდელთან შედარებით, ჩვენს სფეროში ადმინისტრაციული ბარიერები კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, თუკი შარშან საჯარო რეესტრი ვალდებული იყო, რომ ამონაწერი 10-14 დღის განმავლობაში გაეცა, დღეს ეს პერიოდი ერთ თვემდე შეიცვალა. თუმცა ეს მხოლოდ საჯარო რეესტრს არ შეხებია, ასეა თითქმის ყველგან. ვფიქრობ, რომ ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა უფრო მობილური უნდა გამხდარიყო. წინა ხელისუფლების ის ტენდენციაც, როცა სახელმწიფო ჩინოვნიკები ბიზნესში უხეშად ერეოდნენ, ფაქტობრივად ახლაც გრძელდება. ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ჩარევის კოეფიციენტი პრაქტიკულად არ შემცირებულა.

ცვლილებები არის, თუმცა მკვეთრ ცვლილებებზე საუბარი დღეს მაინც ნაადრევია.

**ივერი ქუცნაშვილი – დიზაინისა და კონსტრუქციის საკონსულტაციო კომპანია "ჯეოინჟინერინგი"**

დადებით ტენდენციებს შორის მნიშვნელოვანია ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობა და სისტემის ცვლილება, რაც ამ დროისთვის დიდწილად უკვე განხორციელდა. მეორე მნიშვნელოვნი დადებითი ტენდენცია ის არის, რომ ქვეყანაში სერიოზული ძვრები შეიმჩნევა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა საბოლოო შედეგი ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ მომავალ წელს გამოჩნდება. უკეთესობაა იმ მხრივაც, რომ ახალი ხელისუფლება უხეშად არ ერევა კერძო ბიზნესში. დღეს თითქმის აღარ არიან ე.წ. "დაკრიშული" ბიზნესმენები და თამაშის წესებიც ახლა გაცილებით უკეთესია. თუკი უწინ იყო სფეროები, სადაც შეუძლებელი იყო სამუშაოების განხორციელება, ან შეკვეთების მიღება, დღეს ასეთი რამ პრაქტიკულად აღარ ხდება.

**დათო ტყემალაძე – ალკოჰოლური სასმელების კომპანია "დავით სარაჯიშვილი და ენისელი"**

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რა შეიცვლება ახალი საგადასახადო კოდექსით, რაც გარკვეულ შედეგებს ახალი წლიდან მოიტანს. მხოლოდ ამის მერე შეგვეძლება იმის თქმა, გამართლდა თუ არა ჩვენი იმედები. ჯერჯერობით, ქვეყნის მთავრობის მიერ აღებული კურსი სწორია და იმედი გვაქვს, რომ ამას ახალი საგადასახადო კოდექსი დაგვირგვინებს. რა თქმა უნდა, დაპირებები 100 პროცენტით არ არის შესრულებული, მაგრამ არც მოვუტყუებივართ ხელისუფლებას. ვხედავთ, რომ საქმეები საკეთილდღეოდ და უკეთესობისკენ მიდის. მიუხედავად იმისა, რომ განვლილ ერთ წელს დადებითად უფრო შევაფასებდი, ვიდრე უარყოფითად, ჩვენი კომპანიის წარმატებებს რევოლუციას მაინც ვერ დავუკავშირებდი.

**გიორგი კოდუა – "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები"**

ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესების მიუხედავად, დღეს გარკვეული სირთულეები ქართულ ავიაციაში მაინც არსებობს, სირთულეები, რომელიც წინა ხელისუფლებამ შექმნა და დღეს ეს გადმონაშთის სახით არსებობს. რევოლუციური ცვლილებები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, საქართველოს ავიაციას არ დასტყობია. ჩვენი კომპანიის მაგალითზე გეტყვით: "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები", ხელისუფლების მხარდაჭერით, უახლოეს მომავალში ახალი თვითმფრინავების შემოყვანას გეგმავს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს თვითმფრინავები ექსპლუატაციაში შევიდეს, საჭიროა ახალი რეისები, რაზეც ჩვენს კომპანიას პრობლემები, უკვე რამდენიმე თვეა, აქვს. ძველი ხელისუფლების დროინდელი ტენდენცია, რომ ჩინოვნიკები ერთ რომელიმე კომპანიას გარკვეულ სასათბურე პირობებში ამყოფებდნენ, დღესაც გრძელდება. მონოპოლიური სიტუაცია ავიასექტორში შენარჩუნებულია. ჩვენ ველოდებით, რომ მოხდება საგადასახადო სისტემის უფრო მეტი ლიბერალიზაცია და ხელისუფლება გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ დღეს საქართველოში მოქმედი უცხოური ავიაკომპანიები საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისგან სერიოზული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ, რაც ჩვენ კონკურენციის გაწევაში მნიშვნელოვნად გვაფერხებს და ხელს გვიშლის.

**ზურა მარგველაშვილი – "თბილღვინო"**

გასული ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში უფრო მეტად დადებითი ტენდენციები შეიმჩნეოდა, ვიდრე უარყოფითი. პირველ რიგში, ეს ეხება ბიზნესგარემოს, რაც წინა წლებთან შედარებით აშკარად გაუმჯობესდა. თვალსაჩინოა ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში საინვესტიციო გარემო უფრო მიმზიდველი და სასურველი გახდა, ვიდრე ეს წინა ხელისუფლების დროს იყო. ამის შედეგი, შესაძლოა, ქვეყანაში ორი, სამი წლის შემდეგ უფრო გამოჩნდეს, ვიდრე დღეს ან ხვალ, თუმცა აშკარაა, დღეს ხალხს უჩნდება სურვილი, რომ ქართულ ბიზნესთან ითანამშრომლოს. ადმინისტრაციული ბარიერების ძალიან დიდი ნაწილი დღეს მოხსნილია, მაგრამ, სამწუხაროდ, რჩება ისეთი ადგილები, სადაც ახალი ხელისუფლება კვლავაც აქტიურად მუშაობს და იქაც, ვფიქრობთ, რომ მომავალი წლის დასაწყისისთვის სერიოზული წინსვლა იქნება.

**ტარიელ გვალია, თბილუნივერსალბანკი:** ჩემი აზრით, ყველაზე კარგი ის გაკეთდა, რომ თავს ჭაობში აღარ ვგრძნობ. ეს შეიძლება ძალიან ზოგადი განცხადებაა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. ბიზნესის მიმართ მიდგომა შეიცვალა. ჩვენ ხელისუფლებისაგან მხოლოდ ერთი რამ გვჭირდება - კონკურენტული გარემო ბიზნესისთვის. ბიზნესის 80 პროცენტი ჩრდილში იყო, ახლა კი მისი მნიშვნელოვანი წილი გათეთრდა. ფული, რომელიც მიმოქცევის არხებს გარეთ იყო, საბანკო სისტემაში შემოდის. ჩვენთვის ეს არის მთავარი. ხელისუფლების სახით ჩვენ გვჭირდება მარეგულირებელი, რომელიც ჩვენთვის მისაღებ თამაშის წესებს ქმნის და იცავს მას. ვფიქრობ, რომ ჩვენ ამისკენ მივიდივართ. სხვა მხრივ, მე საბანკო სისტემაში პრობლემებს ვერ ვხედავ.

**ირაკლი მექვაბიშვილი, გქბ:** ჩვენი მთავრობის მხრიდან გაჩნდა რეალური სურვილი დაეხმაროს ეკონომიკის სექტორს. ეს გამოიხატება იმაში, რომ მომავალი წლიდან ახალი ლიბერალური საგადასახადო კოდექსი გვექნება, რომელიც წარმოებისთვის საკმაოდ ნორმალურ შეღავათებს ითვალისწინებს. ერთი წელი ძალიან პატარა დროა იმისთვის, რომ ჩაფიქრებული შესრულდეს. ჩვენს ქვეყანას მინიმუმ 3-4 წელი სჭირდება იმისთვის, რომ ფეხზე დადგომა ვიგრძნოთ. თუმცა უკვე ჩანს, რომ ტენდენცია საკმაოდ კარგი და დადებითია.

*ჩაიწერა*
*ეთერ მამულაშვილმა*

# როგორ ამოვიცნოთ მომავალი ბიზნესმენი?

თურმე, მომავალი წარმატებული ბიზნესმენების ამოცნობა ჯერ კიდევ სკოლის ასაკშია შესაძლებელი. როგორც წესი, მათ სხვებისგან არა მარტო ცხოვრებაში წარმატების მიღწევის სურვილი, არამედ ისეთი თვისებებიც განასხვავებთ, როგორიცაა თვითდაჯერებულობა და დამოუკიდებლობა. სკოლის პერიოდში ისინი ხშირად არასასიამოვნო სიტუაციებში ხვდებიან. **"ისინი დამოუკიდებლები არიან და არ იციან გუნდური თამაში; არიან სპონტანურები და არ ჰყავთ ბევრი მეგობარი,"** - აცხადებს საკონსულტაციო კომპანია Human Factors International-ის დირექტორი ედრიან ატკინსონი. მის მოსაზრებას იზიარებს ბრიტანული ხმისჩამწერი კომპანიის Association of Independent Music-ის ხელმძღვანელი ელისონ უენხემი. მისი თქმით, ჩვეულებრივ, ახალგაზრდა ბიზნესმენები ეწინააღმდეგებიან გარემოცვას. **"ეს თვისება შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც, რადგან მსგავსი ადამიანები გამბედავები, ჯიუტები, მიუკერძოებლები და თავხედები არიან. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ისინი დახმარების ძებნას არ დაიწყებენ, მაშინაც კი, თუ ამას შესთავაზებენ,"** – განაცხადა მან.

ამჟამად, მომავალი ბიზნეს-გენიოსების გამოვლენით დაკავებული არავინ არის და სულ ტყუილად, - მიიჩნევენ უცხოელი ექსპერტები. თუ მსხვილი საწარმოები ახალი პროექტების შექმნისას ახალგაზრდა, თავხედ, ჯიუტ და ახალი იდეებით სავსე ადამიანებს მიაქცევენ ყურადღებას, ბიზნესი ამისგან მხოლოდ მოგებული დარჩება. თუმცა, ახლა უპირატესობას ყოველთვის დამყოლ, ზრდილობიან და პროგნოზირებად ახალგაზრდებს ანიჭებენ. **"ასეთი პიროვნებები, შეიძლება, საუკეთესო მენეჯერები გახდნენ, მაგრამ წარჩინებული მეწარმეები მათგან არ დადგება,"** – აცხადებენ ექსპერტები.

თავისი მოსაზრების არგუმენტად ბრიტანელ ექსპერტებს საძიებო სისტემის "Google"-ის შემქმნელები - სერგეი ბრინი და ლარი პეიდჯი მოჰყავთ. ამ ახალგაზრდებს თავის დროზე ბევრი ბიზნესმენი თანამშრომლობაზე უარს ეუბნებოდა, მიაჩნდათ რა, რომ ისინი მეტისმეტად თვითდაჯერებული და ამბიციური ხასიათისანი იყვნენ. ექსპერტებს მაგალითად მოჰყავთ 26 წლის მაიკ უელჩიც - Shell LiveWire ვერსიის წლის მეწარმე. უელჩი საბურავების მწარმოებელი კომპანია Black Circles-ის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორია.

სხვათა შორის, ექსპერტები ასევე მიიჩნევენ, რომ წარმატებული ბიზნესმენების შვილები საკუთარი მშობლების წარმატებების გამეორებას ვერასოდეს შეძლებენ. **"ისინი ვერასოდეს გახდებიან კარგი ბიზნესმენები, იმიტომ, რომ ისედაც ყველას მათთან თამაშის სურვილი აქვს. თუმცა, მათ შეუძლიათ, წარმატებული მენეჯერები გახდნენ,"** – მიიჩნევს ატკინსონი.

*24 საათი*

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაობის მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**24 ნოემბერს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
სანზონის, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ერწოს, გუდამაყრის, ტიბაანის, მუხრანის, თიანეთის, დავით გარეჯელის, ჩარგლის, ხორნაბუჯის, ხევისუბნის, გვაზაურის, შენგელაიას, ლიახვის, ჟინვალის, ნაგომარის, რატევანის, ბოგვის, ზიგზაგის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**26 ნოემბერს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფლების: კოჯრისა და კიკეთის მაცხოვრებლებს.

**26 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
წყნეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), მოსაშვილის, ფალიაშვილის(ნაწილობრივ), აბაშიძის(ნაწილობრივ), ბარნოვის (ნაწილობრივ), ყიფშიძის, კავსაძის, თაქთაქიშვილის, შოვის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**26 ნოემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ყაზბეგის გამზირის(ნაწილობრივ), საირმის მთის მაცხოვრებლებს.

# როგორი იქნება უკრაინის ეკონომიკა არჩევნების შემდგომ?

*რას უნდა ელოდოს უკრაინის ეკონომიკა არჩევნების მოსალოდნელი შედეგებისაგან. ეს ის შეკითხვაა, რომელიც წესით, უკრაინის მოსახლეობას ყველაზე მეტად უნდა აწუხებდეს. თუმცა, უკრაინელი ამომრჩეველი დაძაბულ საარჩევნო პერიოდში გაცილებით ყურადღებით აკვირდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატების პიროვნებებს, ვიდრე მათ პროგრამებს.*

დიანა ჩაჩუა

პუტინმა უკვე მიულოცა ვიქტორ იანუკოვიჩს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება, მაშინ როცა აშშ და ევროკავშირი უკრაინული არჩევნების უკანონობაზე და ფართომასშტაბიან ფალსიფიკაციაზე ალაპარაკდნენ. მეტიც, ცნობილი გახდა, რომ ევროკავშირი უკრაინის მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციების გატარებით იმუქრება. ევროპარლამენტის შიდა პოლიტიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარეს ელმარ ბროკს საშინელი რეაქცია ჰქონდა უკრაინული არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებლებისგან მიღებულ ინფორმაციაზე. **"თუ საერთაშორისო დამკვირვებლებისგან მიღებული ინფორმაცია დადასტურდება, მაშინ ევროპარლამენტი იზრუნებს იმაზე, რომ ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ევროკავშირის უკრაინასთან მეზობლობის პოლიტიკაზე და ასევე მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ვალდებულებებზე,"** - განაცხადა მან. როგორც გაირკვა, კომიტეტი ზემოთ აღნიშნულ საკითხებში გასარკვევად მომდევნო სხდომაზე ევროკავშირში უკრაინის ელჩის მოწვევას აპირებს.

იმაში გასარკვევად, თუ რას მოუტანს უკრაინის ახალი პრეზიდენტი ქვეყნის ეკონომიკას, კანდიდატების ეკონომიკურ პროგრამებს გადავხედოთ. ორივე კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკოც და ვიქტორ იანუკოვიჩიც, ფაქტობრივად, ცენტრისტები არიან. მათ გააჩნიათ მსგავსი პროგრამები, სადაც გარკვევით არის ნათქვამი საგადასახადო წნეხის შესუსტების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, პენსიების და ხელფასების გაზრდის, სოციალური დაცვის და სხვა რეფორმების შესახებ. **"თუმცა არსად არ ჩანს მიზნის მიღწევის გზები და წინა მცდელობების წარუმატებლობების მიზეზების ანალიზი. ამასთან, არ არის მითითებული ამა თუ იმ ინიციატივის რეალურ ცხოვრებაში გატარებისათვის საჭირო სახელმწიფო ხარჯები,"** – აცხადებს კიევის პერსპექტიული გამოკვლევების საერთაშორისო ცენტრის უფროსი ეკონომისტი ანდრეი ბლინოვი.

ბლინოვი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ არც ერთი კანდიდატის პროგრამაში სქემატურადაც არ არის მითითებული, როგორ აპირებენ ისინი ისეთი სერიოზული რეფორმების გატარებას, როგორებიცაა ადმინისტრაციული, სასამართლო, კორპორატიული მართვის საკითხები, და მხოლოდ შემდეგი ეპითეტებით შემოიფარგლებიან – "ავამაღლოთ", "გავაფართოოთ", "სრულყოფილი იქნეს", "გავატაროთ ნამდვილი რეფორმა".

როგორც უკრაინელი ექსპერტები მიიჩნევენ, უკრაინის ახალ პრეზიდენტს ეკონომიკური კურსიც ტრადიციული ექნება - ან რეფორმები, რომლებიც საშუალებას მისცემს მას, ქვეყნის განვითარების თავისი სტრატეგიული ხედვა აჩვენოს, რასაც საპარლამენტო კამპანიამდე ეფექტის არ მოცემის რისკი სდევს თან, ან გააგრძელოს პოპულისტური პოლიტიკა.

ორივე კანდიდატს, მოქალაქეობის გარდა, კიდევ ერთი რამ აქვს საერთო – ორივე, სხვადასხვა დროს, პრემიერ-მინისტრის სავარძელს იკავებდა. იუშჩენკოს კაბინეტის განსაკუთრებულ მიღწევად ეკონომიკური ბარტერიზაციის შესუსტება, ნაციონალური ფულის როლის გაზრდა და საპენსიო დავალიანებების გასტუმრება ითვლება. თავის მხრივ, იანუკოვიჩს შეუძლია საგადასახადო და საპენსიო რეფორმების გატარების დაწყებით, აქტიური პრივატიზაციის პროცესით და სოციალური მინიმუმის მკვეთრი გაზრდით დაიკვეხნოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კანდიდატის პრემიერობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ და უცხოური ინვესტიციების ნაკადმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. 2001 წელს ეკონომიკა - ცხრა პროცენტით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 600 მილიონი დოლარით გაიზარდა. წელს კი ქვეყნის ეკონომიკა - 14 პროცენტით, ხოლო უცხოური ინვესტიციები უკვე ერთი მილიარდი დოლარით არის გაზრდილი.

როგორც ანდრეი ბლინოვმა უცხოურ პრესაში საუბრისას აღნიშნა, უკრაინის მთავრობამ მიზნად დაისახა, მოკლევადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გაზარდოს მოქალაქეების რეალური შემოსავლები, და შეასრულა კიდეც. თუმცა, არაერთხელ ჰიპერინფლაციის მწარე გამოცდილება გამოვლილი უკრაინული მოსახლეობა მიხვდა, რას ნიშნავდა ეს და მომენტალურად შეუდგა ფულის ხარჯვას. ამან კი ინფლაციის დაჩქარება გამოიწვია. როგორც "24 საათს" კიევის მოქალაქეებმა განუცხადეს, ქალაქში დოლარები აღარ იყიდება და ინფლაციას ელიან. ერთ-ერთი რიგითი კიეველის, ჟენია გოლუბის განცხადებით, **"ქვეყანაში ისეთი ინფლაციური პროცესები შეინიშნება, რომ მალე, ალბათ, ხელფასებს გაუფასურებული ქაღალდებით გაასწორებენ. წარმოიდგინეთ, ხელისუფლებამ არჩევნებზე რვა მილიონი ლარი დახარჯა, მაშინ, როცა უკრაინის ბიუჯეტი 35 მილიარდია,"** – აცხადებდა გოლუბი.

როგორც ერთ-ერთმა კიეველმა (სახელის და გვარის დასახელებისგან თავი შეიკავა) "24 საათთან" საუბარში განაცხადა, კანდიდატების ეკონომიკურ პროგრამებში ბევრი წყალია, **"ძალიან ბევრი დაპირებაა, თუმცა მათი შესრულება არარეალურია. დაპირებულის ნახევარიც რომ შეასრულონ, ფანტასტიკა იქნება,"** – ასეთია კიეველის პოზიცია.

კიევის პერსპექტიული კვლევების საერთაშორისო ცენტრის შეფასებით, წელს უკრაინაში სამომხმარებლო ფასების დონე 10 პროცენტს მიაღწევს, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში შეიძლება, 15 პროცენტის მაჩვენებელსაც "გამოჰკრას ხელი." **"ეს კი ეკონომიკური ზრდის მუხრუჭის როლს ითამაშებს. გამოდის, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით მოხმარების ასეთი ერთდროული სტიმულირება, ამასთან, ეკონომიკური ბუმის პირობებში, არაეფექტურია,"** – განაცხადა ცენტრის მთავარმა ეკონომისტმა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, პასუხი კითხვაზე, როგორი იქნება უკრაინის ეკონომიკა რომელიმე კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, ძალიან რთულია. მოვლენები უკრაინაში წუთიერად იცვლება. თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, აშკარაა, რომ უკრაინის ეკონომიკაში გარდატეხა მოხდება. ხოლო, დადებითისკენ თუ უარყოფითისკენ, ამას მხოლოდ დრო გვაჩვენებს.

# გიორგობა უკრაინაში

პირველი გვერდიდან

### "ენა თითქმის დავკარგეთ, ქვეყნის დაკარგვას ვერ შევეგუებით"



იუშენკოს მხარდასაჭერად დამოუკიდებლობის მოედანზე ისეთი ადამიანებიც მივიდნენ, რომლებიც თუნდაც ორი საათის წინ სახლში ჯდომას ამჯობინებდნენ.

არჩევნების დღეს მთელი კიევი მოვლენების განვითარებას გაფაციცებით ადევნებდა თვალს. ისინი, ვინც პოლიტიკურად უფრო აქტიური აღმოჩნდა, კიევის მთავარ მოედანზე საღამოს ხუთი საათისთვის გაემართა. დანარჩენები კი ოპოზიციურ "მეხუთე არხს" უყურებდნენ, სადაც ყოველ ნახევარ საათში ერთხელ საინფორმაციო გამოშვებები გადიოდა.

არჩევნების გაყალბებაზე საუბარი პირველად სწორედ "მეხუთე არხმა" დაიწყო. იმ ტელერეპორტაჟებში, რომელიც უკრაინის რეგიონებში იყო მომზადებული, აშკარად ჩანდა, როგორ მუშაობდა ადმინისტრაციული მანქანა ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვების უზრუნველსაყოფად. ჩაყრილი ბიულეტენები, ჟურნალისტებისა და დამოუკიდებელი დამკვირვებლებისთვის მუშაობაში ხელისშეშლა, უბნებზე არეულობა, საარჩევნო ურნების გატაცება თუ გატაცების მცდელობები - ამ კადრებს "მეხუთე არხი" ყოველ საინფორმაციო გამოშვებაში ატრიალებდა.

არჩევნების წინ და თავად კენჭისყრის დღეს კიეველთა უმრავლესობა მაინც იმედოვნებდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ცენტრალური საარჩევნო კომისია სწორედ ვიქტორ იუშენკოს აღიარებდა. კიეველებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა ლეონიდ კუჩმას ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი, ორჯერ ნასამართლევი, პრორუსი ვიქტორ იანუკოვიჩი. ყველა კიეველი, რომელსაც უკრაინის დედაქალაქში გავესაუბრე, საკმაოდ მკაფიოდ, არგუმენტირებულად აყალიბებდა, თუ რატომ არ უნდა გახდეს იანუკოვიჩი უკრაინის პრეზიდენტი.

### "ჩვენ რუსეთის პროვინციად გადაქცევა გვემუქრება"

ვასილი იმ გაზეთის რედაქტორია, რომელსაც ლეონიდ კუჩმას გარემოცვის ერთ-ერთი წევრი აკონტროლებს. ამის მიუხედავად, ვიქტორ იუშენკოს მხარს აქტიურად და ღიად უჭერს და ამბობს, რომ უკრაინა რეალურად დამოუკიდებელი მხოლოდ მისი გამარჯვების შემთხვევაში გახდება.

**"უცხო თვალისთვის, ალბათ, რთულია იმის გაგება, თუ რატომ უჭერს კიევი მხარს ვიქტორ იუშენკოს. სულ არ იგრძნობა, რომ ამ ქალაქს საკმაოდ ბევრი პრობლემები აქვს. ირგვლივ სულ მშენებლობებია. კიევში ბევრი ფული ტრიალებს. შესაძლოა, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა, მაგრამ ეს ასე სულაც არ არის. მართალია, მძიმე მრეწველობა ამუშავდა, მაგრამ ბიუჯეტში მხოლოდ უმნიშვნელო თანხები შედის. დონბასის რეგიონული ფინანსური დაჯგუფებები, რომელთაც აქტიურად მფარველობენ ლეონიდ კუჩმა და ვიქტორ იანუკოვიჩი, მთლიანად აკონტროლებენ ყველა იმ სფეროებს, რომელსაც მილიარდობით მოგება მოაქვს. სწორედ მათი დახმარებით ქვეყანაში რუსი ოლიგარქები საკმაოდ მსხვილ კაპიტალს აბანდებენ. პრემიერ-მინისტრის კურთხევით, ქვეყნის გენერალურ პროკურორად დონბასის დაჯგუფებამ საკუთარი კაცის, გენადი ვასილევის დანიშვნა შეძლო. მან კი მთელი პროკურატურა საკუთარი კადრებით დააკომპლექტა. ასე რომ, დონბასური ფინანსური კლანის "სახურავი" პროკურატურაა. რუსეთისთვის უკრაინის დაკარგვა მილიარდობით დოლარის დაკარგვას ნიშნავს. ამ დროს, უკრაინელთა აბსოლუტური უმრავლესობა შესანიშნავად გრძნობს, რომ ქვეყანაში, რუსეთის მსგავსად, კლანურ-ოლიგარქული მმართველობა მკვიდრდება. უკრაინელები ვიქტორ იუშენკოს მხარს იმიტომაც უჭერენ, რომ შესანიშნავად გრძნობენ - იანუკოვიჩის გამარჯვების შემთხვევაში, ქვეყნის ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, დასავლურ ღირებულებებზე საუბარი, უბრალოდ, სასაცილო იქნება,"** - გვითხრა ვასილიმ.

...ოლეგი მკვიდრი კიეველია. ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმროს რესტორანში მიმტანად მუშაობს. იგი განათლებით ფილოლოგია. მიმტანად მუშაობა კი, როგორც თვითონ ამბობს, ცხოვრებამ აიძულა, თუმცა დღევანდელი საქმიანობა ერთი წუთითაც არ ეთაკილება. როგორც თვითონ ამბობს, ადრე საკუთარი ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ მისი ფირმა უფრო მსხვილმა კორპორაციამ, ფაქტობრივად, გადაყლაპა.

**"ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს უკრაინაში არ ვცხოვრობ. ირგვლივ სულ რუსულად ლაპარაკობენ. ლამის მთელი ხელისუფლება დონბასელებით არის დაკომპლექტებული. ფასები მატულობს, ცხოვრების დონე კი სულ უფრო დაბლა იწევს. 18 წლის ვაჟი მყავს და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჯარში არ წავიდეს - იქ ჯარისკაცებს აშიმშილებენ. სახელმწიფოს გაძლიერებაზე არავინ ფიქრობს. ჩვენ, ფაქტობრივად, უკრაინას ვკარგავთ და რუსეთის პროვინცია ვხდებით. რუსების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ არ მინდა, უმცროსი ძმის ან ღარიბი ნათესავის როლში აღმოვჩნდეთ. იუშენკოს გამარჯვების შემთხვევაში კი შანსი გვაქვს, გავხდეთ სუვერენული სახელმწიფო, რომელიც თავად გადაწყვეტს, რა კურსით უნდა იაროს,"** - ამბობს ოლეგი.

### დამოუკიდებლობის მოედანი

იმის მიუხედავად, რომ ვიქტორ იუშენკოს გამარჯვებაში კიევში ყველა დარწმუნებული იყო, უკრაინის ცესკო-ს მიერ საღამოს ცხრა საათისთვის გამოქვეყნებულმა მონაცემებმა კიეველები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ არჩევნები ყალბდება.

სწორედ ამის გამო იყო, რომ იუშენკოს მხარდასაჭერად დამოუკიდებლობის მოედანზე ისეთი ადამიანებიც მივიდნენ, რომლებიც თუნდაც ორი საათის წინ სახლში ჯდომას ამჯობინებდნენ. კიევის ცენტრალური მოედნისკენ ქალაქის გარეუბნებიდანაც მიემართებოდნენ.

იმ საღამოს კიევის დამოუკიდებლობის მოედანი ძალიან წააგავდა ერთი წლის წინანდელ თბილისს, უფრო ზუსტად კი - თავისუფლების მოედანს.

ჰაერში აღმართული იყო უამრავი დროშა. და არა მხოლოდ უკრაინული. იყო ბელორუსული, ქართული, აზერბაიჯანული... ათი ათასობით ადამიანი ერთხმად სკანდირებდა - "იუშენკო! იუშენკო! უკრაინა! უკრაინა!"

უკრაინა რევოლუციის წინაშე აღმოჩნდა. იმ დღეს კიევში ყველამ გააცნობიერა - უკან დახევა დამარცხების ტოლფასი იქნებოდა...

# ბრიტანეთმა ისტორიის გამეორების თავიდან აცილება შეძლო

*დიდი ბრიტანეთის უშიშროების სამსახურმა შეძლო თავიდან აეცილებინა ისეთივე საზარელი ტერაქტი ლონდონში, როგორიც 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში განხორციელდა.*

ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელევიზიის "ITV"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლონდონში დაგეგმილი ტერაქტის უკან კვლავ "ალ კაიდა" იდგა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით ტელეეთერის საშუალებით გადაცემულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სითისა და დედაქალაქის უმსხვილეს აეროპორტზე "ჰითროუ" თვითმფრინავების შეჯახების გეგმა ერთ-ერთი იყო იმ სავარაუდო ხუთიდან, რომელიც ლონდონს ემუქრებოდა. ტელეკომპანიის პოლიტიკური განყოფილების მთავარი რედაქტორის ნიკ რობინსონის განცხადებით, "ბრიტანეთმა ისტორიის გამეორების თავიდან აცილება შეძლო." "ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელიც სანდო წყაროს წარმოადგენს, გვაცნობა, რომ უშიშროების სამსახურებმა იმ თვითმფრინავების გაუვნებელყოფა შეძლეს, რომელსაც თვითმკვლელი კამიკაძეები მართავდნენ და Canary Warf-სა (ლონდონის ერთ-ერთი ბიზნესრაიონი) და "ჰითროუ"-ს აეროპორტზე აპირებდნენ შეტევის განხორციელებას", აღნიშნა ნიკ რობინსონმა.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ტერორისტთა გეგმები ცნობილი ხდება ბრიტანეთში უსაფრთხოების ზომების გამკაცრების შესახებ ახალი კანონპროექტის განხილვამდე ცოტა ხნით ადრე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო ცდილობს, ტერორისტთა წინააღმდეგ ახალი პროექტით გათვალისწინებული ზომების სრულ ადეკვატურობაში საზოგადოება დაარწმუნოს, ბრიტანელები მაინც სკეპტიკურ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ მის მიმართ.

ტერორიზმთან ბრძოლის კანონპროექტთა მთელ სერიას ხელისუფლება განსახილველად პარლამენტს დღეს წარუდგენს. პროექტით გავთალისწინებულ მთელ რიგ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია დიდ ბრიტანეთში შიდა სადაზვერვო სამსახურის შექმნის ინიციატივა, რომელიც აშშ-ს ფდბ-ს მსგავსად ფართო უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დევიდ ბლანკეტის ინიციატივით ტერორიზმთან ბრძოლის ახალი ღონისძიებები ანტიტერორისტული სასამართლოების შექმნასაც ითვალისწინებს, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება მხოლოდ მოსამართლეებისაგან და არა ნაფიცი მსაჯულებისაგან. გარდა ამისა, სასამართლო სხდომაზე დაშვებული იქნება მოსასმენი აპარატურის ჩანაწერების მოსმენაც. მინისტრი ასევე გამოვიდა ინიციატივით, შემუშავებულ იქნეს სასჯელის ახალი ფორმა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც დაგეგმავენ ტერაქტს, თუნდაც მათ ვერ შეძლონ ამ შემზარავი ჩანაფიქრის განხორციელება. ბრიტანეთის ტელეარხთან "ITV"-სთან ინტერვიუში დევიდ ბლანკეტმა აღნიშნა, რომ ახალი კანონი ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყანაში მომავალი არჩევნების ჩატარებამდე ვერ შევა ძალაში. უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის ინიციატივას განსხვავებული გამოხმაურება მოჰყვა. სამართალდამცავი ორგანიზაცია "ლიბერტი" მიიჩნევს, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან ხალხის შიშით მანიპულირებაა. ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის "მი-5"-ის ყოფილი ხელმძღვანელის სტივენ ლენდერის განცხადებით, იგი მიესალმება სასამართლო სხდომაზე ჩანაწერების გამოყენების პრაქტიკას, თუმცა, ამავდროულად, ამ მეთოდის გამოყენებით აუცილებელია პირად ცხოვრებაში ჩარევასა და დამნაშავის გამოაშკარავებას შორის ბალანსის დაცვა. ლიბერალ-დემოკრატების წარმომადგენლის მარკ ოატენის თქმით, მისი პარტია მზადაა მხარი დაუჭიროს უსაფრთხოების ახალ ზომებს, მხოლოდ ამან არ უნდა გამოიწვიოს მართლმსაჯულების პრინციპების დარღვევა. შინაგან საქმეთა სამინიტროს ჩრდილოვანი კაბინეტის ხელმძღვანელმა დევიდ დევისმა კი ბლანკეტის წინადადებას "უაზრო ლაყბობა" უწოდა. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**ირანი.** ირანმა ურანის გამდიდრების პროგრამასთან დაკავშირებული ყველა მიმდინარე სამუშაო შეწყვიტა. სამუშაოების შეწყვეტის პარალელურად ძალაში შევიდა "ევროპულ სამეულთან" (საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი) დადებული წინასწარი ხელშეკრულებაც.

ურანის გამდიდრების პროგრამის განხორციელებაზე მორატორიუმი ირანმა ნებაყოფლობით გამოაცხადა. მორატორიუმი ითვალისწინებს იმ ვადებს, რაც "სამეულთან" ახალი ფართომასშტაბიანი ჩარჩო-ხელშეკრულების შემუშავებას დასჭირდება. აღნიშნული ჩარჩო-ხელშეკრულება ევროკავშირთან თეირანის ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას გულისხმობს. თუმცა, იმ დიპლომატთა თქმით, ვინც უკვე იხილა რეზოლუციის პროექტი, აშშ უკმაყოფილო დარჩება, რადგან პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ ისფაჰანსა და ნათანზში სამუშაოების შეწყვეტა ურანის გამდიდრების პროგრამასთან დაკავშირებით. **24 საათი**

■ ■ ■

**ავღანეთი.** ავღანეთში გენერალ რაშიდ დუსტუმის მეთაურობის ქვეშ მყოფი შეიარაღებული ფორმირების განიარაღება დაიწყო. ირანული სააგენტოს "ირნა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ მაზარი-შარიფთან დისლოცირებული მერვე კორპუსის მებრძოლებს იარაღის დაყრა უბრძანეს. ავღანეთის ნაციონალურ არმიას მალე გადაეცემა 5 ტანკი, იარაღის საკმაოდ დიდ რაოდენობასა და ტყვია-წამალთან ერთად. როგორც ავღანეთის დასავლეთ პროვინციაში გენერალმა დუსტუმმა განაცხადა, ზემოაღნიშნული ფორმირების განიარაღება "ახალი ავღანეთის მშენებლობის პროგრამის" ფარგლებში მიმდინარეობს.

ეთნიკური უზბეკებისა და პარტია "ნაციონალური ისლამური მოძრაობის" ლიდერი რაშიდ დუსტუმი ავღანეთის სამხედრო მაღალჩინოსნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ფიგურაა, რომელიც "თალიბების" წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში იღებდა აქტიურ მონაწილეობას. დუსტუმი მიმდინარე წელს ავღანეთის ისტორიაში პირველად ჩატარებულ საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყრიდა კენჭს, თუმცა საბოლოო ჯამში, ჰამიდ კარზაის დაუთმო.

საყოველთაო განიარაღებისა და დემობილიზაციის პროცესი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუნდუზის პროვინციიდან გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო. ავღანეთში გაერო-ს მისიის მონაცემებით, იარაღი უკვე ჩააბარა 23 000 ადამიანმა, რომლებიც სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებებში ირიცხებოდნენ. აღნიშნული რაოდენობა ავღანეთში სამოქალაქო ომის დროს შეიარაღებული ფორმირებების მესამედს წარმოადგენს. შეგროვებული და საწყობში აღრიცხულია უკვე 3 835 ერთეული სამხედრო ტექნიკა და მძიმე შეიარაღება. **იტარ-ტასი**

# უსისხლო რევოლუციის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

მართალია, ამ დროისათვის დარბაზში აღარ იმყოფებოდა სპიკერი ვლადიმირ ლიტვინოვი, მაგრამ ამას რევოლუციურ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა. ასევე მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ კვორუმისათვის საჭირო ხმათა რაოდენობისათვის 226 დეპუტატის ნაცვლად დარბაზში მხოლოდ 119 იმყოფებოდა, თანაც ყველანი ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლები.

იუშენკოს მიერ საპრეზიდენტო ფიცის დადების ინიციატორი სახალხო დეპუტატი იგორ იუხნოვსკი აღმოჩნდა. მან ტრიბუნის დაკავება სთხოვა საპრეზიდენტო კანდიდატს ვიქტორ იუშენკოს, რასაც სპიკერის მხრიდან მოწოდება მოჰყვა, საპარლამენტო სხდომა კომედიად არ გადაექციათ.

ფიცის დადებისთანავე ვიქტორ იუშენკომ თავის თანამოაზრეებთან ერთად უმაღლესი რადას წინ შეკრებილ მომხრეებს მოუწოდა, მშვიდობიანი მსვლელობით კორიდორი გაეკეთებინათ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობისაკენ.

მანამდე კი ცესკო-ს მიერ შედეგების ოფიციალურ გამოცხადებას არ დალოდებია არც ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო და არც მისი რუსი კოლეგა ვლადიმირ პუტინი და ვიქტორ იანუკოვიჩს გაპრეზიდენტება პირველებმა მიულოცეს. თუმცა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუშინ ლისაბონში გამართულ პრესკონფერენციაზე თავისი ქცევა აჩქარებით ახსნა და განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ეგზიტ-პოლებზე დაყრდნობით გაკეთებული განცხადება იყო. "უკრაინა მსხვილი ევროპული ქვეყანაა, კარგად განვითარებული სამართლებრივი სისტემით და მას არ სჭირდება სწავლება, მას აქეთ შეუძლია, ბევრი რამ ასწავლოს სხვებს," - აღნიშნა პუტინმა. თუმცა, ერთგვარი უკან დახევის მიუხედავად, პუტინმა შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან, სიტყვა საერთაშორისო აქტორების რენომეზეც გადაეკრა, როცა ეუთო-ს შეფასებებს უადგილო უწოდა. "ჩვენ ვიცით, როგორც ჩატარდა არჩევნები ავღანეთში, კოსოვოში, სადაც ათასობით სერბმა, გამოძევებულმა საკუთარი საცხოვრებლიდან, ვერ შეძლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მე წინასწარ ვიცი, როგორი იქნება ერაყის არჩევნებთან დაკავშირებით ეუთო-ს დასკვნები, ისევე, როგორც თქვენ იცით ეს. თუკი მომავალშიც ვინმე ეცდება ეუთო-ს გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის, ეს ორგანიზაცია შემდეგშიც განაგრძობს მსოფლიოში ავტორიტეტის დაკარგვას," - აღნიშნა რუსმა პრეზიდენტმა.

საყურადღებო იყო ლეონიდ კუჩმას განცხადებაც. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ "აღმასრულებელი ხელისუფლება უკრაინაში არანაირად არ ერევა წინასაარჩევნო პროცესში და, ამდენად, არ შეუძლია, გავლენა იქონიოს ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების განსაზღვრაზე. ეს საკითხები მთლიანად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეხება, რომლის შემადგენლობაც უმაღლესი რადას მიერ იქნა დამტკიცებული ოპოზიციური ფრაქციების თანხმობით." თუმცა, უკრაინის პრეზიდენტს, რატომღაც, მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ ცესკო-ს სანახევროდ აღმასრულებელი ხელისუფლება, სანახევროდ კი პარლამენტი აკომპლექტებს.

მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა რეგიონებიდან იუშენკოს მომხრეების ჩამოსვლა. ხელისუფლებას მობილიზებული ჰყავდა სპეცდანიშნულების რაზმებიც, რომლებსაც მთელი ღამის განმავლობაში არ მიუტოვებიათ ადმინისტრაციის შენობის დასაცავად დაკავებული პოზიციები.

ანალიტიკოსთა ერთსულოვანი შეფასებით, არჩევნების მსვლელობისას უკრაინა პრაქტიკულად ორად იყო გაყოფილი, ოპოზიციის მომხრე ცენტრი და დასავლეთი, ხოლო აღმოსავლეთი და სამხრეთი ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის - მხარდამჭერი.

უკრაინის არჩევნების შედეგების მკაცრი შეფასების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოება მოუთმენლად ელის შედეგებს. აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენელი პირდაპირ აცხადებს, რომ უკრაინის ცესკო-ს შედეგების განგებ გაყალბების მცდელობის დამტკიცების შემთხვევაში (49.39 პროცენტი იანუკოვიჩის სასარგებლოდ, ხოლო 46.71 იუშენკოსი) შეერთებულ შტატებს უკრაინასთან ურთიერთობების გადახედვა სერიოზულად მოუხდება.

ოპოზიციონერთა მიერ წაყენებული მოთხოვნის თანახმად დღეს, დილის 7:00 საათზე, უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას იუშენკოს გამარჯვება უნდა ეღიარებინა, თუმცა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, შუაღამისას უცნობი იყო. ერთი რამ კი უდავოა, უკრაინის საპრეზიდენტო ბრძოლა არც მეორე ტურით ამოწურულა.

# დასავლეთს უკრაინის „ნაბლების რევოლუციის" არ სჯერა

*უცხოური მასმედია ერთი წლის წინ თბილისში განვითარებული მოვლენების კიევში განმეორებას საეჭვოდ მიიჩნევს*

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებმა დასავლეთს იმედები გაუცრუა. ევროპის ქვეყნები და აშშ არჩევნებს არალეგიტიმურად თვლიან და იანუკოვიჩის უკრაინას პოლიტიკური იზოლაციით ემუქრებიან. თუმცა მიმომხილველებს მაინც არ სჯერათ, რომ ოპოზიციის საპასუხო დარტყმა იმდენად მძლავრი იქნება, რომ უკრაინაში "ვარდების რევოლუციის" ქართული სცენარი განმეორდეს.

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე დასავლური მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია კრიტიკული, მაგრამ ოდნავ თავშეკავებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით მწვავე გახლდათ ევროკავშირისა და ეუთო-ს ხელმძღვანელთა გამოხმაურება. ევროკავშირის წარმომადგენლებმა უკრაინას შედეგების გადახედვისაკენ მოუწოდეს და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე"სერიოზული შეშფოთება" გამოთქვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირი უკრაიანასთან ურთიერთობების გადახედვით დაიმუქრა. როგორც ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარდ ბოტმა განაცხადა, "უკრაინის არჩევნები დასავლურ სტანდარტებს არ პასუხობს". ეუთო-ს განცხადებაში კი ჩამოთვლილია სერიოზული დარღვევები, რომლებიც საარჩევნო მარათონს სდევდა თან. აღნიშნულ დარღვევებს შორის ძალადობის აქტები, ამომრჩეველთა დაშინების ფაქტები და დამოუკიდებელი დამკვირვებლების საარჩევნო უბნებზე არდაშვება ფიგურირებს.

შედარებით თავშეკავებული აღმოჩნდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის რეაქცია. "ჩვენ უკრაინის ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ დაუყოვნებლივ გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და ამით დემოკრატიისადმი ერთგულება დაამტკიცონ," - განაცხადა სახლმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელიმ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერელის თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესება იქნება მოსალოდნელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების არალეგიტიმურად ცნობას საჭიროდ არ თვლის.

იმის მიუხედავადაც კი, რომ ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა, რომელიც არჩევნების



უკრაინაში ქართული "ვარდების რევოლუციის" განმეორება დასავლელ ექსპერტებს შეუძლებლად მიაჩნიათ.

მსვლელობას აკვირდებოდა, არჩევნებს "დემოკრატიულ ნორმებთან შეუსაბამო" უწოდა, აშშ-ს ოფიციალური პოზიცია მაინც რბილად გამოიყურება. შეგახსენებთ, რომ სენატორი ლუგარი უკრაინაში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სპეციალურ წარმომადგენლად იქნა მივლენილი. ლუგარის თქმით, არჩევნების პროცედურაში არსებული დარღვევები უკრაინის მთავრობის მიერ იყო სანქცირებული.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომმაც აღნიშნა, რომ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები მრავალი დარღვევით ჩატარდა. რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტს, მან დასავლელი ლიდერების კრიტიკას იანუკოვიჩის სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებით უპასუხა. ორშაბათს მან პირადად დაურეკა ვიქტორ იანუკოვიჩს და "ღიად, სამართლიანად და დამაჯერებლად გამარჯვება" მიულოცა. გამორიცხული არაა, რომ თავისი პოზიციის დაფიქსირებით, რუსეთის ლიდერმა აშშ-სა და დასავლეთ ევროპის კრიტიკული შეფასებები გარკვეულწილად გაანელა.

რაც შეეხება დასავლური მასმედიის რეაქციას, ის ერთდროულად გაღიზიანებულიც გახლავთ და იმედგაცრუებულიც. Financial Times-ი მკითხველის ყურადღებას იუშჩენკოს იარებით დაფარულ სახეზე მიაპყრობს. გაზეთის მიმომხილველების თქმით, "ეს დამახინჯებული სახე იმ გამოწვევის საფასურია, რომელიც ვიქტორ იუშჩენკომ კუჩმას ათწლიანი მმართველობის მანძილზე ჩამოყალიბებულ ავტორიტარულ რეჟიმს გაუკეთა". სტატიის ავტორთა აზრით, "იანუკოვიჩს სამართლიან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად სიმამაცე არ ეყო". ჟურნალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პრემიერ-მინისტრმა შედეგების ფალსიფიცირებით, მოსახლეობის დაშინებითა და უკრაინის ტოტალიტარული ხელისუფლების მფარველობით მოიპოვა გამარჯვება. იმავე Financial Times-ში გამოქვეყნებული მეორე მასალა უკრაინის ოპოზიციის მიერ "ვარდების რევოლუციის" ქართული სცენარის განმეორების შანსებს აფასებს. სტატიაში საუბარია ივანო-ფრანკოვსკის, ტერნოპოლისა და ლვოვის მერიების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციების შესახებ და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამას, შესაძლოა, უფრო ფართომასშტაბიანი მსვლელობა მიეცეს. ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული აშშ-ს მუქარაც, რომ "თუ არჩევნები დემოკრატიის პრინციპებთან შესაბამისობაში არ მოვიდოდა, კიევთან ვაშინგტონის ურთიერთობები გადაიხედებოდა".

უკრაინულ ოპოზიციას ბრიტანული გაზეთი The Guardian-იც უჭერს მხარს. ჟურნალისტები აქცენტს "ეგზიტპოლების" შედეგებზე აკეთებენ, რომელიც რამდენიმე უცხოური საელჩოს დაფინანსებით ჩატარდა. ეს გამოკითხვა 11 პროცენტიან უპირატესობას სწორედ ოპოზიციის კანდიდატს ვიქტორ იუშჩენკოს ანიჭებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უკრაინის უახლოესი მომავლის პროგნოზებს გაზეთი არ გვთავაზობს.

ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, ვაშინგტონი იმედოვნებდა, რომ "სერბეთსა და საქართველოში რეჟიმების შეცვლის" წარმატებას უკრაინაშიც გაიმეორებდა, თუმცა, იანუკოვიჩის გამარჯვების გადამწყვეტ გარემოებად წინასაარჩევნო მარათონში პრეზიდენტ პუტინის ჩარევა იქცა.

New York Times-ი მიიჩნევს, რომ უკრაინაში "პატური მდგომარეობა" შეიქმნა, სადაც ციფრები იანუკოვიჩის სასარგებლოდ მეტყველებს, ოპოზიციის კანდიდატს დამარცხების აღიარება არ სურს, ხოლო საერთაშორისო დამკვირვებლები მრავალრიცხოვან და სისტემატურ დაღვევებზე საუბრობენ. "დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიამ, რომელიც არჩევნების მსვლელობას აკვირდებოდა, უკრაინის მთავრობის მიერ პრემიერ-მინისტრისათვის სახელმწიფო სახსრების უკანონოდ გადაცემის ფაქტები გამოავლინა. არჩევნების დღეს, ელექტრონულ სიებს ახალი ამომრჩევლების 5 პროცენტი დაემატა; ხელისუფლებამ სტუდენტებზე ზეწოლა განახორციელა, რომელთაც მთავრობის კანდიდატისათვის ხმის მიცემისაკენ მოუწოდებდა; ზეწოლა ხორციელდებოდა სახელმწიფო მოსამსახურეებზეც, რომელთაც აიძულებდნენ თავიანთი ტალონების მესამე პირებისათვის გადაცემას; ამომრჩევლებს რაიონიდან რაიონში ატარებდნენ; საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლებს არ უშვებდნენ; არაჩვეულებრივად მაღალი იყო ამომრჩეველთა დასწრება იმ რაიონებში, რომლებიც პრემიერ-მინისტრს უჭერდნენ მხარს და ა.შ.", - წერს გაზეთი.

ამავე დროს, მიმომხილველები არ იტოვებენ იმედებს, რომ უკრაინის ოპოზიცია "მოპარულ გამარჯვებას" დაიბრუნებს. სტატიის ავტორთა თქმით, "ოპოზიციამ დაგეგმილი და წინასწარ გააზრებული საპროტესტო აქციები დაიწყო. ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ დემონსტრანტები ხანგრძლივი ბრძოლისათვის არიან მზად". აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ New York Times-ის ჟურნალისტებს არ სჯერათ, რომ უკრაინაში ქართული "ვარდების რევოლუცია" განმეორდება. სტატიაში ნათქვამია, რომ უკრაინელი ოპოზიციონერები ქართულ დროშებს აფრიალებენ, თუმცა, ავტორთა აზრით, ეს მხოლოდ საქართველოში ერთი წლის წინ განვითარებული მოვლენების შესახსენებლად არის გამიზნული.

# "რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი ბონებაჩლუნგი?"

*ცნობილი ქართული ფილმის ამ ცნობილ ფრაზაზე დღეს, შეიძლება, გველიმება კიდეც, თუმცა, ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, თოჯინების ფაბრიკის დირექტორმა მშვენივრად იცოდა, რასაც ამბობდა. "საზოგადოებასთან ბავშვის პირველი ურთიერთობის მთავარი ინსტრუმენტი სათამაშოა. პატარები ცხოვრებას სათამაშოსა და თამაშის საშუალებით სწავლობენ", – ბავშვთა ფსიქოლოგ ნატა მეფარიშვილის მიერ 2004 წელს გამოთქმული ეს მოსაზრება ზემოაღნიშნულისგან დიდად არ განსხვავდება. ამიტომ, თბილისის ბაგა-ბაღებში არსებული მდგომარეობის შესწავლისას თოჯინების ფაბრიკის დირექტორის ეს ფრაზა შემთხვევით არ გაგვხსენებია.*

ნანა ქადაგიშვილი
ნანა ყაველაშვილი

## რეალობა და აუცილებლობა

**"ბაღის აღსაზრდელი არის საზოგადოების პატარა წევრი, რომელიც ცხოვრებას და ადამიანებთან ურთიერთობას თანატოლებთან თამაშისას სწავლობს. რაც უნდა იდეალური პირობები შევუქმნათ პატარას ოჯახში, იმდენს მაინც ვერ ისწავლის, რასაც - საბავშვო ბაღში. სწორედ ბაღი ეხმარება მას ცხოვრების წესების გაცნობიერებასა და ათვისებაში; რა თქმა უნდა, საბავშვო ბაღსაც გააჩნია. კარგი განათება, გათბობა, სისუფთავე, დიდი სივრცე, ასაკის მიხედვით შერჩეული ინვენტარი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სწორად შერჩეული სათამაშო – ეს ის აუცილებელი პირობებია, რასაც ნებისმიერი საბავშვო ბაღი უნდა აკმაყოფილებდეს. ყურადღებას, განსაკუთრებით, სათამაშოზე გავამახვილებ, რადგან სკოლამდელი ასაკის ბავშვის აზროვნებისა და მეტყველების ჩამოყალიბებაზე და ემოციურ განვითარებაზე, უპირველესად, სწორედ თამაში და სათამაშო მოქმედებს",** – ამბობს ნატა მეფარიშვილი.

სამწუხაროდ, ბავშვთა ფსიქოლოგის მიერ ჩამოთვლილი პირობები დედაქალაქში არსებული საბავშვო ბაღების უმრავლესობისთვის მიუღწეველ ოცნებას წარმოადგენს. ახალ ინვენტარს ვინ ჩივის, როცა საბავშვო ბაღებში სათამაშოების განახლებას ხშირად წლიწადში ერთხელაც ვერ ახერხებენ. საქართველოში ბაღების სახელმძღვანელო ეროვნული პროგრამის მოთხოვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისში არსებული საბავშვო ბაღების უმრავლესობა, თავად ბაგა-ბაღების ხელმძღვანელების აღიარებით, დასახურია. მაგალითისათვის ერთ ჩვეულებრივ სახელმწიფო ბაღს მოვიყვანთ, რომლის შენობისთვისაც მიწისძვრას ვერაფერი დაუკლია, სანიტარიული მდგომარეობაც ნორმალური აქვს, თუმცა სტანდარტების ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მაინც ბევრი რამ აკლია.

იყო დრო, როცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე 96-ე საბავშვო ბაღში სათამაშოებს, ავეჯს, თეთრეულს კვარტალში ერთხელ მაინც ცვლიდნენ. წლევანდელი სასწავლო წლის დასაწყისისათვის მერიას ბაღისთვის 300 ლარი რომ არ მიეცა, პატარები ახალ სათამაშოებზე ვერც კი იოცნებებდნენ. ეროვნული პროგრამით გათვალისწინებულ მოლბერტებზე, ცოცხალ თევზებსა და ფრინველებზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ბაღის ხელმძღვანელი და ექიმი შესაბამისი ინვენტარით მოწყობილ სპორტულ დარბაზზე ოცნებობენ, რომელიც, განსაკუთრებით, სქოლიოზით დაავადებულ პატარებს წაადგებოდა. საბავშვო ბაღის ექიმის თქმით, ეს დაავადება აღსაზრდელთა უმრავლესობას აღენიშნება.

მიუხედავად ამ ყველაფერისა, 96-ე ბაღი კიდევ კარგად გამოიყურება იმ ბაღებთან შედარებით, რომელთა შენობებიც, საერთოდ, ძლივს დგას. 183 სახელმწიფო ბაღიდან 32-ის შენობა სწორედ ასეთი - მძიმე ავარიულია. აქედან ორის აღდგენა უკვე შეუძლებელია, დანარჩენს კი კაპიტალური გამაგრება სჭირდება. ზოგი ბაღის შენობის ნაწილი კვლავ დევნილებს უკავიათ. **"რაც უნდა დახვეწო სწავლების მეთოდიკა, თუკი ბაღს ელემენტარული კომფორტი მაინც არ ექნება, საჭირო ეფექტს, ბუნებრივია, ვერ მივიღებთ",** – აცხადებენ ქალაქის განათლების სამსახურში.

## ალტერნატიული დაფინანსება

დედაქალაქის ბაღებში არსებული მდგომარეობის მიზეზების გარკვევა სახელმწიფო ბაღებიდან დავიწყოთ, რადგან ამ სფეროსადმი ხელისუფლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება იქ უკეთ ჩანს.

გაირკვა, რომ ფაქტობრივად, ბიუჯეტიდან დედაქალაქში არსებული 183 საბავშვო ბაღის ყველანაირი კომუნალური ხარჯისა და კვების ღირებულების მხოლოდ მცირე ნაწილი ფინანსდება, იშვიათად - სამეურნეო ხარჯებიც (წელს საბავშვო ბაღების ნაწილს სამეურნეო ხარჯებისთვის მერიამ 200-300 ლარი გადაურიცხა). თუ საბიუჯეტო დაფინანსება უწყვეტი იქნება, ბაღებს ეს იმის საშუალებას მისცემს, რომ გათბობის პრობლემა გადაჭრან და ბავშვები მშივრები არ დარჩნენ - ეს არის და ეს. წლობით შეუკეთებელი კანალიზაციის ქსელი, ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები, სათამაშოები და საკვების დამატება დღეს მხოლოდ მშობელთა ჯიბესა და ბაღის დირექტორების მოთხოვნაზეა დამოკიდებული.

90-იან წლებში განათლების სამინისტრომ, მწირი საბიუჯეტო დაფინანსების იმედად დარჩენილი ბაღები რომ გადაერჩინა, მშობელთა ნებაყოფლობითი შემოწირულობების ფონდები შექმნა. როგორც მერიის განათლების მეურნეობის სამსახურში განმარტავენ, განათლების სამინისტროს მაშინდელი გადაწყვეტილებით, მშობელთა შემოწირულობის 70 პროცენტი კვებაზე უნდა დახარჯულიყო, დანარჩენი კი – სამეურნეო ხარჯებზე. თუმცა, დროთა განმავლობაში ეს ნებაყოფლობითი შემოწირულობა სხვადასხვა რაიონში (პრესტიჟულ რაიონებში 20-დან 60 ლარამდე, გარეუბნებში – 12-15 ლარის ფარგლებში) განსხვავებული ოდენობის ერთგვარ გადასახადად იქცა და ხშირად, კვებისა და სამეურნეო ხარჯების გარდა, პედაგოგთა ანაზღაურებასაც ხმარდება. **"შემოწირულობების სახით, ზოგიერთი ბაღის დირექტორს თვეში ათასობით ლარიც კი შესდის",** – აცხადებს განათლების მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილე ინეზა ლომთაძე.

## რას ხმარდება შემოწირულობა

**1. კვება**

ბაღების წლევანდელ ბიუჯეტში ერთი აღსაზრდელის დღიური კვებისათვის გამოყოფილი თანხა 65-დან 90 თეთრამდე გაიზარდა. ამას ემატება მშობლის მიერ თვეში გადახდილი 5,40 ლარი - ოფიციალური გადასახადი (მრავალშვილიანები, დევნილები და მარტოხელა ოჯახები გადასახადისგან თავისუფლდებიან), რაც ბაღების საკვები პროდუქტებით მომმარაგებელ ორგანიზაციებს საბიუჯეტო თანხასთან ერთად ბანკში ერიცხებათ; ანუ, ერთი აღსაზრდელის კვებაზე, მთლიანად - 1,15 ლარი. განათლების მეურნეობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელობის თქმით, წინა წლებში ბაღების საკვებით მომმარაგებელი ორგანიზაციები ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი თანხების 10 პროცენტს ამ სამსახურის წინა ხელმძღვანელობას უხდიდნენ. ალბათ, თავისთვისაც იტოვებდნენ "რამეს" და, ადვილი წარმოსადგენია, ბაღებში რა პროდუქტიც მივიდოდა. წელს საბავშვო ბაღების საკვები პროდუქტით მომმარაგებელი ორგანიზაციები შეიცვალა. სექტემბერში ტენდერში იმ ორგანიზაციებმა გაიმარჯვეს, რომელთაც ბაღებში ეროვნული, ხარისხიანი და, ამავე დროს, ხელმისაწვდომ ფასში შეძენილი პროდუქტის შეტანის პირობა დადეს. ჯერჯერობით, ბაღების ხელმძღვანელებს მათ მიმართ სერიოზული პრეტენზია არ აქვთ. **"წელს შემოტანილი პროდუქტი ბევრად უკეთესია. მხოლოდ ერთი-ორჯერ იყო, რომ ხორცი და კარაქი ცოტა დაბალი ხარისხის შემოგვიტანეს. თუმცა, გაფრთხილების შემდეგ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორებულა",** – აცხადებს 96-ე ბაღის დირექტორი ლალი მახარობლიძე. ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან საპრეტენზიო მიზეზი არც 59-ე ბაღის ხელმძღვანელობას აღმოაჩნდა.

როგორც მერიის განათლების მეურნეობის სამსახურში აცხადებენ, 1,15 ლარით მხოლოდ ის ხერხდება, რომ ბავშვი მშიერი არ დარჩეს. თუმცა, ნორმით გათვალისწინებული კალორაჟი, ბუნებრივია, ვერ ივსება. გაირკვა, რომ ბავშვებს დღეში სამჯერ აჭმევენ, დღის განმავლობაში 30 გრამ კარაქს აძლევენ, კვირაში ორჯერ კი ხორციან სადილსაც უმზადებენ. რეგულარულად ხილისა და ტკბილეულის ყიდვა კი ვერ ხერხდება. დანარჩენი შემოწირულობით უნდა შეიძინონ.

წესით, რაც უფრო მეტია მშობელთა შემოწირულობის ოდენობა, მით უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს ბაღის მენიუ, მაგრამ ყოველთვის ასე როდია. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის 86-ე და ვაკე-საბურთალოს რაიონის 83-ე საბავშვო ბაღების მენიუები რომ შევადარეთ, ისინი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. არადა, პირველ ბაღში მშობელი თვეში 12 ლარს იხდის, მეორეში – 20 ლარს. სხვათა შორის, ეს ბაღები ერთმანეთისგან არც კომფორტით განირჩევა.

**2. კომფორტი**

იმ ბაღებში, სადაც მშობლის შემოწირულობა მცირეა, ბაღის ხელმძღვანელები თანხების სამეურნეო ხარჯებისთვის გამოყენებას იშვიათად ახერხებენ. როგორც 96-ე საბავშვო ბაღის (სადაც შემოწირულობა, მაქსიმუმ, 15 ლარია) დირექტორი აცხადებს, შემოწირულობით მხოლოდ ძალზე აუცილებელ ინვენტარს ყიდულობენ (აუცილებელ ინვენტარში სათამაშოები არ იგულისხმება) **"მირჩევნია, პატარებს ხილი და ტკბილეული ვუყიდო, ვიდრე ინვენტარი და სათამაშო. მშობლებს კი მეტის გადახდის საშუალება არ აქვთ",** – ამბობს ლალი მახარობლიძე.

წერეთლის ქუჩაზე მდებარე 207-ე ბაღს კი ემჩნევა, რომ მისი აღსაზრდელების მშობლებს "მეტის გადახდის საშუალება" ნამდვილად აქვთ. როგორც ამბობენ, ამ ბაღში ნაკლები შეძლების ოჯახის შვილებისთვის ადგილი არ არის, რადგან გადასახადი თვეში 60 ლარია. ამიტომ, ამ ბაღის მახლობლად მცხოვრები გადახდისუუნარო ოჯახები, იძულებულნი არიან, შვილები მოშორებით მდებარე უფრო იაფფასიან ბაღში ატარონ. ამით, ფაქტია, მშობელთა უფლებები ირღვევა, რადგან 207-ე ბაღი სახელმწიფო დაწესებულებაა, შემოწირულობა კი ნებაყოფლობითი უნდა იყოს. თუმცა, ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ, რადგან სახელმწიფო ბაღებს საჭიროებისამებრ ვერ აფინანსებს, რაც მეტს გადაიხდის მშობელი, მით უკეთეს პირობებში იქნება მისი შვილი. 207-ე ბაღში, ბევრ სხვა სახელმწიფო ბაღთან შედარებით რომ უკეთესი გარემოა, ეს შენობაში შესვლისთანავე გეცემათ თვალში. ახლად გარემონტებული, სუფთა ოთახები, სამზარეულოში – ახლად ნაყიდი გაზქურები და წყლის ნიჟარები, საპირფარეშოებში - გაკრიალებული უნიტაზები; ცხელი წყალი; ორი დიდი დარბაზი: ერთი - სპორტული, მეორე – საკონცერტო; ხალიჩები, სავარძლები, ახალი და ნაირ-ნაირი სათამაშოები, რვეულები, ფანქრები, თოჯინების თეატრი; მენიუში - ყველი, ხაჭო, ხორცი, ტკბილეული და ხილი – თითქმის, ყოველ დღე.

**"ამ ბაღს დასაწუნი ნამდვილად არაფერი აქვს. ჩემს შვილს, შუადღისას რომ აძინებენ, ერთადერთი ეს არ მოსწონს. უფროსი გოგონაც აქ დამყავდა და კმაყოფილი ვარ",** – გვითხრა მშობელმა, რომელსაც ატირებული 4 წლის ბიჭი მიჰყავდა ბაღში.

**"გეთანხმებით, რომ დიდი გადასახადის გამო, მშობელთა უფლებები ირღვევა, მაგრამ მინდა, ისეთი ბაღი მქონდეს, სადაც შენობა თავზე არ დაგვენგრევა და პატარებს ყველა საჭირო ნივთი ექნებათ. ეს კი - მხოლოდ მერიის დაფინანსებით ან მშობელთა მცირედი შემოწირულობით ვერ მოხერხდება. არადა, კერძო ბაღი რომ გახსნა, ამხელა შენობას სად იშოვი? რატომ არ შეიძლება, რომ სახელმწიფომ იმდენი ბაღი დაიტოვოს, რამდენის ნორმალურად შენახვაც ბიუჯეტს შეუძლია, დანარჩენი შენობები კი იჯარით გაიცეს, რომ კერძო ბაღის ნორმალურ პირობებში გახსნის საშუალება მოგვეცეს",** – ამბობს 207-ე ბაღის დირექტორი მარინა ცინცაძე.

**3. პადაგოგთა ანაზღაურება**

როგორც მერიის განათლების მეურნეობის სამსახურის ხელმძღვანელი ამბობს, ზოგიერთ ბაღში მშობელთა შემოწირულობა პედაგოგთა ანაზღაურებასაც ხმარდება.

მაგალითად მას 207-ე ბაღი მოჰყავს. ამ ფაქტს არც მანანა ცინცაძე უარყოფს. **"მშობელთა მიერ გადახდილ 60 ლარს პედაგოგების ხელფასებზეც ვანაწილებთ. ჩვენს ბაღში სტანდარტზევით სწავლებაა - ანუ ბავშვებს, ეროვნულის გარდა, სოროსის პროგრამებითაც ვამეცადინებთ. დამატებით ვასწავლით ინგლისურ და რუსულ ენებს, ცეკვას, ქართულ ხალხურ სიმღერებს, ხელგარჯილობას. თუმცა, ეს დამატებითი საგნებიც რომ არ იყოს, პედაგოგს რაც მეტი ანაზღაურება ექნება, ბავშვებს მეტი ხალისით ამეცადინებს. დანარჩენი ბაღების პედაგოგებს 40-60 ლარი აქვთ ანაზღაურება, ჩვენთან კი საშუალო ხელფასი 100-120 ლარია. რაც მთავრია, მშობლები თანახმა არიან, რომ მათ მიერ შემოტანილი თანხა აღმზრდელებისა და პედაგოგების ანაზღაურებასაც მოხმარდეს. ეს, უპირველესად, მათი შვილებისთვისვეა კარგი",** – განმარტავს ცინცაძე. ინეზა ლომთაძე ბაღის ხელმძღვანელთა ამგვარ ქმედებას მაინც არ ამართლებს: **"კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს; თანაც, სტანდარტის ზევით სწავლებით რომ იმართლებენ თავს, მუსიკის სწავლება სახელმწიფო პროგრამაში შედის და მასწავლებლებს ხელფასს სახელმწიფო უხდის".**

## სწავლების მეთოდი

ბაღების ეროვნული პროგრამის მიხედვით, რომელიც 2002 წელს არის შემუშავებული, საბავშვო ბაღებში მეცადინეობები დღის განმავლობაში ნელ-ნელა და თამაშ-თამაშით უნდა ტარდებოდეს. მეცადინეობაში შედის მშობლიური ენის (საბავშვო ლექსები, ზღაპრები, სხვა), გარემოს გაცნობის, მათემატიკისა (თვლა-ანგარიში, მაქსიმუმ, 10-ის ფარგლებში) და მუსიკის (საბავშვო სიმღერები) სწავლება. როგორც თბილისის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მთავარი სპეციალისტი მანანა დადიანიძე აცხადებს, დედაქალაქში არსებული ბაღები აღნიშნული პროგრამის მოთხოვნებს მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ. **"პედაგოგებთან დასამდური არაფერი გვაქვს. უბრალოდ, თუ რაღაც ვერ კეთდება, ამისი მიზეზი ბაღების მწირი დაფინანსებაა. მართალია, კარგი პედაგოგი ბავშვების დაინტერესებას ცოტა სათამაშოთიც მოახერხებს, მაგრამ, ბუნებრივია, როცა ბაღში კარგი პირობებია და აღსაზრდელს კომფორტი, საკანცელარიო ნივთები და სათამაშოები არ აკლია, ის უკეთ ვითარდება",** – აცხადებს მანანა დადაიანიძე.

მერიის განათლების მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილეს ინეზა ლომთაძეს კი პრეტენზია ბაღის პედაგოგების მიმართ აქვს: **"რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, უკვე 50-მდე ბაღი შევამოწმეთ. ზოგმა მუსიკის მასწავლებელმა ნორმალურად დაკვრაც კი არ იცის; თან, 3-4 წლის ბავშვებს, ასაკის შესაფერისი სიმღერების ნაცვლად, სასიყვარულო სიმღერებს ასწავლიან. ზოგი პატარა, ტექსტის შინაარსს ვერც კი ხვდება, ისე მღერის".**

მაგალითისთვის სპეციალურად შევარჩიეთ დედაქალაქის სახელმწიფო ბაღები. სახელმწიფო ბაღებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება უკეთ ჩანს. სახელმწიფო დედაქალაქის 183 ბაღს თვითონ, ფაქტობრივად, ვერ აფინანსებს, რითაც ბაღების ხელმძღვანელობას უკანონობისკენ უბიძგებს. თბილისის საბავშვო ბაღებში არსებული სიტუაციის ფონზე, ადვილი წარმოსადგენია, დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში რა მდგომარეობაც იქნება.

# კურთხევის დღე



აღსრულდა. საქართველოს დედაქალაქში, ელიას მთაზე წმინდა სამების სადიდებელი გვირგვინი დაიდგა. ოთხწლიანი შრომის, ღვაწლისა და ლოცვის შემდეგ აშენდა წმინდა სამების დიდებული ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი, რომელიც კიდევ 11 ტაძარს აერთიანებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ტაძარი გუშინ, დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს აკურთხა. კურთხევის შემდეგ უწმინდესმა აღავლინა საზეიმო წირვა-ლოცვა, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელი. ამიტომაც ისმოდა წირვის დროს სადიდებლები ძველბერძნულ და რუსულ ენებზეც. ცხადია, უწმინდესთან ერთად ლოცულობდა საქართველოს ყველა ეპარქიის მღვდელმთავარიც.

მრევლი ტაძარში ვერ დაეტია და მორწმუნეთა დიდი ნაწილი გარეთ გამოტანილი გამაძლიერებლების საშუალებით ისმენდა ლოცვას.

კარიბჭიდან ტაძრის კიბემდე გაფენილ წითელ ხალიჩას ორივე მხარეს მწკრივად ედგა საპატიო ყარაული. აქა-იქ ძველი მხედრული ფორმით შემოსილი ადამიანებიც ჩანდნენ. ყოველ დელეგაციას ზარების გუგუნით ხვდებოდნენ და ტაძრის შესასვლელამდე დროშიანი სტიქაროსნები აცილებდნენ. ასე შევიდნენ ტაძარში უმაღლესი სასულიერო იერარქიის წარმომადგენლები, მღვდლები, სახელოვანი მეცნიერები, ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩოხოსნები და სხვა მორწმუნე მრევლი. სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებიც.



წირვის დასასრულს ხალიჩაზე გამოჩნდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. უწმინდესი მათ ტაძრის შუაგულში მიეგება.

და ბრძანა პატრიარქმა: **"თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ყოვლად სამღვდელონო მღვდელმთავარნო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, დანო და ძმანო. წმინდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ფსალმუნში ბრძანებს: "დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი." ჩვენ ვართ მომსწრენი ამ დიდი საკვირველებისა. სიმდაბლით შევთხოვ ყოვლადწმინდა სამებას, რათა სუფევდეს ჩვენში და მცირე ძღვნად მიიღოს ჩვენგან ეს წმინდა ტაძარი. ჟამსა შეჭირვებისასა, შეწევნითა უფლისათა, ქართველმა ხალხმა ააშენა ტაძარი წმინდისა სამებისა სადიდებლად ღმრთისა და მოსაქცევად ერისა ჩვენისა. დიდება მოწყალებასა შენსა უფალო. წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ესე აღაშენე შენ უფალო, მოწყალეო ღმერთო. ჩვენ კი ვიყავით მდაბალნი მუშაკნი შენნი. და აღაშენე ესე იმედად და ნუგეშად ჩვენდა და სადიდებლად შენდა.**



**ტაძარსა ამას შინა ჩვენი ერი აღავლენს სადიდებელსა უფლისასა. უფლისადმი აღევლინებიან ლოცვანნი ჩვენნი, ვითარცა საკმეველი წინაშე ღმრთისა. აქ დაიღვრება მრავალი ცრემლი სინანულისა, განედლდებიან გულნი ჩვენნი ცოდვათაგან მომწყდარნი და აღდგება საქართველო, ვითარცა ლაზარე ძილისაგან და ღამისა დიდისა. სინანულითა ჩვენითა და მეოხებითა ყოვლადწმინდისა ღმრთისმშობლისათა გაბრწყინდება დალოცვილი და კურთხეული იბერია. იბერიელნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოისანნო, გესმოდეთ სიტყვანი უფლისანი: "აჰა, ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი გაღებული, რომლისა დახშვას ვერავინ შემძლებელ არს"! მაშ, შევიდეთ ძმანო და დანო, კარითა ამით და ვიყოთ მკვიდრნი სასუფეველისანი. ტაძარსა ამას შინა ღმერთმა ისმინოს ლოცვანნი ჩვენნი და წმინდა გვყოს ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნეს სულნი ჩვენნი. ჩვენთან არს ღმერთი!**



**წმინდანნო მეფენო, დედოფალნო, მღვდელმთავარნო და კათოლიკოს-პატრიარქნო საქართველოისნო, ჩვენო დიდო წინაპარნო, მოწამენო, იხარეთ ჩვენთან ერთად, იხარეთ სავანესა მართალთასა და აღავლინეთ ლოცვანნი თქვენნი უფლის წინაშე, რათა განმტკიცდეს ჩვენში მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული და სასოება; რათა უფალმა მიანიჭოს ქვეყანასა ჩვენსა მშვიდობა, მთლიანობა, ერსა ჩვენსა – ერთსულოვნება და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა.**

**სიმბოლურია ის, რომ ტაძარი წმინდისა სამებისა იკურთხება დღეს ხსენებასა წმინდისა გიორგისა. მთელი მსოფლიო აღნიშნავს მისი წამებიდან 1700 წლისთავს. დალოცოს მან ყოველი ადამიანი და განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ მშენებლობაში წმინდისა ამის ტაძრისა. კურთხეულ იყოს მათი ოჯახები და მომავალი.**

**ღვთივკურთხეულო იბერიელნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოისნო, გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს. ღმერთს ებარებოდეთ და იხარეთ ორთავე სოფელსა შინა, ამინ!"**

პატრიარქის შემდეგ საპატიო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა: **"თქვენო უწმინდესობავ, პატივცემულო საზოგადოებავ, პატივცემულო სტუმრებო! გილოცავთ ამ დიდად მნიშვნელოვან დღეს ჩვენი ერის ცხოვრებაში. მინდა, მოგესალმოთ დღეს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერისათვის. მინდა, მივესალმო მის უწმინდესობას, რომლის მოღვაწეობის გვირგვინი არის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის გახსნა. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო, რომ ეს ტაძარი ააშენა მთელმა საქართველომ. ათიათასობით ადამიანს შემოჰქონდა შემოწირულობა. თითოეულ ქვაში, თითოეულ წახნაგში არის ქართველი ერის საუკეთესო იმედები და სურვილები. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო ჩვენი სულიერი მამის და ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის, მისი უწმინდესობის ღვაწლი. 70-იან წლებში, როცა ის ჩაუდგა სათავეში ჩვენს ეკლესიას, ბევრად მძიმე მდგომარეობა იყო – ტაძრები დანგრეული, სულიერი ცხოვრება დაცემული. მან მოახერხა რწმენის გამოღვიძება, ხალხის ეკლესიისაკენ შემობრუნება, ახალი ტაძრების აგება, სამონასტრო ცხოვრების აღდგენა-აღორძინება და ფართო მასშტაბებით გაშლა. ჩვენი ერის ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, როცა ვიბრძოდით ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, უწმინდესი ყოველთვის ჩვენი ერის გვერდით იდგა. მე ქედს ვიხრი მისი რწმენისა და გამბედაობის წინაშე და ვუსურვებ მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კიდევ მრავალი წლით ჩვენი ერის სულიერ მამობას და ეკლესიის წინამძღოლობას".**

ნესისამებრ, საქართველოს პატრიარქმა საქართველოს პრეზიდენტი ტაძრის კარამდე მიაცილა და დაემშვიდობა. საქართველოს პრეზიდენტმა მუხლი მოიდრიკა მის წინაშე და ხელზე ემთხვია.

*24 საათი*

# საქართველოს ერთიანობის მონუმენტი

"ვარდების რევოლუციის" წლისთავზე საქართველოს პარლამენტის შენობის წინ "საქართველოს ერთიანობის მონუმენტი" ქვეყნის ჰიმნის ფონზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

საზეიმო ცერემონიალი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა და მოსახლეობას "რევოლუციის სახელით" მიესალმა. **"საქართველოს რევოლუციამ გააკეთა ის, რომ სხვა ქვეყნებში და ქალაქებში საქართველოს დროშა ფრიალებს",** - განაცხადა პრეზიდენტმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პარლამენტის წინ შეკრებილები დალოცა და სრულიად საქართველოს გამარჯვება და გაბრწყინება უსურვა. **"ეს ადგილი, სადაც ჩვენ ახლა ვდგავართ, წმინდა ადგილია. 15 წლის წინათ აქ დაეცნენ ჩვენი გმირები, მაგრამ ეს იყო იმედი. მე დღესაც ნათლად წარმომიდგენია ის მძიმე 9 აპრილის ღამე",** - განაცხადა პატრიარქმა.



იური ლობოდინის ფოტო

*ეს ადგილი, სადაც ჩვენ ახლა ვდგავართ, წმინდა ადგილია.*

საქართველოს პერზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართველ ხალხს "საქართველოს ერთიანობის მონუმენტის" გახსნას ერთი წლის წინათ, საკუთარ ინაუგურაციაზე დაჰპირდა.

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა კავშირის საჯარისო ნაწილებმა საქართველოს პარლამენტის შენობის წინ მშვიდობიანი აქცია სასანგრე ნიჩბებით დაარბია. ამასთან, სამხედროებმა მომწამვლელი გაზიც გამოიყენეს, რასაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეეწირა. **ინტერ-პრესი**

# „კანონიერი ქურდის" პროცესი შესაძლოა, სკანდალის მიზეზი გახდეს

*ქუთაისის საქალაქო სასამართლო "კანონიერი ქურდის" ალეკო იმედაძის საქმეს განიხილავს. როგორც ირკვევა, პოლიციის მიერ მოპოვებული "მტკიცებულებები" უსაფუძვლოა, რის გამოც, არ გამორიცხავენ, რომ შეიძლება პროცესი სკანდალურად დასრულდეს და "კანონიერი ქურდი" პატიმრობიდან გაათავისუფლონ. შესაძლოა, ალეკო იმედაძე პირველი "კანონიერი ქურდი" აღმოჩნდეს, რომელსაც სასამართლოდან სწორედ ყალბი მტკიცებულების გამო გაათავისუფლებენ.*

ბექა სისუარი
*ქუთაისიდან*

ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ საქმეში ფიგურირებენ ცრუ მოწმეები, რომლებიც ათობით სხვა საქმეზეც არიან გამოყენებული, გაყალბებულია ანაბეჭდები და ასე შემდეგ გამოძიების ნამუშევრის უსუსურობას მოსამართლეც აღიარებს.

ალეკო იმედაძე, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ქურდების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას შეეწირა. იგი 2004 წლის 14 აპრილს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის დააკავეს. მისი ადვოკატის იაგო მხეიძის განმარტებით, **"იმედაძე ყოველგვარი ჩხრეკისა და კანონის აბსოლუტური იგნორირებით დააკავეს"**. იგი აცხადებს, რომ შემთხვევის ადგილზე "კანონიერ ქურდს" პოლიციამ იარაღი ჩაუდო, ადგილზე არ ჩატარებულა ჩხრეკა, რასაც ბუნებრივია, არც მოწმეები დასწრებიან. **"იმედაძე დღემდე უკანონო პატიმარია და მის მიმართ უკანონო დევნა ხორციელდება,"** - აცხადებს იაგო მხეიძე. მის მიერ გამოკითხული იქნა იმედაძის დაკავების თვითმხილველი მოწმეები: სტუდენტები, ლექტორ-მასწავლებლები და ტექნიკური თანამშრომელი. ისინი ადასტურებენ, რომ დაკავებისას პოლიციის მხრიდან, იმედაძის ჩხრეკას და მისგან იარაღის ამოღებას ადგილი არ ჰქონია.



*პროცესზე ცრუ მოწმე მაჭარაშვილი არათუ ადვოკატმა, მოსამართლე შალვა ხაჭაპურიძემაც ამოიცნო.*

რაც შეეხება პროცესზე წარმოდგენილ ცრუ მოწმეებს, ადვოკატი განმარტავს, რომ ისინი პოლიციის შტატიანი მოწმეები არიან და პირადად მას ისინი ათობით პროცესზე ჰყავს ნანახი. **"ნუგზარ ბალანჩვაძე, ემელიან მაჭარაშვილი და ჯუმბერ საკანდელიძე, პოლიციის შტატიანი დამსწრეები არიან, რომლებიც სისხლის სამართლის ათეულობით საქმეში ფიგურირებენ. ეს ხალხი პენსიონერები არიან, რომელთა ძირითადი საქმიანობაც შეკერილ საქმეებზე დამსწრედ გამოსვლაა,"** - განმარტავს ადვოკატი. პროცესზე მოწმე მაჭარაშვილი არათუ ადვოკატმა, მოსამართლე შალვა ხაჭაპურიძემაც ამოიცნო. **"პირადად თქვენ რამდენიმე პროცესზე მყავხართ ნანახი, დადიხართ ქალაქში და ეძებთ დანაშაულს, თუ რა ხდება? თქვენ საზოგადოებისათვის საშიში ხართ..."** – ასე მიმართა მან მაჭარაშვილს.

მაჭარაშვილი სხვა "კანონიერი ქურდების" საქმეშიც მოწმის სტატუსით ფიგურირებს. ერთ-ერთი მათგანია ხონელი გრიგოლ ჩიხლაძე, მეტსახელად "ჩიბუხა". იგი ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში დააკავეს. აღნიშნული მოწმეები ჩხრეკისას მათხოჯშიც აღმოჩნდნენ. პროცესზე ერთ-ერთ მათგანს განუცხადებია, რომ ხონში ბაზრობაზე იმყოფებოდა, თუმცა როგორც გაირკვა, იმ დღეს ბაზრობა საერთოდ არ ყოფილა. **"პროცესზე ის ვერ აღწერდა მათხოჯს და, საერთოდ, გარდა ჩიხლაძისგან ნარკოტიკის ამოღებისა, ვერც ერთ სხვა შეკითხვას პასუხს ვერ სცემდა. ყველაფერზე აცხადებდა, არ მახსოვსო,"** - აცხადებს იაგო მხეიძე. რაც შეეხება იმედაძის საქმეს, სასამართლო პროცესი მოწმეების გამოუცხადებლობის გამო არაერთხელ გადაიდო. გამოუცხადებლობის მიზეზად მოწმეების ავადმყოფობა სახელდებოდა, ადვოკატმა კი პროცესზე ვიდეო-კასეტა წარმოადგინა, სადაც მაჭარაშვილი ადგილობრივ ტელევიზიას მაშინ აძლევს ინტერვიუს, როდესაც წესით, თბილისში სამკურნალოდ უნდა ყოფილიყო. აღნიშნულის გამო მოსამართლე ხაჭაპურიძემ, იმ პოლიციელების მიმართ, ვინც მოწმეები პროცესზე ვერ წარმოადგინა, ცალკე განჩინება გამოიტანა. მოსამართლემ განჩინება, ასევე, გამოიტანა მოწმის მიმართაც და პროკურატურას დაავალა, გაერკვია, როგორ ჩნდებიან ხოლმე მაჭარაძე და ბალანჩივაძე ეჭვმიტანილთა დაკავების ადგილებზე.




## მოკლედ

### ვუდროფის მკვლელობის საქმე ხელახალ გამოძიებაში არ დაბრუნდება

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმე ხელახალ გამოძიებაში არ დაბრუნდება.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა ვუდროფის ოჯახის ადვოკატის მაიკლ ფულარას სარჩელი, რომლითაც ის გენერალური პროკურატურის დადგენილების გაუქმებას და საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნებას მოითხოვდა.

აშშ-ის მიერ მკვლელობის ფაქტზე ჩატარებული დამოუკიდებელი გამოძიების მასალებზე დაყრდნობით, ფულარა აცხადებს, რომ საქართველოს სამართალდამცველმა სტრუქტურებმა საქმე არაობიექტურად გამოიძიეს და აღნიშნული მკვლელობისთვის უდანაშაულო პირი დასაჯეს. სასამართლომ აღნიშნულ დანაშაულში ბრალდებულ ყოფილ გვარდიელს ანზორ შარმაიძეს თავისუფლების 15 წლით აღკვეთა მიუსაჯა. ***ინტერ-პრესი***

### საჩუქარი პოლიციას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეგიონულ სამმართველოებს გუშინ 30-მდე ავტომანქანა გადასცა. "უაზისა" და "ფოლკსვაგენ ბორას" მარკის ავტომანქანები საქართველოს ცხრა რეგიონში გადანაწილდება.

როგორც შს სამინისტროში განმარტეს, აღნიშნული მანქანები ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით არის შეძენილი. შს მინისტრის მოადგილის, მალხაზ მაისურაძის განცხადებით, ამ ღონისძიებით შს რეგიონული სამმართველოების მუშაობა გაცილებით ეფექტური გახდება. **ინტერ-პრესი**

### საჩვენებელი ოპერაცია თეთრიწყაროში

თეთრიწყაროს რაიონის დაბა მანგლისში გუშინ პოლიციის ქვეგანყოფილება გაიხსნა. ქვეგანყოფილების გახსნას ქვემო ქართლის პოლიციის 120-კაციანი შემადგენლობის საჩვენებელი წვრთნა უძღოდა წინ, რომლის დროსაც პოლიციელებმა, შენობის შტურმით აღების შედეგად, ტერორისტთა ჯგუფის დაკავების ოპერაციის ინსცენირება მოაწყვეს. დაბა მანგლისის პოლიციის ქვეგანყოფილება ევროსდატანდარტების დონეზე აღიჭურვა. ამისთვის საჭირო 22 ათასი ლარი რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. ქვეგანყოფილების გახსნაზე შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს ელოდნენ, თუმცა ის მანგლისში არ ჩასულა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კემულარია სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს მოსამართლეთა სწავლების აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებულ ორდღიან კონფერენციაში. როგორც უზენაეს სასამართლოში აცხადებენ, კონფერენცია 22-26 ნოემბერს პარიზსა და ბორდოში გაიმართება და მასში ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. კონფერენციას საქართველოს სამოსამართლო სწავლების ცენტრის დირექტორი დავით სააკაშვილიც დაესწრება. შეხვედრას საფრანგეთის მოსამართლეთა სწავლების ნაციონალური ცენტრი მასპინძლობს. კონფერენციაზე სასამართლო სისტემის სრულყოფის პრობლემებზე ისაუბრებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სამტრედია.** სამტრედიელმა პოლიციელებმა, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე, ადგილობრივი მკვიდრი, 21 წლის მანუჩარ გავაშელაშვილი დააკავეს, რომელიც სახლში ფეთქებად ნივთიერებას მალავდა. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 200 გრ. ასაფეთქებელი ნივთიერება "ტროტილი" ამოიღეს.

დაკავებული წინასწარი პატიმრობის საკანში გადაიყვანეს. ფაქტზე გამოძიებას რაიონის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** საქართველოს ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ზესტაფონში უაქციზო საქონელს მიაკვლიეს. ზესტაფონში, სულხან-საბას ქუჩაზე, N12-ში მცხოვრებ ბადრი ლელაძეს საცხოვრებელი სახლის სათავსოდან სამართალდამცველებმა 220 ყუთი სომხური წარმოების უაქციზო კონიაკი ამოიღეს. საქონლის საერთო ღირებულებამ, საბაზრო ფასით, 12.000 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ნატახტართან ცხინვალიდან თბილისის მიმართულებით მომავალი "ბეემვეს" მარკის ავტომანქანა დააკავეს, რომელსაც რუსული უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა.

როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, პოლიციის თანამშრომლებმა ავტომანქანიდან, რომელსაც მძღოლი ზ. ნაპირაშვილი მართავდა, 350 კოლოფი უაქციზო "ნოვოსტი" და 730 კოლოფი "ტროიკა" ამოიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი........................................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ........................................

საკონტაქტო ტელეფონი..........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# რეფორმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში

ლევან იზორია
*სამართლის დოქტორი (გერმანია), თსუ-ს დოცენტი, შსს აკადემიის რექტორი*

*ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფოში კორუფციული წესრიგის დამარცხება და სამართლებრივ წესრიგზე გადასვლა იყო. აღნიშნული გარდამავალი პროცესი შეიძლება მხოლოდ მმართველის პრინციპული ნებით იყოს უზრუნველყოფილი. ეს კი საბოლოოდ მყარი საფუძველი გახდება სახელმწიფოში ობიექტური და გამჭვირვალე სამსახურების შექმნისათვის.*

### კორუფცია

შსს აკადემიის ფარგლებში კორუფციის აღმოფხვრა ნიშნავდა გამჭირვალე და ობიექტური საგამოცდო სისტემის შექმნას, რომელიც კურსანტთა ცოდნას რეალურად გამოავლენდა. ამ მხრივ შედეგები სავალალო აღმოჩნდა. წელს დაუსწრებელი სწავლების სექტორზე 200-მდე მსმენელმა ვერ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და შესაბამისად, ვერ მიიღო დიპლომი. დიპლომი მხოლოდ 23 სტუდენტს ერგო. მძიმე სურათი იყო, ასევე, დასწრებული სწავლების სექტორის კურსიდან კურსზე გადასასვლელ გამოცდებზე. წელს 552 კურსანტიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო და აკადემიიდან გაირიცხა 113 კურსანტი. ეს შედეგები არ განაპირობა გამოცდების გამკაცრებამ. პირიქით, გამოცდები საკმაოდ ლოიალურად ჩატარდა. კერძოდ, კურსანტს, ვინც ვერ მიიღო გამოცდაზე დადებითი შეფასება, ერთკვირიანი ინტერვალით 4-ჯერ მიეცა გამოცდებზე გასვლის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, მათი მომზადების დონე საერთოდ არ შეესაბამება კვალიფიციური კადრების მოთხოვნებს.

ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში, მათ შორის შსს აკადემიაში კორუფციის მრავალწლიანმა ტრადიციამ გამოიწვია საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის - ახალგაზრდების სულიერი პოტენციალის დაჩლუნგება. სახეზეა ზარმაცი, არამოტივირებული და გზააბნეული ახალგაზრდების დიდი ნაწილი. ქვეყნის განვითარება კი, სწორედ განათლებული და თითოეული სფეროსთვის კვალიფიციური კადრების მომზადებით იწყება. ეს, პირველ რიგში, სასწავლებლებში დისციპლინით, ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით მიიღწევა. არაფერი ისე არ აკნინებს თანამედროვე სამყაროში ერს, როგორც კორუფციით შეფასებული "ცოდნა".

### სტრუქტურული რეორგანიზაცია და შრომის ანაზღაურება

შსს აკადემიაში კორუფციის დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა პედაგოგ-მასწავლებელთა ნორმალური სახელფასო უზრუნველყოფის გარეშე. რეფორმის შედეგად თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება საშუალოდ 4-ჯერ გაიზარდა. რეფორმებამდე მასწავლებლის ხელფასი 120 ლარი იყო, რეფორმების შემდეგ კი, იგი 435 ლარი გახდა. განყოფილების უფროსის ხელფასი იყო 151 ლარი, რომელიც დღეს 600 ლარს შეადგენს, კათედრის ხელმძღვანელის ხელფასი იყო 172 ლარი, ამჟამად იგი 675 ლარია, მუშა-პერსონალი იღებდა 29 ლარს, დღეს მათი ხელფასია 115 ლარი.

ხელფასების მომატება შესაძლებელი გახდა კადრების ოპტიმიზაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად. რეფორმებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის შსს აკადემიის სტრუქტურას 650 საშტატო ერთეული წარმოადგენდა. მარტო სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურს 104 საშტატო თანამშრომელი ჰყავდა. საშტატო განრიგში იმყოფებოდა 71 თანამშრომელი, რომლებიც პოლიციის შესახებ მოქმედი კანონით საპენსიო ასაკს იყვნენ მიღწეული. გადატვირთული იყო როგორც სამსახურების, ისე კათედრების წევრთა რაოდენობა და იგი რეალურ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, ზოგიერთი სამსახური და კათედრა უფუნქციოდაც არსებობდა.

რეფორმების შედეგად შსს აკადემიის საშტატო განრიგი დღეს 159 ერთეულს წარმოადგენს. განხორციელდა დაახლოებით 75 პროცენტიანი შემცირება. აღნიშნული სტრუქტურული რეორგანიზაცია აკადემიის სრულყოფილ ფუნქციონირებას სავსებით პასუხობს.

რეორგანიზაციის შედეგად შტატგარეშე დარჩენილ ყველა თანამშრომელზე გაიცა კანონით გათვალისწინებული კომპენსაციები: ატესტირებულ შემადგენლობაზე - კადრების განკარგულებაში ყოფნის ოთხთვიანი ვადის ანაზღაურებით, აგრეთვე შს ორგანოებიდან დათხოვნისას 4 თვის კომპენსაციითა და გამოუყენებელი შვებულების ფულადი სარგოთი, ხოლო მოსამსახურეებზე - სამი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით.

ახლად ჩამოყალიბებულ 159 საშტატო ერთეულზე, კათედრებზე და სამსახურებში დაინიშნენ კონკურსის წესით შერჩეული კვალიფიციური თანამშრომლები.

კადრების ოპტიმიზაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომელთაც უმწიკვლო რეპუტაცია გააჩნიათ. მოწვეულ იქნენ ასპირანტი იურისტები, რომლებიც დღეს აქტიურად არიან ჩაბმული აკადემიის სასწავლო პროცესში. სწორედ მათი მეშვეობით იქნა შესაძლებელი გამოცდების გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარება. ეს პროცესი მომავალშიც შეუქცევადი იქნება.

### აკადემიის სტატუსი

შსს აკადემიის რეფორმების კონცეფციის შესაბამისად მომავალში აკადემიას არ ექნება უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი. დღემდე აკადემიაში ასწავლიან სამართალმცოდნეობის სპეციალობით. კერძოდ, ოთხწლიანი სწავლების შემდეგ აკადემიის კურსდამთავრებული იღებს იურისტის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს. აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება პოლიციის აკადემიის დანიშნულებას. იურისტის კვალიფიკაცია გულისხმობს სამართლის ცალკეული დარგების უნივერსალურ დაუფლებას, რომელიც მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, ნოტარიუსის ან რომელიმე კერძო ფირმის იურისტის პრაქტიკული მოღვაწეობისათვის არის აუცილებელი პირობა. რაც შეეხება პოლიციელის პრაქტიკულ საქმიანობას, მისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, იცოდეს, მაგალითისთვის, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნაწილი ისე უნივერსალურად, როგორც ეს იურისტებს მოეთხოვება. პოლიციელისათვის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის იმ ნორმების ცოდნა, ისიც მათი პრაქტიკული გამოყენების კუთხით, რომელიც მის ყოველდღიურ საქმიანობას უკავშირდება. ამიტომ მოქალაქე, რომელიც სურვილს გამოთქვამს, გახდეს პოლიციელი, სახელმწიფომ უნდა მოამზადოს ისეთი ეფექტური წვრთნის პროგრამით, რომელიც პრაქტიკულ შედეგზე იქნება ორიენტირებული. მომავალში შსს სისტემის თანამშრომლების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამსახურეობრივი წინსვლის საფუძველი შსს აკადემიაში მიღებული პროფესიული ცოდნა უნდა გახდეს.

შსს აკადემიის უმაღლესი სასწავლებლის სტატუსიდან პროფესიული სასწავლებლის სტატუსზე გადასვლის მიზნით, ამ ეტაპისთვის განისაზღვრა გარდამავალი პერიოდის პრიორიტეტები. პირველ რიგში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ის სტუდენტები, რომლებიც ამჟამად სწავლობენ აკადემიაში, ერთი წლის ფარგლებში შეზღუდული პროგრამით დაასრულებენ სწავლას. კერძოდ, IV კურსის სტუდენტები ამ წლის დეკემბერში, III კურსის სტუდენტები მომავალი წლის მაისში, ხოლო II კურსის სტუდენტები მომავალი წლის შემოდგომაზე, რა თქმა უნდა, ობიექტური და გამჭვირვალე გამოცდების საფუძველზე. პოლიციის აკადემიაში მოქალაქეების მიღება სამართალმცოდნეობის პროფილით შეწყდა და, ბუნებრივია, მომავალშიც აღარ იქნება.




### ახალი სასწავლო პროგრამები და მეთოდები

აკადემიაში პროფესიული სწავლების სტასუსზე სრულყოფილად გადასვლა მომავალ წელს განხორციელდება. მანამდე, გარდამავალ პერიოდში მთავარი ამოცანა პროფესიულად სწავლების შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მეთოდების დანერგვაა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამებითა და მეთოდებით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით აკადემიამ ორგანიზება გაუწია მთელ რიგ ტრენინგებსა და სემინარებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ ექსპერტები გერმანიის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ლატვიის პოლიციის წამყვანი სასწავლო ცენტრებიდან. ეს პროცესი ინტენსიურად გაგრძელდება.

აღნიშნული ტრენინგის მონაწილეებმა შეიძინეს ის უნარ-ჩვევები, რომელიც ინტერაქტიული სწავლების ეფექტურად წარმართვისთვისაა აუცილებელი. სემინარების ფარგლებში გაიმართა დისკუსიები, პრეზენტაციები, ჯგუფური ვარჯიშები, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: პოლიციელის პროფესიული ეთიკა, პოლიციელის მიერ ძალის გამოყენება, ადამიანის უფლებები, ფსიქოლოგიური მომზადება და სხვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კონსტიტუციური და სამართლებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის (COLPI) მიერ მომზადებული პოლიციელთა პროფესიული მომზადების სასწავლო მოდულების დანერგვა სასწავლო პროცესში. აღნიშნული მოდულების საფუძველზე აკადემიის მასწავლებლებმა ტრენინგი გაიარეს ამა წლის 20-25 სექტემბერს, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივის მხარდაჭერით. ერთ-ერთი მოდული უშუალოდ მასწავლებელთა უნარ-ჩვევების დახვეწას ეძღვნება. აღნიშნულ მოდულთა სერია მოიცავს 12 CD- ROM-ს და ეხება ისეთ თემატიკას, როგორიცაა: მაგალითად პოლიციელის მიერ ძალისა და იარაღის გამოყენება, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, საგზაო წესები, დაზარალებულთან ურთიერთობა და სხვ. CD-ის პრეზენტაციით მასწავლებელს ლექცია-სემინარზე შესაძლებლობა ეძლევა, მსმენელს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიაწოდოს კონკრეტული მაგალითები პოლიციელის ყოველდღიური ცხოვრებიდან, რომელიც ზემოთაღნიშნულ თემატიკას ეხება.

აღნიშნული მეთოდიკით ჩატარებული მეცადინეობებისას მსმენელთა აქტიურობა მაქსიმალურია. ნაჩვენები კადრების მიხედვით მსმენელი აკეთებს შეფასებას, თუ რა იყო პოლიციელის არასწორი მოქმედება, რა ტაქტიკური შეცდომები იყო მათ მიერ დაშვებული, სწავლობს სიტუაციის ფსიქოლოგიურ მართვას, ოპერაციების დაგეგმვას, აფასებს ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას და სხვა. ყოველივე ეს მსმენელს უვითარებს სწორი, სხარტი გადაწყვეტილებისა და მოქმედების უნარს.

ამჟამად, მოდულების თანმიმდევრული ადაპტაცია პოლიციის აკადემიის პედაგოგების მიერ ახლად შექმნილი საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მოსამზადებლად ხდება. იგი ასახავს გარდამავალ პერიოდში პოლიციის აკადემიაში პროფესიული სასწავლებლის სტატუსის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროგრამების დანერგვის თანმიმდევრულ პროცესს, რომელიც მის სრულყოფილ კონდიციამდე ახალი ელემენტებით კიდევ უფრო დაიხვეწება.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია ასევე პედაგოგების გარკვეული ნაწილის მივლინება განვითარებული ქვეყნების პოლიციის აკადემიაში, რათა ადგილზე მოხდეს გამოცდილების გაზიარება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც სერიოზული რეფორმები განახორციელეს საბჭოთა ტრადიციების დაძლევისა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით. აღნიშნული ქვეყნები საქართველოსათვის ყველაზე კარგი პარტნიორები შეიძლება გახდნენ რეფორმების პროცესში თანამშრომლობისათვის. ამა წლის დეკემბრიდან 3 თვით ესტონეთში სპეციალურ მომზადებას გაივლიან ქართველი პედაგოგები. ანალოგიური მივლინება შედგება ლიტვაში მომავალი წლის დასაწყისში. ეს პროცესი დინამიურ ხასიათს შეიძენს და უფრო მასშტაბური გახდება.

### ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და შენობის რეკონსტრუქცია

აკადემიის სასწავლო პროცესში ახალი მეთოდების დანერგვა ითხოვს აკადემიის კომპიუტერიზაციას და შესაბამისი ტექნიკის შეძენას. რეფორმების პერიოდში შეძენილია 20 ერთეული (პენტიუმ 4 ტიპის) კომპიუტერი და 4 პროექტორი. მომავალ წელს ეს რაოდენობა გაორმაგდება. აკადემია უზრუნველყოფილია ინტერნეტით და კომპიუტერული შიდა ქსელით აგრეთვე შეიქმნა აკადემიის ვებ გვერდი.

რეფორმების პროცესში განისაზღვრა კურსანტთა ახალი ფორმებით, აუდიტორიების ახალი ინტერიერითა და სამჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა, ამასთან აკადემიის ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე განისაზღვრა აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების გეგმა. დღემდე კურსანტები და აკადემიის ოფიცრობა ატარებდა საბჭოთა მილიციის ფორმებს, რომელსაც საკუთარი ხარჯებით იკერავდნენ. არაორგანიზებული და უხარისხო იყო კვების საკითხი. მძიმე მდგომარეობაში იყო სასწავლო ინვენტარი, განსაკუთრებით სკამები და მერხები. გაპარტახებული და ელემენტარული დეზინფექციის ნორმებს არ პასუხობდა სველი წერტილები, რომელიც ადამიანის ღირსებას ლახავდა.

დღეს აკადემიის კურსანტები უზრუნველყოფილი არიან ახალი ფორმით, სამჯერადი უფასო კვებით, შეძენილია ყველა აუდიტორიისათვის საჭირო რაოდენობის სასწავლო ინვენტარი, სველი წერტილები რემონტის შედეგად ისეთ მდგომარეობაშია, როგორც ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის სასწავლებლებში. აკადემიის ტერიტორიაზე მოეწყო თანამედროვე სტილის კაპიტალური ავტოსადგომი.

ვარდების რევოლუციის წლისთავზე შენობა-ნაგებობების მთლიანი რეკონსტრუქციის პროცესს ამა წლის 22 ნოემბრიდან გააგრძელებს აშშ-ს მთავრობა, რომელსაც ამ საქმისათვის გამოყოფილი აქვს 1 მილიონი დოლარი. აშშ მთავრობა ითამაშებს ასევე განსაკუთრებულ როლს აკადემიის პროფესიული სწავლების შესაბამისი სასწავლო პროგრამებითა და მეთოდიკით დანერგვის ხელშეწყობის საქმეში.

### ბიბლიოთეკა

რეკონსტრუქციის შემდეგ აკადემიაში შეიქმნება პოლიციის სპეციფიკის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ამჟამად არსებული ბიბლიოთეკა ფაქტობრივად არ შეიცავს პროფესიულ ლიტერატურას და პერიოდიკას. დაგეგმილია არა მარტო პროფესიული ლიტერატურის ფონდის შექმნა, არამედ პროფესიული ვიდეო და მულტიმედიური სასწავლო მასალებით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკა უნდა აღიჭურვოს ასევე კომპიუტერებით, რომლებშიც განთავსდება ბიბლიოთეკის წიგნების, პერიოდიკის, ვიდეო კასეტებისა და კომპაქტ დისკების მონაცემთა ბაზა, რაც გაამარტივებს სასურველი მასალის სწრაფ და ეფექტურ მოძიებას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიბლიოთეკის შესაქმნელად საჭირო აუცილებელი ღონისძიებების გატარება. კერძოდ, შედგენილ იქნა იმ წიგნების, მათ შორის უცხოენოვანი წიგნების სია, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალის სწავლებისას. აკადემიის ბიბლიოთეკისათვის წიგნების ფონდის შესაქმნელად აქვე გაწეულია გარკვეული დახმარება ადგილობრივი და უცხოური ორგანიზაციების მიერ. კერძოდ, წიგნები საჩუქრად გადასცა აკადემიას ღია საზოგადოება საქართველომ, ბრიტანეთის საბჭომ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ევროსაბჭოს საინფორმაციო ცენტრმა, ALPE-მ, აირისი საქართველომ, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა. ეს პროცესი გრძელდება სხვა ორგანიზაციებთან და ჩვენ უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

რეკონსტრუქციის შედეგად სიახლე იქნება ასევე აკადემიის მუზეუმისა და საკონფერენციო დარბაზის შექმნა.

### ქართულენოვანი სახელმძღვანელოები

აკადემიაში გააქტიურდება მუშაობა ქართულ ენაზე პოლიციელთა პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და პროფესიული ლიტერატურის შექმნის თვალსაზრისით. დღემდე საქართველოში ამ სფეროში დიდი დეფიციტია. მიღწეულია შეთანხმება ALPE–სთან ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში პოლიციელთათვის ინტერდისციპლინური, პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნის თაობაზე. აღნიშნული წიგნის სახით პოლიციელებს ხელთ ექნებათ სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იქნება იმ საქმიან ქაღალდთა ნიმუშები, რომელთა შედგენაც უხდებათ პოლიციელებს მათი ფუნქციების განხორციელების პროცესში. საქმიანი ქაღალდების შედგენის პრაქტიკულ წესებთან ერთად წიგნში მოცემული იქნება მათი თეორიული ახსნა და კონკრეტული საკანონმდებლო ბაზის მითითება. ამ ეტაპზე ასევე დაგეგმილია პოლიციელთა პროფესიული ტრენინგის მოდულთა ქართულ ენაზე თარგმნა და ადაპტირება. ამასთან დაკავშირებით უკვე მიღწეულია კონკრეტული შეთანხმება ღია საზოგადოება - საქართველოსთან. ქართულენოვანი პროფესიული სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალების შექმნის პროცესი იქნება ქართული პოლიციის აკადემიის განვითარების პირობა. ამიტომ მუშაობა ამ მიმართულებით უფრო მასშტაბური გახდება.

აკადემია უნდა გახდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ფარგლებში არა მარტო პოლიციელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, არამედ პროფესიული სახელმძღვანელოების შექმნის, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების, საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობის, საერთაშორისო პარტნიორობის და სხვა მსგავსი ინიციატივების კერა. ყველა ამ მიმართულებით მუშაობას უკვე ჩაეყარა საფუძველი.

### საერთაშორისო თანამშრომლობა

რეფორმების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო თანამშრომლობას. ამ თანამშრომლობის კონკრეტულ ფაქტებზე ზემოთ უკვე იყო საუბარი. კიდევ ერთხელ აღნიშვნის ღირსია, რომ აკადემიის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნების მხრიდან გამოცდილების გაზიარებაზე და კონკრეტული სახის დახმარებაზე. საქართველოში არსებული უცხო ქვეყნის წარმომადგენლობა და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებული არიან პოლიციის სფეროში ფართომაშტაბიანი თანამშრომლობით, საკუთარ პროექტებს უკავშირებენ აკადემიას, რადგან შსს სისტემის ფარგლებში დონორების ყველა რეფორმატორული წინადადება კადრების მომზადებისა და განათლების საკითხიდან იღებს დასაბამს. ყველაზე დიდ პარტნიორთან, აშშ-სთან ერთად, ინტენსიური თანამშრომლობა გვაქვს გერმანიის, საფრანგეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, ასევე ევროკავშირის, ევროსაბჭოს, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლობასთან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ამერიკელების მიერ თბილისში დაწყებული აკადემიის რეკონსტრუქციის პროცესი ევროპელების მიერ რეგიონებშიც გაგრძელდება პოლიციელთათვის ტრენინგის ბაზის შექმნის თვალსაზრისით, სადაც ადგილობრივი პოლიციელები აკადემიის პედაგოგების მიერ ჩატარებული მეცადინეობით აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

### არასამთავრობო სექტორი და მასმედია

აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან და მასმედიასთან. არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული საპატრულო პოლიციის მომზადების კურსებში. ამ თვალსაზრისით, აღნიშვნის ღირსია ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი და კლარიტასი XXI.

აკადემიაში რეფორმა ხორციელდება საზოგადოებისათვის. რეფორმის შედეგებს საზოგადოება იგრძნობს ქუჩაში პოლიციელის ზრდილობით, მიუკერძოებლობითა და კვალიფიკაციით. ამიტომ ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ მოსახლეობის წინაშე, რომ იგი სრულყოფილად იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა კეთდება აღნიშნული შედეგის მისაღწევად აკადემიაში. აქედან გამომდინარე, რეფორმების პროცესში მასმედიასთან თანამშრომლობა აკადემიისათვის არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

ყოველივე ზემოთქმული რეფორმატორული ინიციატივის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა აკადემიაში იმ პოლიტიკური ნების გარეშე, რომელიც ვარდების რევოლუციის შედეგად დამკვიდრდა ქვეყანაში. განსაკუთრებული გაბედულობისა და მოტივაციის საფუძველს გვაძლევს აკადემიაში მიმდინარე რეფორმებით ქვეყნის პრეზიდენტისა და სამინისტროს ხელმძღვანელობის უშუალო დაინტერესება და თანადგომა.

ვინ გახდება GEOSTAR?



აირჩიე შენი კერპი ჯეოსელის მეშვეობით.

B2

მე-11 და ნანატრი



გააუვნებელყოფს თუ არა U2 ატომურ ბომბს?

B3

მოგზაურობა ევროპაში - XXI და სხვა




B8


ნომრის სტუმარი

# ის, რასაც არ დავთმობთ

მაია ჭალაგანიძე

**- ეს ერთი წელი თქვენთვის საინტერესო და მოულოდნელობით აღსავსე იყო. აკეთებთ იმას, რის გაკეთებასაც ფიქრობდით, როდესაც ამ თანამდებობაზე მოხვედით?**

- ჩემი წელი 9 თვეს ითვლის. ეს ბავშვის დაბადებისთვის საჭირო პერიოდია. ასე მოკლე დრო იყო დასახული მიზნების შესასრულებლად. არ ვიტყვი, რომ ყველა გეგმა შევასრულე ამ სამინისტროში და კიდევ ნაკლებად - საგარეო პოლიტიკაში, რადგან ეს დრო ამისთვის საკმარისი არ არის, ეს ხანგრძლივი პროცესია. მაგრამ ის პირველი ცვლილებები, რომელიც ამ სამინისტროში და ასევე საგარეო პოლიტიკაში უნდა მომხდარიყო, მოხდა.

**- თქვენ და თქვენი უწყება რევოლუციის შემდგომ საქართველოს წარმოადგენთ საზღვარგარეთ. რა შეიცვალა ამ სტრუქტურის შიგნით, რა პრიორიტეტები აქვთ ახლა ქართველ დიპლომატებს?**

- სრულიად ვიზიარებ იმ პრიორიტეტებს, რომელიც პრეზიდენტმა დასახა. ამის საფუძველზე მოვედი და ვახორციელებ ამ პრიორიტეტებს.

**- დავიწყოთ იმ ცვლილებებით, რისი გატარებაც სამინისტროში დაგჭირდათ.**

- ცვლილებები აუცილებელი და საჭირო იყო, რადგან დემორალიზებული და უიმედო სამინისტრო დამხვდა. საგარეო პოლიტიკა აქ არ კეთდებოდა. სამინისტრო რაღაცნაირად ინერტული და პარალიზებული იყო. ამას გარედანაც ვუყურებდი. მათი საქმიანობა მცირე და არაადეკვატური იყო.

დანიშვნიდან პირველ თვეს შევხვდი ამ სამინისტროს ყველა დეპარტამენტს და აღმოვაჩინე, რომ კადრების კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის მხრივ, არც ისე ცუდად იყო საქმე. მაგრამ დემორალიზაცია ძალზე მძიმედ მოქმედებდა თანამშრომლებზე და მათ საქმიანობაზე. ამის გამოსწორებას რაც შეიძლებოდა სწრაფად და დინამიკურად შევუდექით. შემოვიღეთ დანიშვნების ახალი სისტემა, მაშინვე დავიწყეთ როტაცია და მუშაობა ატესტაციაზე. ეს პროცესი გასულ კვირას დამთავრდა. 15 დეკემბრიდან ჩატარდება კონკურსი, ეს პრესით იქნება გამოცხადებული.

ბევრად უფრო მომთხოვნი ვარ, ვიდრე ამას მიჩვეულები იყვნენ. ნელ-ნელა შემოვიტანე სხვა პრინციპები. თუნდაც ის, რომ დილის 9 საათზე ყველა ადგილზე უნდა იყოს. სხვათა შორის, ამას ახლა შემოწმებაც აღარ უნდა, რადგან ყველა ადგილზეა.

რაც შეეხება საელჩოებს - მანქანები და ტექნიკური საშუალებები იმისთვის არ არის, რომ ხელისუფლების აქედან ჩასულმა წევრებმა ისეირნონ, რა თქმა უნდა, ოფიციალური მივლინებები არ იგულისხმება. მოხდა საელჩოების ოპტიმიზაცია და ამის ხარჯზე გავზარდეთ სამინისტროს შიდა ხელფასები.

არის შიდა და გარე ცვლილებებისთვის გეგმების მთელი სერია. პირველად ამ სამინისტროში შემოვიღეთ ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც, კრიზისული სიტუაციების დროს, დაინტერესებულ ადამიანებს ინფორმაციის მიღება შეეძლებათ. ცხელმა ხაზმა ბესლანის ტრაგედიის დროს იმუშავა.

ახალი ისიც არის, რომ დიასპორების მიმართ სრულიად განსხვავებული პოლიტიკა გვაქვს. მიგვაჩნია, რომ დიასპორები სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეული საქართველოს ნაწილია. ჩვენი ვალია, ამ დიასპორებმა შესაძლებლობების შესაბამისად იმუშაონ საქართველოს სასარგებლოდ. ეს რთულია, მაგრამ მაინც უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტი. აღარ მინდა გავიგონო, რომ საქართველოს მოქალაქისთვის რომელიმე კარი დახურულია.

**- საელჩოებში, მართლაც, კატასტროფული მდგომარეობა იყო. ოფისისა და საცხოვრებლის ქირასაც ვერ იხდიდნენ და ბევრგან გამოსახლებამდეც მივიდა საქმე. ახლა?**

- დიახ, ასე იყო. იმ დროს, როდესაც არასამთავრობო და უცხოური ორგანიზაციები თანამშრომლებს 400-500 დოლარს უხდიდნენ, სამინისტროში ხელფასი 30-40 ლარი იყო. და რადგანაც ეს იყო ხალხი, რომელმაც იცის ენები და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები არიან, ბევრი გადადიოდა სამუშაოდ არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში. ამ ხალხის დაბრუნების პროცესიც დაიწყო. ნაწილი კონკურსამდე დროებით ავიყვანეთ სამუშაოდ და ბევრმა მათგანმა კონკურსისთვის განცხადებებიც შემოიტანა. სხვათა შორის, საზღვარგარეთ უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდებიც აგზავნიან საბუთებს, ჩვენთან მუშაობის დაწყების სურვილი აქვთ.

პირველ რიგში, ეს, ალბათ, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებთან არის დაკავშირებული. არ ვამბობ, რომ ყველა იმედი გამართლდა, მაგრამ ამასაც ხომ დრო უნდა. თუმცა, პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ამ სამინისტროში მუშაობის დიდი სურვილი და მზადყოფნა გაჩნდა.

**- ამ ეტაპზე სამინისტრომ ფუნქცია და დანიშნულება მთლიანად დაიბრუნა? საგარეო პოლიტიკაში წამყვან როლს თამაშობს?**

- მთლიანად ჯერ არ დაუბრუნებია, რადგან ჩვენი საელჩოები ისე არ ამოქმედებულა, როგორც საჭიროა. საელჩოებში უნდა მიეჩვიონ, რომ იმ წუთსავე და პირველ რიგში მოგვაწოდონ ინფორმაცია საქართველოს შესახებ, რათა იმავე დღეს მოვახდინოთ რეაგირება. საელჩოები იმისთვის არიან, რომ გააშუქონ ჩვენს ქვეყანაში მომხდარი თითოეული სიახლე ეკონომიკაში, აქტიურად იმუშაონ ინვესტიციების მოსაზიდად. 37-დან 19 ახალი ელჩია. ისინი სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას. ძალიან გაწელილია ელჩად დანიშვნის ბიუროკრატიული პროცედურა. ამის გამო ყველაზე რთულ პერიოდში, ოსეთის კრიზისის დროს, საელჩოთა ნახევარი ელჩის გარეშე, სრულიად უმოქმედო იყო. დანარჩენი საელჩოების უმეტესობა დაკომპლექტებული იყო ძველი ელჩებით, ვინც ნაკლებად სანდონი იყვნენ საიმისოდ, რომ ეს გზა გამოგვეყენებინა და ამ პოლიტიკური კრიზისის შესახებ სიმართლე გაგვეულერებინა.

ეს ძალზე რთული პროცესი ახლა უნდა დავიწყოთ - ელჩებმა და მთლიანად საელჩოებმა უნდა ისწავლონ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ჩვენ ყოველდღიურად ვაძლევთ ინფორმაციას (სიახლეა ჩვენი ვებგვერდიც) პრეზიდენტის, მინისტრების გამოსვლებისა და სიახლეების შესახებ. ამის საფუძველზე ელჩებმა თავის თავზე უნდა აიღონ დემარშები, პრესას, საგარეო საქმეთა სამინისტროებს, პოლიტიკურ წრეებს გააცნონ ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე ცვლილებების შესახებ და არ დაელოდონ, როდის მივცემ აქედან ინსტრუქციებს. ეს მათი ყოველდღიური სამუშაო უნდა იყოს.

**- ერთდროული დემარში, რომელიც ჩვენმა საელჩოებმა რუსეთის განცხადების გამო გააკეთეს, საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა. ასეთივე მოულოდნელობა იყო ეს რუსეთისთვისაც?**

- მეც მერე მივხვდი, დემარში ერთდროულად ყველა დიდ დედაქალაქში პირველად მოხდა. ადრე მხოლოდ მოსკოვში ვაკეთებდით. ეს დიპლომატიაში იმაზე უფრო მეტად მიღებული ფორმაა, ვიდრე ნოტები, რომელიც აქ იყო დამკვიდრებული. არ ვამბობ, რომ ეს ყოველთვის ეფექტურია, მაგრამ შექმნის იმ სურათს, რომელიც ჩვენ გვსურს. ყოველდღიურად უნდა ავხსნათ ჩვენი პოზიციები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ დღესვე რეაქციას მივიღებთ და მათ პოლიტიკას შევცვლით, მაგრამ ამით ნელ-ნელა მიეჩვევიან ჩვენი პოზიციის გაგებას და გაზიარებას.

**- თქვენ გაქვთ სტრატეგიული კვლევების გარკვეული გამოცდილება. როგორ ახსნით რუსეთის მუდმივ აგრესიას ჩვენი ქვეყნის მიმართ? სად იწყება მათი უკანონო ინტერესები?**

- ჩემი აზრით, ეს იწყება რუსეთის მენტალიტეტში და იმპერიულ ხედვაში, რომელიც ჯერ არ შეცვლილა. არ შეიძლება ამის რაციონალური ანალიზი და ახსნა, რადგანაც ეს მათ მსოფლმხედველობაშია ჩადებული. ამიტომაც არის ძალიან მნიშვნელოვანი უკრაინის არჩევნები. თუ უკრაინაში არჩევნები დემოკრატიული, ევროპული გზით წარიმართა, ეს, მართლაც, აუცილებელი იქნება რუსეთისთვის. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდეს, რომ იმპერიალისტური ქცევები და მსოფლიოს ხედვა 21-ე საუკუნეში სრულიად ურთიერთგამომრიცხავი და არაადეკვატურია. ამას ჯერ ვერ მივაღწიეთ.

**- ამ ფონზე, რა პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს ახალმა ხელისუფლებამ რუსეთის მიმართ?**

- ეს ორგვარი პოლიტიკაა. ერთს პედაგოგიურს ვუწოდებდი. ყოველ დღე უნდა ველაპარაკოთ და ვარწმუნოთ, რომ მათი ერთადერთი შანსი, ალტერნატივა და მომავალი არის შემდეგი - მათი ინსტრუმენტები გასულ საუკუნეს ეკუთვნის და ასე მოქმედება არაფრით აღარ შეიძლება. ამ ინსტრუმენტებით ვერც აფხაზეთში მიაღწიეს რამეს. სამაგიეროდ, როცა კარგად იქცევიან, როცა ნორმალურად შემოდიან საქართველოში, მხოლოდ დადებით შედეგებს იღებენ. ასევეა უკრაინაშიც - ძველი მეთოდებითა და სტილით არაფერს არ იღებენ და მგონი, მთელ რეგიონში ასეა. ეს უნდა ვაჩვენოთ. ამას მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობებით არ უნდა მივაღწიოთ. უნდა იმუშაოს პრესამ, რუსეთში მოღვაწე ქართველებმა, ყველა გავლენიანმა ფიგურამ,

**აღარ მინდა გავიგონო, რომ საქართველოს მოქალაქისთვის რომელიმე კარი დახურულია.**

ვისაც შეიძლება რუსეთში მოუსმინონ. ეს უნდა გააკეთონ დასავლელმა პარტნიორებმაც - ყველამ ერთ ხმაში და ერთსა და იმავე ენაზე უნდა მიმართოს რუსებს, რომ ეს არის მათი მსოფლმხედველობა და ეს აღარ შეიცვლება.

რაც შეეხება, მეორე ნაწილს - ძალიან გარკვევით უნდა იცოდნენ, სად არის ჩვენი წითელი ხაზი. არავითარი გაუგებრობა და ეჭვები არ უნდა არსებობდეს, უნდა იცოდნენ, რომ ამ წითელი ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში ჩვენგან მიიღებენ უმწვავეს რეაქციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება, მომაკვდინებელი აღმოჩნდეს საქართველოსთვის. არსებობს ეს ხაზი და არსებობს მთავრობა, რომელიც სწორედ იმ მიზნით არის არჩეული, რომ საქართველო გამთლიანდეს, მისი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნდეს. ეს უნდა იგრძნოს ყველამ და არა მხოლოდ რუსეთმა, არამედ ყველა ჩვენმა პარტნიორმა. უნდა იცოდნენ, რომ ყოველთვის დათმობისკენ და შეგუებისკენ არ უნდა მოგვიწოდონ. ეს მეორე ნაწილი უკანა პლანზე უნდა იყოს გადატანილი, ამას ხმამაღალი განცხადებები არ სჭირდება. არის რაღაც, რასაც არ დავთმობთ. უბრალოდ, ეს უნდა იგრძნობოდეს და დაეჭვების საშუალება არავის უნდა მივცეთ.

**თუ უკრაინაში არჩევნები დემოკრატიული, ევროპული გზით წარიმართა, იქნებ რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდეს, რომ მისი იმპერიალისტური ქცევები და მსოფლიოს ხედვა 21-ე საუკუნეში სრულიად ურთიერთგამომრიცხავი და არაადეკვატურია.**

**- ხართ აღმასრულებელ გუნდში. რა იყო პრემიერის ამასწინანდელი შენიშვნების მიზეზი? პოლიტიკის კეთების ქართული წესებით მუშაობა ადვილია?**

- ვმუშაობ, როგორც ყველა სხვა მინისტრი და როგორც სხვებმა, ჩვენც მივიღეთ შენიშვნები. ეს შენიშვნები, მგონი, ყველაზე ნაკლებ სამართლიანი და ჩემთვის ცოტა უცნაური იყო, მაგრამ მერე შევეგუე. რომ ვუყურებ, სხვა მინისტრები რა შენიშვნებს იღებენ, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამ სამინისტროში ვარ.

პირველ რიგში, საკუთარი შეფასება მაინტერესებს, რადგან საკუთარი თავის და თანამშრომლების ძალზე მკაცრი შემფასებელი ვარ. ამაზე მკაცრი გარედან არავინ არის. ასე რომ, ძალიან არ მადარდებს შენიშვნები გარედან. უფრო ის მადარდებს, როცა ვერ ვასრულებ იმას, რაც მიზნად დავისახე. მაგალითად, ატესტაცია, ელჩების, მოადგილეთა დანიშვნა-გადაადგილება რომ დროში გაიწელა. ეს საქმის შესრულებას აფერხებს და ძალიან მაწუხებს. თუმცა, პირველი დიდი სირთულეები უკვე გადავლახეთ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამინისტროში კორუფციის აღკვეთა.

**ძალიან გარკვევით უნდა იცოდნენ, სად არის ჩვენი წითელი ხაზი. უნდა იცოდნენ, რომ ამ წითელი ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში ჩვენგან მწვავე რეაქციას მიიღებენ.**

**- სხვებისგან განსხვავებით, ეს სამინისტრო ამ კუთხით ცნობილი არ იყო...**

- ალბათ იმიტომ, რომ მასშტაბები არ იყო დიდი. კორუფცია მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იმ დემორალიზებაში, რომელიც აქ დამხვდა. ყველამ იცოდა, რომ წინ ვერ წაიწევდი, თუ რეკომენდატორი არ გყავდა და ფული არ გქონდა. იცოდნენ, რომ საკონსულოებში პასპორტების გაცემა კორუფციული პროცედურა იყო.

მომავალში მინდა, რომ ამის შესახებ არათუ ფაქტები, საუბრებიც კი არ იყოს. ჩემდა გასაოცრად, დღესაც საუბრობენ, რომ აქ უფულოდ თანამდებობებზე არ ინიშნებიან. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა განვაცხადო - თუ ვინმეს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ სამინისტროში დანიშვნისთვის თანხებს იხდიან, შეუძლია პირდაპირ შემოაღოს კარი და მითხრას. ეს ხმები უფრო ძველი ინერციის შედეგი მგონია. შეიძლება, აქ ვინმე მართლაც იჩემებდეს, რომ ფულით თანამდებობებზე დანიშვნა შეუძლია, მაგრამ ხომ დავინახავთ, სად წავიდა ადამიანი, რომელმაც ფული გადაიხადა? ეს ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, რადგან სამინისტრო, რომელიც ქვეყნის სურათს ქმნის საზღვარგარეთ, არ შეიძლება რამენაირად შენიშნული იყოს კორუფციაში.

**- საგარეო პოლიტიკისთვის ერთი წელი ცოტა დროა. ჩვენს საელჩოებს და დიპლომატებს რა მოთხოვნები დაუყენა ახალმა მინისტრმა?**

- ნაწილობრივ ამ სამინისტროს, ახალი საელჩოებისა და, პირველ რიგში, პრეზიდენტის და მთავრობის პოლიტიკის მიღწევაა, რომ საქართველოს სურათი საზღვარგარეთ მთლიანად შეიცვალა. დაქცეული საქართველოს ნაცვლად დღეს ახალია - ალბათ, შეცდომებითაც, მაგრამ ნორმალური დემოკრატიული სურათია. კრიტიკაც არის ჩვენი ნაკლის მიმართ, მაგრამ, ეს არის ქვეყანა, რომელიც მთელ მსოფლიოში დადებით შეფასებას იმსახურებს.

ჩვენი ვიზიტებით და აქ ჩამოსული დელეგაციებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ექვსი თვის მანძილზე ნახევარი მსოფლიო მოვიცავით. ყველა ეს შეხვედრა ჩვენი მიღწევებისა და არჩეული გზის დადებითი შეფასებებით იწყება. ყველა დახმარებას გვპირდება - ზოგი ფინანსურს, ზოგი საექსპერტოს, პოლიტიკურ მხარდაჭერას - დახმარების მრავალი ფორმა არსებობს. ექვს ქვეყანასთან მოვაწერეთ ხელის ოფიციალური მხარდაჭერის დოკუმენტებზე. ეს არის ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, რუმინეთი, ბულგარეთი და პოლონეთი. ეს არის საქართველოს ნამდვილ მეგობართა ჯგუფი.

**- რა მოეთხოვებათ ქართველ დიპლომატებს ახალ რეალობაში?**

- ყოველწუთიერად აქტიურნი უნდა იყვნენ. თავად უნდა მოიფიქრონ, რა არის საჭირო ქვეყნისთვის. დიპლომატებისგან შეუძლებელს არაფერს ვითხოვ - უნდა იცოდნენ ენები და იცოდნენ, რა არის საჭირო საქართველოსთვის, ამას ყოველ დილით მე ვერ ავუხსნი. უნდა ესმოდეთ, რა მომენტში უნდა დაიცვან ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები, როდის უნდა გამოვიდნენ პრესით, როდის უნდა დაპატიჟონ გარკვეული სფეროს გამორჩენილი პირები და აუხსნან, რა არის საქართველო. ეს არის მრავალფეროვანი და ძალიან აქტიური ყოველდღიური მუშაობა. საქართველოს აინტერესებს ყველა დარგი, კონტაქტები და მეგობრების გაჩენა ყველა სფეროში, ქალაქებს შორის დაკავშირება, ჩვენი უნივერსიტეტებისთვის ახალი ფონის შექმნა და მათთვის კონტაქტების გახსნა. ამას წინათ კონსერვატორიას საფრანგეთის დიასპორის საჩუქარი - ინსტრუმენტები გადავეცი. სიმბოლური საჩუქარია, მაგრამ კონსერვატორიის რექტორს ისიც ვუთხარი, რომ ჩვენი საელჩოები იმისთვის არიან, რათა სამსახური გაუწიონ და შეუძლიათ, თავად გავიდნენ კონტაქტზე. ჩვენი საელჩოები მზად არიან, ნებისმიერ სამინისტროს, ქალაქს, დაწესებულებას დაეხმარონ კონტაქტების დამყარებაში.

**- ადრე დიპლომატებს ეს არ მოეთხოვებოდათ, როგორართმევენ თავს?**

- დიახ, ეს ახალი მოთხოვნებია, მაგრამ ნახევარზე მეტი ახალი სტილის ელჩები არიან და კიდევ იქნებიან. თუმცა, არ ვამბობ, რომ ძველებიდან არ შეიძლება ახალი ტიპის ელჩის ჩამოყალიბება. მომავალი წლიდან შემოვიღებთ ძალიან მკაცრ სისტემას და არა იმიტომ, რომ მათი არ მჯერა. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერზე პასუხი უნდა აგონ - რა გააკეთეს ეკონომიკურ დარგში, რამდენი ინვესტორი ჩამოვიდა, რამდენი დელეგაცია მიიღეს, რამდენი შეხვედრა გამართეს, რამდენჯერ გამოვიდნენ პრესაში და გააგებინეს ხალხს, რა არის საქართველო.

**- საქართველოში მოღვაწე უცხოურ მისიებს შეეცვალათ პრიორიტეტები?**

- მიმაჩნია, რომ მისიებთან უფრო ეფექტურად უნდა ვიმუშაოთ და მათი მუშაობის სტილიც შევცვალოთ. ელჩები ყოველ წუთს ჩემთან და მოადგილეებთან კი არ უნდა მოდიოდნენ, შესაბამისი დეპარტამენტების დირექტორებთან უნდა მუშაობდნენ. ისინი უშუალოდ კურირებენ იმ ქვეყნებს, მათ აქვთ რეალური ინფორმაცია და მათ საკუთარ თავზე მეტი ინიციატივა უნდა აიღონ. ეს იქნება ყოველდღიური მუშაობა. ჩემთან ამ რეჟიმში მუშაობა შეუძლებელია.

**- ელჩობისას ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვით - ელჩისთვის ბევრად საინტერესოა, როცა ქვეყანა უმოძრაო მდგომარეობიდან ახალ ცხოვრებას იწყებსო...**

- მინისტრისთვის ეს კიდევ უფრო საინტერესოა. იმ ქვეყნის ერთ-ერთი მიმართულების სათავეში ხარ, სადაც ყველაფერი იცვლება - არ ვიცი, რა შეიძლება იყოს ამაზე საინტერესო. ეს, მართლაც, არაჩვეულებრივი გრძნობაა.

**- რამდენად გადგებათ სახალხო დიპლომატია?**

- ეს ჩვენი მუშაობის აუცილებელი ნაწილია. ჩვენ კომპლიმენტარულად ვმუშაობთ. ბევრი რამ არის, რასაც ჩვენ ვერ ვაკეთებთ. მინდა, რომ ცხელი ხაზი მომავალი წლიდან საელჩოებშიც ამუშავდეს. მოქალაქეები დარეკავენ და საელჩოებს საკუთარ პრობლემებს გაუზიარებენ. შემდეგ ეტაპზე გვჭირდება სწორედ საზოგადოება და სახალხო დიპლომატია - ქალაქებს, რეგიონებს, უნივერსიტეტებს თავისი საგარეო პოლიტიკა და კონტაქტები უნდა ჰქონდეთ. ჩვენ დასაწყისში კოორდინაციას გავუწევთ, რათა ეს ყველაფერი დაქსაქსული არ იყოს. ერთადერთი, რასაც მოვითხოვ (ამასვე მოვითხოვ მთავრობისგან და ჯერ ვერ მივაღწიე), - მქონდეს ინფორმაცია. ყველას, ვინც საქართველოდან გადის, ჩვენი ურთიერთობების შესახებ ის ძირითადი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროშია. ჩვენ ყველასთვის ვამზადებთ სასაუბროებს. აუცილებელია, ყველამ ერთი ხმით ილაპარაკოს - ეს არის მინიმუმი, რასაც უნდა მივაღწიოთ, მერე იწყება თავისუფლება. ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. მხოლოდ ასე გახდება საინტერესო საგარეო პოლიტიკა, სადაც საზოგადოების ყველა ფენა მიიღებს მონაწილეობას.

**- როგორც ჩანს, ამ სამინისტროში რევოლუცია გრძელდება.**

- გრძელდება რომელია? ჯერ არ იციან, რა ელით...

**- ძალიან ბედნიერი იყავით, როდესაც ელჩად ჩამოხვედით საქართველოში...**

- რა წყნარად ვიყავი...

**- ემიგრანტული ცხოვრება, ელჩობა და შემდეგ საგარეო პოლიტიკის წარმართვა ისტორიულ სამშობლოში... შეიძლება, წინ კიდევ ბევრი ცვლილებები გელით, მაგრამ დღეს რას დაარქმევდით თქვენს ცხოვრებას?**

- საინტერესოს და მრავალფეროვანს.

**საკუთარი თავის და თანამშრომლების ძალზე მკაცრი შემფასებელი ვარ. ამაზე მკაცრი გარედან არავინ არის. ასე რომ, ძალიან არ მადარდებს შენიშვნები გარედან.**



# დავეხმაროთ გურიას - პოლიტიკურად, კულტურულად, სოციალურად, მორალურად, სიტყვით, საქმით, სიმღერით და Fashion-ით...



*ნოდარ მალაზონიას გურული ჩანახატები.*

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

"ბიძია, დამეხმარე რა!.." - ეს ფრაზა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ბოლო წლების საქართველოში და მრავალმნიშვნელოვნად ასახავს კიდეც იმ მდგომარეობას, რომელშიც მოექცა ქვეყანა დამოუკიდებლობის ადრეულ ასაკში. ახალთაობელებს კარგად ახსოვთ შევარდნაძის ნათხოვარი პური, ნასესხები დენი, ჰუმანიტარული დახმარებები, ევრობანკის ვახში და ვალი, სიგუას კენიური ხორცი და ა.შ. ის, რაც დღეს პატარა, უმწეო ბავშვებისგან გვესმის, ძალზე ჰგავდა ლამის სახელმწიფო პოლიტიკად ქცეულ პოზიციას. როგორც ჩანს, დახმარება კიდევ ერთხანს დაგვჭირდება და ამის აუცილებლობას ვერ გავექცევით. თუმცა, დახმარება ორგვარი ყოფილა: უცხოური და შიდასახელმწიფო. გურიის გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ ამ კარგად აპრობირებულ მეთოდს მიმართა და მშველელს უხმო (ოღონდ ქვეყნის შიგნით): პოლიტიკურ ძალებს, ბიზნესმენებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს და ისინიც ცერზე დადგნენ. გუშინ გურიაში დიდი სტუმრიანობა იყო: საქმეც გაკეთდა და ვარდების რევოლუციის წლისთავიც ვიზეიმეთ. რაც შეეხება სტუმრებს, მათ შორის იყვნენ წარმოდგენილი რევოლუციური პარტიის სახეები (მაია ნადირაძე, გიგი წერეთელი, ბესო ჯუღელი, ნაზი არონია, მიხეილ მაჭავარიანი და სხვ.). იმერეთის, სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის გუბერნიების წინამძღოლნი, დედაქალაქელი მწერლები, მედიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები, და, რაც მთავარია, მოდელები. თუ რატომაა მთავარი, ამაზე ცოტა ქვემოთ. სტუმარ-მასპინძელთა ერთდღიანი ეპოპეა ფრიად გადატვირთული პროგრამით "ნატურალური გურულების" ბუდეში - ჩოხატაურში დაიწყო. და დაიწყო სპორტულ-გამამხნევებელი ღონისძიებებით. ერთმანეთს ცვლიდა ჩოხატაურელთა საფირმო ლელობურთი, დოღ-მარულა, გაწვრთნილ ქორ-მიმინოთა პაექრობა და ა.შ.

ნაშუადღევს, ღონისძიებათა პროგრამის შესაბამისად, მოვლენების ასპარეზმა ოზურგეთში გადმოინაცვლა. პარლამენტარებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ ზაზა დამენიას საფლავი. ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში კი ისინი, ვისაც ძალიან უყვართ ლიტერატურა, მწერლებს ლაშა ბუღაძესა და ზაალ სამადაშვილს შეხვდნენ. მწერლებმა აღუთქვეს ოზურგეთელებს: დღეის ამას იქით ენერგიულად იზრუნებენ იმისთვის, რომ გურია საბოლოოდ არ მოწყდეს საერთო ქართულ კულტურულ სივრცეს. სიტყვა რომ საქმედ იქცეს, ისინი, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკულად იზრუნებენ ოზურგეთში მხარის გუბერნატორის იმ იდეის ხორცშესხმისთვის, რომელიც ლიტერატურული კაფე-სალონისა და წიგნის მაღაზიის დაარსებას ისახავს მიზნად. ასევე რეგურალურად მიაწვდიან ოზურგეთის ბიბლიოთეკებს უახლეს ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, გამართავენ ახალი წიგნების პრეზენტაციებს და ა.შ. ეს თემა გაგრძელდა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში, საზოგადოებრიობასთან გამართულ შეხვედრაზე, სადაც ჩამოყალიბდა ოზურგეთის თეატრის მეგობართა საბჭო კულტურის მოღვაწეთა და ბიზნესმენთა შემადგენლობით, რომელიც იზრუნებს ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მდგარი თეატრის გადარჩენა-აღორძინებისთვის.

გურიაში ჩამოსულმა "მაშველთა კორპუსმა" ოზურგეთელთა ჯანმრთელობაზეც იზრუნა. თითქმის მთელი დღის მანძილზე რაიპოლიკლინიკის კაბინეტებში 14 პროფილის 30 მედიკოსი პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას იკვლევდა. ბრიგადამ 5 ათასი ლარის წამლები უფასოდ გასცა ავადმყოფებზე. როცა მედიკამენტები შემოელიათ, ისინი ფარმაცევტულ კომპანია "ავერსის" ოზურგეთის ფილიალში წამლის უფასოდ შესაძენ ტალონებს არიგებდნენ.

დასახმარებლად ჩამოსული რამდენიმე ბიზნესმენი კი ადგილობრივ, ფაქტობრივად, ოზურგეთში ჯერჯერობით მათ ერთადერთ წარმატებულ კოლეგას, შპს "ტონუსის" დირექტორს ამირან ჩხაიძეს უპირებდნენ სტუმრობას, რათა გაცნობოდნენ საწარმოს საქმიანობას. ჩხაიძე ნამდვილად გამოდგება იმის მაგალითად, რომ შეიძლება მანქანა-დანადგარები, ტექნიკა ჩალის ფასად ჯართში არ ჩააბარო და წარმოების ზრდასა და გაფართოებას მიაღწიო, ბაზარიც მოიპოვო და ხალხიც დაასაქმო, ამასთან, ნორმალურ გარემოში და სოლიდური ანაზღაურებით. ასე რომ, ოზურგეთშიც შეიძლება წარმატებულად მეწარმეობდე, თუ ამის შნო, უნარი და ცოტა სინდისიც გაქვს.

სანამ თეატრის სამეგობრო ბჭობდა, შებინდდა და თეატრალურ მოედანზე, რომელიც ზეიმის ეპიცენტრი გახდა, მრავლად შეკრებილი გურულები აქამდე არნახული სანახაობის მხილველი გახდნენ. სახელდახელოდ აგებულ პოდიუმზე სამოდელო სააგენტო "ლეონის" ლამაზმანები გამოჩნდნენ. ისინი შემოდგომის სუსხიანი საღამოსთვის უჩვეულოდ შილიფად იყვნენ ჩაცმულნი და ზღვაზე მობანავეებს ჰგავდნენ; ხალხი კი გაკვირვებული დარჩა, რადგან ახლოს არც გემი ჩანდა, არც მეზღვაური და, მით უფრო, არც ზღვის ტალღები ლოკავდნენ ნაპირს. პოდიუმზე ამაღლებამდე გოგონებმა კიდევ უფრო საოცარი რამ მოიმოქმედეს: მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამორტიზებული ჩაის ბუჩქების ამოძირკვის კამპანიაში. რამდენიმე ჭილისქუდიანი მოდელი სოფელ ლიხაურში გატყევებულ პლანტაციაში ტრაქტორის საჭესაც მიუჯდა. ჩაის ამოძირკვის მსოფლიო პრაქტიკაში პირველად დააფიქსირეს მოდელების მონაწილეობის პრეცედენტი, რითაც სოლიდარობა გამოუცხადეს გურიის გუბერნატორს, რომელიც მონდომებით ცდილობს გურიის აგროპროფილის ტრანსფორმირებას. შესრულებული მძიმე სამუშაოს შემდეგ ზალიკო ბერგერის მოდელებს ოდნავი დაღლაც არ ეტყობოდათ და ჩვენებამაც კარგად ჩაიარა. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გურიამ პირველად იხილა ცხადლივ Fashion-ის ხიბლი და ბრწყინვალება. ამის შემდეგ პოდიუმი ესტრადად გარდაისახა და თვალსასეირო სანახაობა ახალქართულმა მელოდიებმა შეცვალა. ოზურგეთელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს კონცერტი ღია ცის ქვეშ "ზუმბას", ქეთი ფარესაშვილის, ბუკა მანაგაძის, ძმები რცხილაძეების მონაწილეობით. კონცერტი და გურიის დახმარების ღონისძიებათა პროგრამა დასრულდა ფერადოვანი ფოიერვერკით.

იმდღევანდელ ღონისძიებათა აღწერა სრული ვერ იქნება, თუ არ გავიგეთ აქციის მონაწილეთა აზრი. პარლამენტარი გიგი წერეთელი: "დღევანდელი დღე, შეიძლება ითქვას, შემობრუნების მომენტად უნდა იქცეს რეგიონებთან მიმართებაში. ჩვენ მოვალენი ვართ, უფრო ახლოს მივიტანოთ გულთან რეგიონების პრობლემები, რომლებიც თანდათან უფრო ღრმავდება და კრიზისული ხდება. თუ რეგიონები წელში არ გაიმართა, ქვეყანა ქვეყანას არ დაემსგავსება. გურიას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რადგან ეს მხარე სხვაზე მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია და ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დარჩა".

პარლამენტარი ბესო ჯუღელი: "მე თბილისში ჩასვლისთანავე დავაყენებ საკითხს პრემიერმინისტრისა და პარლამენტის წინაშე, რომ გადაუდებელი ღონისძიებები განხორციელდეს რეგიონების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის გარეშე რაიმე წინსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია".

ზაალ სამადაშვილი, მწერალი: "დღევანდელი შეხვედრების შემდეგ ჩემთვის უფრო ცხადი გახდა, რომ არ შეიძლება ყველაფერი მხოლოდ ცენტრში იყოს თავმოყრილი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქაც იგივე სულიერი მოთხოვნილებებია და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიზრუნოთ ამ ადამიანებზე. ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებისა და თეატრის აღორძინებისთვის პრაქტიკული სამოქმედო გეგმა დაისახა. მხარის გუბერნატორი ყოველმხრივ არის დაინტერესებული, რომ აქ კულტურული ცხოვრება გამოცოცხლდეს".

ჟანი კალანდაძე, გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული: "გურია ყველასგან მიტოვებული აღმოჩნდა. ადამიანებში უიმედობამ და აპათიამ დაისადგურა, რადგან მხოლოდ აქა-იქ იგრძნობა სიცოცხლის ნიშანწყალი. ჩვენი დღევანდელი აქციაც იქეთკენ არის მიმართული, რომ ახლებური განწყობა შეიქმნას, ადამიანებში პოზიტიური მუხტი შევიტანოთ, კულტურული ცხოვრება გამოვაღვიძოთ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ეფექტიანი ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბება. ხალხმა მკაფიოდ უნდა იგრძნოს, რომ რევოლუცია რევოლუციისთვის კი არა, უწინარეს ყოვლისა, ხალხის კეთილდღეობისთვის მოხდა. გურიაში განათლებული, საინტერესო ადამიანები ცხოვრობენ და ისინი უკეთესი ხვედრის ღირსი არიან. მადლობას ვუხდი ჩვენს დღევანდელ სტუმრებს. ისინი გვამხნევებენ და იმედს გვაძლევენ. ჩვენ ადგილობრივი რესურსებით გაგვიჭირდება შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა, თუმცა, უიმედო მდგომარეობაც არ არის. მხოლოდ სიახლისადმი ლტოლვა და შრომაა საჭირო. ამიერიდან დღევანდელ დღეს ყოველწლიურად ჩატარდება ამგვარი აქცია. ფაქტობრივად, ეს იქნება სახალხო დღესასწაული "ოზურგეთობა", რომელიც ტრადიციული გახდება".

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დახმარება, თუნდაც მორალურფსიქოლოგიური თანადგომა და გამხნევება, ერთჯერადი მოვლენა არ იქნება. შესაძლოა, ბევრი ადამიანი ყველაფერ ამას ეჭვით უყურებდეს, რადგან ბევრი მაგალითი ახსოვთ იმისა, რომ არაერთი ასეთი მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა. ამ რამდენიმე წლის წინ საზოგადოება "ოზურგეთელიც" კი შეიქმნა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, მაგრამ მისი ფუნქციონირება დამფუძნებელი კრებითა და რესპექტაბელური ბანკეტით დასრულდა. მაგრამ ეს იყო რევოლუციამდე...

# ვინ გახდება GEOSTAR?

## აირჩიე შენი კერპი ჯეოსელის მეშვეობით

ეთერ მამულაშვილი

ყველაფერი ასე დაიწყო: ერთ დღეს 16 წლის ნინი შერმადინმა "ჯეოსელისგან" მიიღო უცნაური შინაარსის შეტყობინება, რომელიც ასე იწყებოდა: "თუ შენ მღერი და გინდა, გახდე ვარსკვლავი, მაშინ მიიღე მონაწილეობა "ჯეოსტარის" კონკურსში..." ნინის ბევრი არ უფიქრია. საჭირო მისამართზე შესაბამისი შეტყობინება რამდენიმე წამში გაგზავნა და სამ კვირაში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში აღმოჩნდა.

მსგავსი შინაარსის შეტყობინება "ჯეოსელის" ყველა აბონენტმა მიიღო. აქედან დაახლოებით 4 ათასმა, ალბათ, მათ, ვისაც ვარსკვლავად გახდომის ყველაზე დიდი სურვილი ჰქონდა, წინასწარი რეგისტრაცია გაიარა, თუმცა, ნინის მსგავსად, მხოლოდ რვა მათგანს გაუღიმა ბედმა.

როგორ გახდე ვარსკვლავი? საქართველოში ამისთვის ორი ტიპის რეცეპტი არსებობს. პირველი: უნდა იყო გავლენიანი მშობლების შვილი, ან, სულ მცირე, ახლო ნათესავი უნდა გყავდეს ასეთი. მეორე - ამისთვის ბევრი, ძალიან ბევრი ფულია საჭირო. ის კი, რასაც ჯეოსელი ვარსკვლავობის სურვილით შეპყრობილ ახალგაზრდებს სთავაზობს, სრულიად განსხვავებული და ორიგინალურია.

ის, ვისაც ვარსკვლავად გახდომა ბავშვობიდან უნდოდა და ეს სურვილი "ჯეოსელსაც" შეატყობინა, მან საკმაოდ მკაცრი და კომპეტენტური ჟიურის წინაშე უკვე გაიარა შესარჩევი ტურები. ჟიურიმ (ნანიკო ხაზარაძე, ნიკა მემანიშვილი, დუტა სხირტლაძე, ნატო მეტონიძე) აქედან რვა გამარჯვებული გამოავლინა და მათი ბედი მთლიანად მაყურებელს მიანდო. 20 ნოემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, ყოველ შაბათს, კონკურსანტები ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სხვადასხვა ჟანრში იმღერებენ და საკუთარ შესაძლებლობებს ახლა უკვე მაყურებლის წინაშე გამოავლენენ. მაყურებელი კი საკუთარ რჩეულს შესაბამის ტელეფონის ნომერზე ტექსტურ შეტყობინებას გაუგზავნის. კონკურსის ყველა ეტაპზე მომდევნო ტურს ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე ერთი კონკურსანტი აკლდება.

გზა, რომელიც ამ რვა ახალგაზრდამ ფილარმონიამდე გაიარა, არცთუ ისე იოლი იყო. თუმცა, როგორც პროექტის ავტორები ამბობენ, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ჟიურის წევრები იყვნენ. ხუმრობა ხომ არ არის, ვარსკვლავობის 4 ათას მსურველს შორის 8 რეალური კანდიდატი უნდა ამოარჩიო.

უკვე რამდენიმე წელიწადია, მსოფლიოს 22 ქვეყანაში მსგავსი პროექტი წარმატებით მიმდინარეობს. გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ავსტრალია, ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, ნორვეგია - ეს ის მცირე ჩამონათვალია, სადაც ადგილობრივი GSM ოპერატორი კომპანიები სეზონურად, მაყურებლისა და კომპეტენტური ჟიურის დახმარებით, საკუთარი სახელობის ვარსკვლავებს გამოავლენენ. პროექტს, რომლის ლიცენზია წლეულს პირველად მოიპოვა კომპანია "ჯეოსელმა", ყოველწლიურად 100 მილიონზე მეტი მაყურე-



*ჯეოსტარის "ვარსკვლავები".*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბელი ჰყავს, მაყურებელი, რომელიც საშუალოდ 500 მილიონამდე ტექსტურ შეტყობინებას გზავნის. "GSM სთარის", თუ შეიძლება პირობითად ასე ვუწოდოთ ამ პროექტს, ბევრ ქვეყანაში გასართობ პროგრამებს შორის უჩვენებენ და დიდი პოპულარობითა და მაღალი რეიტინგით სარგებლობს. მას აქვს თავისი უცვლელი წესები, რომლიდან გადახვევის უფლება არც ერთი ქვეყნის არც ერთ GSM კომპანიას არა აქვს. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ამ პროექტის წყალობით რამდენიმე ქვეყნის ლოკალურ სცენას თითქმის ყოველ წელიწადს ახალი ვარსკვლავი ემატება. რა მოხდება საქართველოში, ამას უახლოესი ერთი თვე გვიჩვენებს, როცა "ჯეოსტარის" მონაწილეები კონკურსის ყველა ეტაპს გაივლიან. თუმცა, თუ ჟიურის წევრების ნათქვამს ვენდობით, ისინი დღეს უკვე ვარსკვლავები არიან. **"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კონკურსის რვავე მონაწილე მირჩევნია ნახევარ ქართულ ესტრადას, იმათ, ვინც დღეს სცენაზე დგანან და ვისაც ვარსკვლავებს ეძახიან",** - გვითხრა ნიკა მემანიშვილმა. ის ჟიურის ყველაზე ახალგაზრდა წევრია. ნიკა დარწმუნებულია, რომ "ჯეოსელის" ამ პროექტით ქართულ ესტრადას რეალური ვარსკვლავი შეემატება.

**"ეს არის შესანიშნავი შანსი ნებისმიერისთვის, ვისაც აქვს პრეტენზია გახდეს ვარსკვლავი, ვისაც შეუძლია სიმღერა. არ არის აუცილებელი, საოპერო ან კლასიკური ვოკალი გქონდეს. "ჯეოსტარი" არის უნიკალური შანსი ყველასთვის, გამოავლინოს საკუთარი ნიჭი და ტალანტი, გახდეს პროფესიონალი მომღერლი და ვარსკვლავი",** - ასე ახსნა კონკურსის არსი ჩვენთან საუბარში "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელმა ირმა ცქტიშვილმა. თუმცა, საბოლოოდ, ვარსკვლავი თუ არა, პოპულარული ადამიანი მაინც გახდები. ქუჩაში შემხვედრები შენს დანახვაზე ერთმანეთს თვალით ანიშნებენ: "ეს ხომ "ჯეოსტარის" მონაწილეა, ფილარმონიაში რომ მღეროდა", მერე შენი ფოტო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდება, ჟურნალისტები ინტერვიუს გთხოვენ... მოკლედ, ნამდვილი ვარსკვლავური ცხოვრებით იცხოვრებ. მერე რა, რომ ჰოლივუდის "სთარივით" არ იგრძნობ თავს. სამაგიეროდ, ჩვენებური ვარსკვლავივით ჩაწერ კომპაქტ-დისკს, გამოუშვებ აუდიოკასეტას, იმღერებ ტელეეთერით, ფილარმონიაში, თანაც, არაერთხელ, გაგაჩერებენ და ავტოგრაფს გთხოვენ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ უკვე "ჯეოსტარი" ხარ. განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს იმას, გახვალ თუ არა ფინალურ ტურამდე. მერე რა, თუ შენ სხვებზე ადრე გამოეთიშები კონკურსს, ნებისმიერ შემთხვევაში უკვე გამარჯვებული ხარ.

"ჯეოსტარმა" რამდენიმე დღის წინათ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში აიღო სტრატი, თუმცა, ამას, როგორც უკვე გითხარით, შესარჩევი ტურები უძღოდა წინ.

სამწუხაროდ, "ჯეოსტარის" პირველ ეტაპს ფილარმონიაში ერთი უსიამოვნო ინციდენტი ახლდა. მერვე კონკურსანტმა, რომელიც გასულ შაბათს გამოეთიშა შემდგომ ტურებს, პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. მიუხედავად ამისა, ის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კონკურსანტი, რომელიც კონკურსს ბოლო ტურამდე გამოეთიშება, მაინც გამარჯვებულია.

"ჯეოსელის" მიერ ორგანიზებულ ამ ღონისძიებას შეიძლება პირობითად ვუწოდოთ კონკურსი, რადგან აქ დამარცხებული და წაგებული არავინაა. კონკურსის რვავე მონაწილე უკვე გამარჯვებულია, უბრალოდ, ორ მათგანს დანარჩენ ექვსთან შედარებით ცოტა უფრო დიდხანს მოუწევს სცენაზე დგომა. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მაყურებელმა ასე გადაწყვიტა. **"რვავე მათგანი გამარჯვებულია. ღონისძიების ორგანიზატორებისგან ისინი უამრავ საჩუქარს მიიღებენ. წარმოუდგენელ საჩუქარს უმზადებს ყველა მათგანს "ჯეოსელი", რაც ერთხელ კიდევ დაადასტურებს იმას, რომ ყველა თანაბრად გამარჯვებულია და ეს კონკურსი არ ნიშნავს იმას, რომ ვილაც ცუდია ან კარგი",** - განმარტავს ირმა ცქიტიშვილი.

# მე-11 და ნანატრი

## გააუვნებელყოფს თუ არა U2 ატომურ ბომბს?




ალბათ, არ არსებობს U2-ს არც ერთი მსმენელი, რომელიც ორშაბათს, 22 ნოემბერს ნიუ იორკში ყოფნას არ ისურვებდა. ისე, როგორც საშობაოდ "კოკა-კოლას" წითელი, განათებული სატვირთო მანქანები გამოჩნდებიან ხოლმე ქუჩებში, გუშინწინ, შუადღისას, ნიუ იორკში U2-ს მთელი შემადგენლობა დადიოდა დიდი მანქანით და მღეროდა. ზევიდან კი მათ ვერტმფრენი დაჰყვებოდა და ყველაფერს იღებდა.

ბონო სანტა-კლაუსის განწყობას იმითაც აძლიერებდა, რომ ტაიმს სკვერზე შეჩერებისას გატაცებით მღეროდა ტრადიციულ საშობაო სიმღერას Santa Claus Is Coming To Town-ს. ოფისებიდან, შუადღის შესვენებაზე გამოსული ნიუ იორკელები კი ფოტოაპარატიანი მობილური ტელეფონებით ცდილობდნენ ამ უცნაური სანახაობის აღბეჭდვას.

**"...მე შენ დაგინახე მთვარის ნაკეცში; ჩემს ოთახზე განფენილ ჩრდილში...**

**ყველაფერი, რაც ვარ, შენ გამოა"...** - მღეროდა ბონო. ეს მუსიკალური მსვლელობა ბროდვეიზე კი ირლანდიელ მუსიკოსებს ახალი ვიდეოს გადასაღებად სჭირდებოდათ. კადრებს მოგვიანებით გამოიყენებენ სინგლში All Because of You, რომელიც ახალი ალბომიდან გაკეთებული მეორე ვიდეო იქნება ბრიტანული ჩარტების ჩემპიონი Vertigo-ს შემდეგ.

ქუჩებში სიარულის შემდეგ, უკვე მოსაღამოვებულზე, ბონო და დანარჩენები ბრუკლინისა და მანჰეტენის ხიდებს შორის გაშენებულ პარკში ჩამოქვეითდნენ და სახელდახელო კონცერტი გამართეს.

შოუს შესახებ განცხადება მხოლოდ U2-ს ფანების ინტერნეტ-საიტებზე იყო გაკეთებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნიუ იორკის იმ მონაკვეთში მოზღვავებული ხალხის გამო მოძრაობაც კი შეფერხდა.

პარკში გამოჩენილ ირლანდიელებს ათასობით ნიუ იორკელი უკვე უცდიდა. ისინი სცენაზე ავიდნენ და აპლოდისმენტებმა და შეძახილებმაც არ დააყოვნა. პირველი სიმღერა Vertigo, უბრალოდ, გახურება იყო. მერე და მერე, სცენიდან წამოსულ ემოციასა და პუბლიკის ვნებათაღელვას შორის ისეთი რეაქცია დამყარდა, რომ სიურპრიზად მოწყობილი კონცერტი დაუვიწყარ შთაბეჭდილებად იქცა.

ფონად მუსიკოსებს ბრუკლინის ხიდის თაღი და აკაშკაშებული მანჰეტენი ჰქონდათ, წინ - ათასობით ფანი, ნიუ იორკის ღია ცის ქვეშ კი უწყვეტად იღვრებოდა ჯერ სიმღერები ახალი ალბომიდან, მერე - ძველი ჰიტები და ორი ნაკლებად ცნობილი სიმღერა: 1979 წლის სადებიუტო სინგლი Out of Control და როი ორბისონისთვის დაწერილი - She's a Mystery to Me.

მოკლედ, ახალი ალბომის სარეკლამოდ სიურპრიზად მოწყობილმა მუსიკალურმა ტრიუკმა შეუდარებლად ჩაიარა. კონცერტი გადაიღეს და "ემტივი"-ს ეთერში 8 დეკემბერს გაუშვებენ.

მერე ჯგუფი ახალი ალბომის პროპაგანდისთვის მსოფლიო ტურნესაც დაიწყებს - 2005 წლის 1 მარტს მაიამიში.

■ ■ ■

მანამდე კი U2-ს ფანები თავიანთ CD-პლეირებს მოქოქავენ და საყვარელ ჯგუფთან ერთად ეცდებიან ატომური ბომბის გაუვნებელყოფას.

How to Dismantle an Atomic Bomb, როგორ გავაუვნებელყოთ ატომური ბომბი - ასე ჰქვია რიგით მე-11 ალბომს, რომლის საერთაშორისო პრეზენტაციაც 22 ნოემბერს შედგა, გუშინ 23-ში კი ხმის ჩამწერმა კომპანია "ინტერსქოუფმა" დისკების გაყიდვა ამერიკაში დაიწყო. პირველ ეტაპზე კომპანია 2.2 მილიონ ეგზემპლარს გამოიტანს დახლებზე.

ჯგუფის გამოცდილი მენეჯერის პოლ მაქგინესის გეგმამაქსიმუმი ასეთია: მისი ბიჭების ალბომი "ბილბორდის" ორასეულში პირველ ადგილზე უნდა ლიდერობდეს.

ამაში, U2-ს ხელი შეიძლება მხოლოდ ერთადერთმა ადამიანმა შეუშალოს. ეს ემინემია თავისი ახალი კრებულით Encore. მაგრამ მაქგინესი ვარაუდობს, რომ 16 ნოემბერს გამოსული Encore U2-ს ვერაფერს დააკლებს და დრო მათ სასარგებლოდ იმოქმედებს.

ამბიციურ განაცხადს, რომ - 1987 წელს გამოსული Joshua Tree-ს შემდეგ U2-მ ყველაზე მეტი ძალისხმევა ამ ახალ ალბომში ჩადო, მაქგინესი დღესაც თავდაჯერებულად ეხმიანება და ამბობს:

**"ჯგუფი ყოველთვის ცდილობდა, დაეჯაბნა თავისი წინა საუკეთესო ნაწარმოები. ისინი ჩემპიონებს გვანან. ისინი ფლობენ ტიტულს და არ აპირებენ მის დათმობას. თუ ვიღაც მაინც მოინდომებს მათთვის პირველობის წართმევას, U2-სთან პირისპირ ბრძოლა მოუწევს".**

მენეჯერისვე თქმით, U2-ს მზარდი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მათი თაყვანისმცემლების რიგებში "თინეიჯერი მოხალისეებიც" ეწერებიან. **"თუ ჩვენ ვერ მოვხვდებით თანამედროვე როკის რადიო-ტალღებზე, ამას მარცხად ჩავთვლით"**, - დასძენს ის.

თუმცა, რა დროს მარცხია. პირველი სინგლი ახალი ალბომიდან Vertigo ხომ, ყველა სხვა ალღუმსაც რომ თავი დავანებოთ, "ბილბორდის" თანამედროვე როკის ჩარტში ოთხი კვირის განმავლობაში ლიდერობდა.

"ახალგაზრდა მოხალისეების" რიგების გაფართოებაზე U2-ს ამერიკელი დისტრიბუტორი "ინტერსქოუფი" სხვა ხერხებითაც ზრუნავს: "ემტივი"-ზე და ექსტრემალური სპორტის სახეობებისადმი მიძღვნილ გადაცემებში ჯგუფის რეკლამების წილს ერთი-ორად ზრდის. მზადდება წებოვანი "სტიკერებიც", რომელთაც საშუალო სკოლებში დაარიგებენ. კომპანია Apple კი ალბომის რეკლამაზე დაახლოებით 20 მილიონ დოლარს ხარჯავს.

**Apple-ისა და U2-ს პარტნიორობას კიდევ ორი საინტერესო შედეგი აქვს:**

გამოვიდა Apple-ის MP3-პლეერის iPod-ის სპეციალური სერია, რომელიც 349 დოლარი ღირს, 5 ათას სიმღერას და ჯგუფის ოთხივე წევრის - ბონოს, ეჯის, ლერი მიულენის და ადამ ქლეითონის ლაზერულ ავტოგრაფებს შეიცავს.

გამოვიდა ციფრული კოლექციაც, რომელშიც ჯგუფის 400 სიმღერაა შესული, მათგან 25 სრულიად უცნობი ჩანაწერია. კრებული 149 დოლარი ღირს.

ამ და U2-სთან დაკავშირებული სხვა სიახლეებისა და გეგმების სანახავად Apple-ის გარდა "ამაზონ.ქომ"-ის ვებ-გვერდის მონახულებაც ღირს. ახალი ალბომი ხომ "ამაზონის" დისკების გაყიდვების მაჩვენებელში პირველ ადგილზეა.

თუმცა, არ გეგონოთ, რომ ატომურ ბომბს ბონო და მისი მეგობრები ტრადიციული ხერხებით აუვნებელყოფდნენ. ჩვეულებრივი დისკის გარდა, რომელიც ამერიკაში 13.98 დოლარი ღირს, გაყიდვაში ორი განსაკუთრებული ტიპის დისკიც ჩაეშვა:

**პირველი** - CD და DVD პაკეტია, რომელშიც შედის დოკუმენტური ფილმი და ხუდი ვიდეო-რგოლი (ცხადია, ვიდეო ციფრულ დისკზე). მისი ფასი 24.98 დოლარია.

**მეორეა** - CD და DVD პაკეტი, რომელსაც თან U2-ს 70-გვერდიანი წიგნიც ახლავს, ჯგუფის წევრების მიერ შექმნილი ნახატებით, გრაფიკული ნამუშევრებით და სხვა საინტერესო ამბებით სავსე. ამ კრებულის ფასი 39.98 დოლარია.

■ ■ ■

ერთი სიტყვით, U2-ს ახალი ალბომის პრეზენტაციას მსოფლიოში სრული ექსპანსიის სურვილიც კი შეიძლება ვუწოდოთ. მით უფრო, რომ კრებულს ზედმიწევნით პოლიტიზირებული სათაური აქვს და ტრადიციულად მძიმე და სევდიან თემებსაც ეხება: დანაკარგს, რწმენას, ომს, სევდას, სიკვდილს, სოციალურ უსამართლობას, დიდებას, სიყვარულს, მეცნიერებას და შეიძლება, სადღაც პოლიტიკასაც.

პოლიტიზირების მძაფრი განცდა განსაკუთრებით მათ დარჩებოდათ, ვინც 22 ნოემბერს ატომური ბომბის გაუვნებელყოფას ბონოსთან ერთად ნიუ იორკში ცდილობდნენ - 11 სექტემბრის ტრაგედიით დაღდასმულ ქალაქში...

რაც შეეხება რეცენზიებს, არც ეს აყოვნებს. "ნიუ იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ჯონ პარელესი აცხადებს, რომ **ახალი ალბომი თამამად იმკვიდრებს ადგილს U2-ს საუკეთესო ნაწარმოებების - Boy, War, Joshua Tree, Achtung Baby - გვერდით.** მეტიც, მისი თქმით, თითოეული სიმღერა გაცილებით უფრო სიღრმისეული და სრულყოფილია, ვიდრე ნებისმიერი დანარჩენი. **"ადრეული ხანის U2-ს ჟღერადობა წარმატებით უზავდება ჯგუფის 25-წლიან გამოცდილებას, ექსპერიმენტებს და წარმატებას"**, - დასძენს პარელესი.

რეცენზენტები უფრო შორსაც მიდიან და აცხადებენ, რომ **ბოლო ალბომის ჟღერადობა და შესრულების სტილი ზუსტად ისეთ განცდას იწვევს, როგორსაც Abbey Road-ის ეპოქის "ბითლზი" ტოვებდა.**

დასკვნა ასეთია - "თითოეული სიმღერა" დაგამახსოვრებთ თავს. ზოგიერთი მათგანი კი ლოცვის ასოციაციასაც გაგიჩენთ. მაგალითად, ბოლო ჩანაწერი Yahweh სხვა არაფერია თუ არა ლოცვა. არადა, ამ სიმღერის ტექსტი და სათაურიც სრულიად გაუაზრებლად გაჩენილა. ბონო უკონტექსტოდ ღიღინებდა რაღაც სიტყვებს, რათა მელოდიას შეწყობოდა და მოულოდნელად დააფიქსირა, რომ იაჰვეს ახსენებდა - ებრაულად ღმერთის სახელს. მერე უკვე იოლად დაიწერა დანარჩენი სიტყვებიც:

**"აიღე ეს მაისური და გარეცხე, კარგად გარეცხე. აიღე ეს სული, ძვლებსა და კანში დამწყვდეული, აიღე და აამღერე... იაჰვე, იაჰვე, მე კვლავაც შეუპოვრად ველი დილის ნათელს...".**

მერე კი ისევ ჯონ პარელესთან ინტერვიუში ბონო დასძენს:

**"ჩვენ მუსიკაში ბევრია ტაძრები და გზები. ხშირად ეს გზები ტაძრებისკენ მიდიან; ტაძრებისკენ, სადაც მჭახედ ჩაგესმის ყურში საკუთარი ფეხის ხმა, სადაც ღელავ და სადაც სულ თვალს აპარებ აქეთ-იქით, რადგან გგონია, რომ ვიღაც აგედევნა. მხოლოდ რაღაც ერთ მომენტში ხვდები, რომ მართლაც ვიღაც გითვალთვალებს - ის ღმერთია".**

ბონოს სჯერა:

**"რამდენიმე წელიწადში დადგება დრო, როცა აღარავინ უგულებელყოფს რელიგიურ ინსტინქტს ადამიანში, პირიქით, ყველა გაიაზრებს, რომ რელიგია ადამიანების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია... მაგრამ ამავე დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ იმ ადამიანებთან, რომლებიც ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათი გზაა სწორი. უნილატერალიზმი ღმერთის წინაშე - სახიფათოა. რელიგია რიტუალი და სიმბოლიზმია. მწერლები ამ სიმბოლიზმით ცხოვრობენ, მუსიკოსები, მსახიობები - ამ რიტუალებით. ჩვენ რელიგიისთვის ვართ შექმნილნი. მაგრამ ამავე დროს სახეზე გვაქვს ეს ქვეყანა - ირლანდია, რომელიც იმავე რელიგიის გამო ორადაა გახლეჩილი; გვაქვს ახლო აღმოსავლეთიც. ახლა კი, თუ შემწყარებლობისა და ძალისხმევის თანხვედრა არ მოხდა, სახეზე გვექნება - ამერიკაც"...**

ალბათ, სწორედ ეს ნააზრევია ბონოს პოლიტიკურ-რელიგიური ბომბი, რომელიც მან თავის ახალ ალბომში სათაურად გამოიტანა.

შეიძლება მისი აქტიური სოციალური ცხოვრება ბევრს აღიზიანებდეს კიდეც, მაგრამ ფაქტია, რომ მუსიკოსს სჯერა: იგივე აფრიკელი შიდსიანების დახმარებით საკუთარ სულს იხსნის. ის ხუმრობს კიდეც - **"სამყაროს გადასარჩენად მოღვაწეობა ლამის ყოველდღიურ რუტინად მექცა".**

და მაინც, ეს რუტინა, მუსიკასთან შეზავებული, სასიამოვნო შესასრულებელია. როგორც ბონოს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ გიტარაზე წერია: U2-ს "მიზანი - სულია".

ახლა თავად იფიქრეთ, რომელ ატომურ ბომბზეა ლაპარაკი მათ ახალ ალბომში და რას მოუხერხებენ ბომბს ირლანდიელები.

---

სამსონ ლეჟავას სვეტი

## თბილისური ეზოს ფენომენი



ძველი თბილისის სივრცის მთელ თვისობრიობაში არსებით როლს თამაშობს ეზო, რომელიც ბევრ რასმე გვაუწყებს არა მხოლოდ - ცალკეულად ხუროთმოძღვრებაზე, არამედ საკუთრივ ცხოვრების წესზე, მოქალაქეთა სამყაროსადმი დამოკიდებულებაზე.

თბილისური ეზო (რომელსაც სხვა ჩვენს ქალაქთა ეზოებიც გარკვეულწილად ენათესავება), მართლაც, ამოუწურავია თავისი მრავალშრიანობით. ამიტომაც მცირე წერილში შეუძლებელია მისი სრულფასოვანი დახასიათება. ეს მცდელობა მხოლოდ სადღეისოდ განადგურების პირას მისული ამ არაჩვეულებრივი მოვლენისადმი სიყვარულის გამოხატულებაა, დაფუძნებული საკუთარ გამოცდილებაზეც, ვინაიდან სწორედ ამგვარ გარემოში აღვიზარდე. მისდამი მძაფრი ნოსტალგია ჩემთვის არ წარმოადგენს უბრალო ფრაზას. ის, რაც სწრაფად და უკანმოუხედავად ენაცვლება ქალაქური, თბილისური (და არა "იტალიური") ეზოს ძალზე მიმზიდველ სივრცეს, ადამიანის ფსიქიკისათვის უცხოა, მისი დამანგრეველიც კი არის თავისი იზოლაციონიზმით, ანტიკომუნიკაციურობით, სიცივით. ამიტომაც, ჩვენს არქიტექტორებს, ვფიქრობ, მეტი ზრუნვა ჰმართებთ საკუთარ, შემუშავებულ სტანდარტთა გადამლახავ პროფესიულ ამოცანებზე. აშკარად მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ ხუროთმოძღვართა წრეებმა ჩვენში, გაცილებით საფუძვლიანად შეიმეცნონ დღესაც ჯერ კიდევ არსებული და შემორჩენილი, ძალიან ღრმა გამოცდილება. პრესტიჟის საქმეცაა, რომ მათ ახალმშენებლობათა სტიქიურობა შეძლებისდაგვარად, თავადვე შეცვალონ ტრადიციასთან დიალოგში შესული ფორმებით, რაც ცოცხალი შემოქმედებითი პროცესისათვის მრავლისმომტანია. ტრადიციასთან ზიარება ამ შემთხვევაში როდი გულისხმობს რაიმე სახით მექანიკურ გადმოღებას უკვე არსებულისა, არამედ უპირატესად, ფუძე - პარადიგმის წვდომას. ეს, ცხადია, იოლი არ არის, მაგრამ ასეთი ძალისხმევის გარეშე პროფესიონალიზმიც ვერ გაღრმავდება. მხოლოდ მარტივი ტექნოლოგიის ცოდნა და რიგით სტანდარტულ ოპერაციათა ფლობა (რაც, სამწუხაროდ, ჩვეული რეალობაა), ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს ჩვენს აღმშენებლობას. დღეს არქიტექტორი უთუოდ კულტურის მკვლევარადაც უნდა იქცეს, და არა მხოლოდ ფაქტობრივად "მზა" პროდუქციის აღმმართველად. თითქოსდა საკმარისად ფართო "ვარიაციათა" არსებობაც, ასეთ დროს ვერ შველის საქმეს. სწორედ ამიტომაც არის აუცილებელი საკონკურსო კონცეფტუალური პროექტების წარმოჩენა, სადაც გამოვლინდება ტრადიციის ყველაზე ფასეულ მახასიათებელთა ახლებური ხედვა თანამედროვე პროფესიონალთა ქმნილებებში. ეს ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა.

ეჭვგარეშეა, რომ ამ თვალსაზრისით მრავლისმომტანია ეზოს, როგორც თავისებური სივრცითი "ბირთვის", შეფარულ აღნაგობაზე დაკვირვება. უფრო კონკრეტული პრობლემატიკიდან ამოსაცნობია, ხვეულ, თუ მრავალმიმართულებიან, ხშირად უეცარ სივრცობრივ "სვლათა" შემქმნელი კიბეების აგებულებაში, ფუნქციური დატვირთულობის - ერთი მხრივ, და გარკვეული თვალსაზრისით თამაშისმიერობის - მეორე მხრივ, გაწონასწორების პრინციპი. მეტად საგულისხმო და უჩვეულოა "აივანი-ხიდების" ირაციონალური ლოგიკურობაც. მთლიანობაში, ჩასაწვდომია ის ნიშნები, რომელნიც გულისხმობს - ეზოს "თვითარსობისას", მის ქუჩასთან არა მხოლოდ აივნებით (შალვა ამირანაშვილი) გამჟღავნებულ კონტაქტურობას. გასარკვევია ისიც, თუ რას გულისხმობს ეზოსავე სპეციფიკური "მიკრო-ეკოლოგიურობა"; მისი ბოლო დრომდე მიწის, ნიადაგისაგან მოუწყვეტელობა; ვაზის, ყვავილნარისა თუ გარკვეული "მოსავლის" მომტანი ხეთა მოვლის ტრადიცია; კულტივირებული ბუნების თუნდაც აუცილებელი მინიმუმის ღრმა გაშინაგანებულობა ძველ უბნებში არსებულ განაშენიანებაში, რასაც დღევანდელ ახალმშენებლობათა საზარელი ანტიეკოლოგიზმი, ბუნების ამოძირკვის გამძვინვარებული პრაქტიკა ენაცვლება, რაც კატასტროფულ უკულტურობაზე მეტყველებს!

ამას გარდა, საჭიროა თბილისური ეზოს წვდომა სოციოლოგიური თვალსაზრისით. დღეს ხუროთმოძღვრების მკვლევარნი გამოჰკვეთენ დიდ ქალაქებში ე.წ. "არაფორმალურ" ურთიერთობათა აღორძინების აუცილებლობას, ეძიებენ "კომუნიკაციური შიმშილისა" და ურთიერთგაუცხოების დაძლევის გზებს (ძალიან ხშირად, საკმარისად უტოპიური პროექტების სახით). ამ დროს კი, ჩვენ გვაქვს ჯერაც კიდევ ცოცხალი (თუმც კი ხელისუფლების სრული უგულისყურობის შედეგად გაპარტახებული), უნიკალური გარემოცვა თბილისური უბნისა და ეზოს სახით. ეს არის ე.წ. "კომუნიტარიანიზმის", როგორც თეორიული მოდელის, ლამისაა იდეალური ხორცშესხმა (იგულისხმება კოლექტიურ და ინდივიდუალურ საწყისთა სრულფასოვანი შეწონასწორება. ეზოს პირველადი სოციალური ჯგუფი დიდი სულიერი ფასეულობის მქონე ორიენტირია (ორიენტირის მნიშვნელობას ურბანულ გარემოში გამოჰკვეთს ცნობილი თეორეტიკოსი კ. ლინჩი). ეს არის ის საუკეთესო "კლუბი" (დ. ჯეკობსი), რომელიც თავისი მრავლისმომცველობით აღემატება ნებისმიერ სხვას, რომელნიც მაინც უფრო ვიწრო ინტერესებით იფარგლება. საქმე ისაა, რომ უბნისა და ეზოს სამყარო, მართლაც, დიდი სამყაროა, სადაც: თაობათა შორის კავშირიც იჩენს თავს არა მხოლოდ ოჯახური "მიკროსოციუმის" დონეზე; პრივატულისა და საყოველთაოს მეტ-ნაკლებად ბუნებრივი თანამყოფობაცაა; ე. წ. "ღია საზოგადოების" პრინციპის ბუნებრივი ხორცშესხმაც ჩანს; პირდაპირ სანიმუშო დემოკრატიულობაც და გულგახსნილობაც ვლინდება სამეზობლოში ადამიანთა შორის ურთიერთობისას; ინტენსიურობისა და სიმყუდროვის შეხამებაც არსებობს. . .

თბილისური ეზოს (უფრო ფართოდ კი - უბნის) სივრცე, ღრმად ადამიანური სივრცეა, თავისი სასიკეთო აურით. მართალია, აქ კონფლიქტებიც იჩენდა თავს, მაგრამ გადამწყვეტი იყო დღესაც გასაზიარებელი, ძალზე პოზიტიური, ხშირ შემთხვევაში, სამაგალითო მახასიათებლები. მთელი ეს გარემო დიდ შესაძლებლობებს ატარებს ამჟამად ესოდენ გავრცობილ სტრესულ სიტუაციათა დასაძლევად.

ძველთბილისური ეზოს ყოფა კაცთმოყვარეობით, ურთიერთთანადგომით გამოირჩევა. გაჭირვებულისადმი ყურადღებაც აქ აუცილებლობად აღიქმება. ამგვარი ატმოსფეროს პოტენციურად შემცველი საცხოვრისის დაპროექტება, ვფიქრობ, ახლანდელი საქართველოს არქიტექტურისათვის საგულისხმო პრინციპად უნდა იქნეს მიჩნეული, სადაც ხუროთმოძღვრულ სტრუქტურებში ანთროპომორფული "მისანდობელობის" პრინციპი თავიდან არის აღმოსაჩენი. თბილისურ ეზოში ჩენილი შესაძლებლობების გააზრებული, კორექტული და თანამედროვე ენაზე ხორცშესხმული სახეცვალება - ეს მეტად საინტერესო "გამოწვევაა" ჩვენი ხუროთმოძღვრებისათვის . . .

ფეხბურთი

# ინტრიგა

გუშინდელი დღის შემდეგ ჩემპიონთა ლიგას ერთი ინტრიგა შემორჩა. კერძოდ, უაღრესად გაურკვეველი რჩება მადრიდის "რეალის" ბედი. მას ჯგუფური ტურნირის დაძლევისთვის ერთადერთი გამოსავალი რჩება. ბოლო ტურში რომში უნდა დაამარცხოს "რომა". წინააღმდეგ შემთხვევაში "სამეფო კლუბი" შეიძლება ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების მიღმა აღმოჩნდეს. ეს კი უდიდესი დარტყმა იქნება, როგორც კლუბის ხელმძღვანელობისთვის, ისე გულშემატკივართათვისაც. და შეიძლება გულშემატკივართა გულის წყრომა იქამდე მივიდეს, რომ ამ ამბავს ფლორენტინო პერესიც შეეწიროს.

რა მოხდება, ამას ორი კვირის შემდეგ გავიგებთ. მანამდე კი ცხადია, რომ მადრიდელებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. "რეალმა" 8-ჯერ დაარტყა ჰანს იორგ ბუტის კარში, მაგრამ ერთადერთი გოლის გატანა მოახერხა. თავი რაულმა გამოიჩინა, მაგრამ მანამდე ბერბატოვმა 36-ე წუთზე გახსნა ანგარიში და ესპანელებმა მხოლოდ წონასწორობის აღდგენა მოახერხეს. თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე კი ლუიშ ფიგუმ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი დარტყმა. 1:1 და კლაუს აუგენტალერის გუნდს ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი აქვს.

"მატჩის წინ ვთქვი, რომ ფრე კარგი შედეგი იქნებოდა და მოხარული ვარ, რომ ფეხბურთელებმა მოახერხეს სასურველი შედეგის



*ლუიშ ფიგუმ პენალტი ვერ გამოიყენა და ეს გამოუყენებელი პენალტი "რეალისთვის" შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს.*

მიღწევა" - განაცხადა აუგენტალერმა. ჯგუფის მეორე მატჩში კიევის "დინამომ" - 2:0 დაამარცხა იტალიური "რომა" და იტალიელებს ამ სეზონში ევროთასებზე გამავალი ყოველგვარი გზა მოუჭრა.

ტურის მეორე და უაღრესად ღირსშესანიშნავი მოვლენა მანჩესტერის "ოლდ ტრაფორდზე" მოხდა. გუნდი მე-1000 ევროპულ მატჩს ატარებდა და ბუნებრივია, რომ მანჩესტერელებმა მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლეს. იქნებ ამიტომაც იყო, რომ ტოტალიზატორები გადაიტვირთა "მანჩესტერ იუნაიტედის" მოგებაზე დადებული ფსონებით. გაუმართლათ კიდეც ტოტალიზატორის მოთამაშეებს. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა - 2:1 მოიგო და D ჯგუფში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. გამარჯვებულთაგან გოლები გარი ნევილმა (19) და რუუდ ვან ნისტელროიმ (53) გაიტანეს.

ერთადერთი დაპასუხო გოლი კი დიარას (40) ანგარიშზეა. თუმცა, ამ ჯგუფში "მანჩესტერ იუნაიტედმაც" და "ლიონმაც" გაინაღდეს მომდევნო ეტაპის საგზურები.

მერვედფინალში ითამაშებენ ტურინის "იუვენტუსი" და მიუნხენის "ბაიერნი", რომლებმაც მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. ფაბიო კაპელოს გუნდმა, ტრადიციისამებრ - 1:0 დაამარცხა ამსტერდამის "აიაქსი", ხოლო "ბაიერნმა" მიწასთან გაასწორა თელავივის "მაკაბი - 5:1.

უაღრესად დაძაბული მდგომარეობაა A ჯგუფში. აქ ორი საგზურისთვის სამი კლუბი - "ოლიმპიაკოსი", "მონაკო" და "ლივერპული" იბრძვიან. ბერძნებმა "დეპორტივო" დაამარცხეს, ხოლო "მონაკომ" "ლივერპული". ბოლო ტურში ინგლისელებს ჯგუფიდან გასასვლელად "ოლიმპიაკოსის" დამარცხება ჰმართებთ.

**A ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო - ლივერპული | | | | | | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი - დეპორტივო | | | | | | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 10 |
| მონაკო | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 3:2 | 7 |
| დეპორტივო | 5 | 0 | 2 | 3 | 0:4 | 2 |

**B ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო - რომა | | | | | | 2:0 |
| რეალი - ბაიერი | | | | | | 1:1 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ბაიერი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 8 |
| რომა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

**C ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი - მაკაბი | | | | | | 5:1 |
| იუვენტუსი - აიაქსი | | | | | | 1:0 |
| იუვენტუსი | 5 | 5 | 0 | 0 | 5:0 | 15 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:3 | 9 |
| აიაქსი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| მაკაბი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |

**D ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნაიტედი - ლიონი | | | | | | 2:1 |
| სპარტა - ფენერბახჩე | | | | | | 0:1 |
| მანჩესტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 14:6 | 11 |
| ლიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:8 | 10 |
| ფენერბახჩე | 5 | 2 | 0 | 3 | 7:13 | 6 |
| სპარტა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |

# "მილანსა" და "ბარსას" თითო ქულაც ჰყოფნით

## "ვალენსია" და "პორტო" კი უფსკრულის პირას დგანან

*გუშინდელი ტურის მსგავსად, ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე მერვედფინალისტის ვინაობას დღესაც შევიტყობთ. სამწუხაროდ, ზოგიერთები შემდეგ ეტაპზე გასვლის უკანასკნელ შანსსაც დაკარგავენ - "ვალენსიას" და "პორტოს" საქმეები ძალიან ცუდად არის...*

**E ჯგუფი**

**ეინდჰოვენი - არსენალი**

**როსენბორგი - პანათინაიკოსი**

ინგლისის ჩემპიონატში ლონდონის "არსენალი" უკანასკნელი წლების ყველაზე წარმატებული გუნდია, თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში მათ ჯერ არასოდეს გადაულახავთ მეოთხედფინალური ბარიერი. წლევანდელ სეზონში კი ლონდონელებს ჯგუფში ჩარჩენაც კი ემუქრებათ. მიუხედავად იმისა, რომ არსენ ვენგერის გუნდი E ჯგუფში ამჟამად მეორე ადგილზეა, მესამე პოზიციაზე მყოფ "პანათინაიკოსს" ლონდონელები მხოლოდ ერთი ქულით უსწრებენ. "ეინდჰოვენის" წინააღმდეგ დღევანდელი მატჩის წაგების შემთხვევაში, "არსენალის" ბედი არა მხოლოდ საკუთარ, არამედ კონკურენტ "პანათინაიკოსის" ხელშიც იქნება. არადა, "ეინდჰოვენი" საკუთარ სტადიონზე თამაშობს და მოგების შემთხვევაში მერვედფინალის საგზურს დღესვე გაინაღდებს. ასე რომ, "არსენალს" იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის.

კონკურენტი "პანათინაიკოსი" კი დღეს სტუმრობს ნორვეგიულ "როსენბორგს", რომელსაც შემდეგ ეტაპზე გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი აქვს. მაგრამ თუ "როსენბორგი" დღეს "პანათინაიკოსს" ვერ დაამარცხებს, არათუ ჩემპიონთა ლიგის შემდგომი ეტაპის, არამედ უეფა-ს თასის საგზურის მოპოვების შანსსაც დაკარგავს.

**F ჯგუფი**

**მილანი - შახტარი**

**ბარსელონა - სელტიკი**

ეს ჯგუფი ორ ნაწილად არის გაყოფილი: "მილანი" და "ბარსელონა", რომელთაც 9-9 ქულა აქვთ მოგროვებული, პირველი ადგილისთვის იბრძვიან, "სელტიკი" და "შახტარი" კი 3-3 ქულით აუტსაიდერები არიან და უეფა-ს თასზე გამსვლელ, საპატიო მესამე ადგილს ეცილებიან ერთმანეთს. მართალია, ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი "სელტიკს" და "შახტარსაც" აქვთ, თუმცა, "მილანმა" და "ბარსელონამ" დღევანდელ მატჩებში თითო ქულაც რომ მოიპოვონ, მერვედფინალის საგზურებს გაინაღდებენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "მილანი" და "ბარსელონა" დღეს საკუთარ სტადიონებზე თამაშობენ, ამის ალბათობა საკმაოდ დიდია.

"ბარსელონა" "სელტიკს" მასპინძლობს და ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მადრიდის "რეალის" დამარცხების შემდეგ დღევანდელ მატჩს დიდი აღ-



*"ბარსელონას" ჯგუფიდან გასასვლელად ერთი ქულაც ჰყოფნის.*

მაფრენით ხვდება. ტრავმის გამო თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს კატალონიელთა შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი, თუმცა, ამ დანაკლისის შევსება "ბარსელონას" არ უნდა გაუჭირდეს.

"მილანი" დონეცკის "შახტარს" უმასპინძლებს და საჭირო, სულ ცოტა, ერთი ქულის მოპოვება არც მას უნდა გუაჭირდეს.

**G ჯგუფი**

**ანდერლეხტი - ვალენსია**

**ვერდერი - ინტერი**

ბრემენის "ვერდერს" ერთი ნაბიჯიღა აკლია იქამდე, რომ სენსაცია გამოაცხოს - ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტის ამპლუაში მერვედფინალის საგზური მოიპოვოს. დღეს ბრემენელები მასპინძლობენ მილანის "ინტერს", რომელმაც წინა ტურში გაინაღდა მერვედფინალი. თუმცა, დღევანდელ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში, "ვერდერს" არათუ შემდეგ ეტაპზე გასვლის, არამედ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების საუკეთესო შანსიც გაუჩნდება. თავის მხრივ, "ინტერი" თავისი სათადარიგო ფეხბურთელების გამოცდას აპირებს. დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს მილანელთა ბრაზილიელი ვარსკვლავი ადრიანო.

"ვალენსია" დღეს "ანდერლეხტს" სტუმრობს და შემდეგ ეტაპზე გასვლის უკანასკნელი შანსის გამოყენებას შეეცდება. თუმცა, დღევანდელ მატჩში გამარჯვება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ "ვალენსიას" მერვედფინალში თამაშის იმედი უნდა ჰქონდეს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ დღეს "ვალენსია" სტუმრად მოიგებს და "ვერდერი" საკუთარ სტადიონზე წააგებს "ინტერთან", უკანასკნელ ტურში კი "ვალენსია" თავად დაამარცხებს "ვერდერს". ასეთი რამ, მართლაც, შესაძლებელი, თუმცა, ძნელი წარმოსადგენია. სჯობს, "ვალენსიამ" მესამე ადგილის შენარჩუნებასა და უეფა-ს თასის საგზურის მოპოვებაზე იზრუნოს.

**H ჯგუფი**

**ჩელსი - პსჟ**

**აცსკ - პორტო**

ლონდონის "ჩელსის" ველარც მერვედფინალის საგზურს შეეცილება ვინმე და ველარც ჯგუფში მოპოვებულ პირველ ადგილს. ლონდონელთა დღევანდელი მეტოქე "პარი სენ ჟერმენი" კი ერთ-ერთია იმ სამი გუნდიდან, რომლებიც H ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად იბრძვიან. ახლა პარიზელები მესამე პოზიციაზე არიან, თუმცა, მეორე, ადგილზე მყოფ "აცსკ"-ს მსგავსად, 4 ქულა აქვთ. მძიმე ვითარებაშია ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული "პორტო", რომელიც ორი ქულით უკანასკნელ საფეხურზეა. პორტუგალიელები დღეს სტუმრად ეთამაშებიან "აცსკ"-ს და კიდევ ერთი წარუმატებლობის შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლის თეორიულ შანსსაც დაკარგავენ.

# ლარსონი ექვსი თვით დაისვენებს

ესპანეთის "ბარსელონას" ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი ექვსი თვით გამოვიდა მწყობრიდან. ორშაბათს მან მარცხენა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, რის შემდეგაც ექიმებმა გამოიტანეს ვერდიქტი, რომ მისთვის სეზონი პრაქტიკულად დამთავრებულია.

მატჩი "ბარსას" მუდმივ მეტოქე მადრიდის "რეალთან" აღინიშნა არა მხოლოდ კატალონიელთა სრული ტრიუმფით (3:0 - "ბარსას" სასარგებლოდ), არამედ იმითაც, რომ ამ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო რაიკაარდის გუნდის ერთ-ერთმა მთავარმა გოლეადორმა ჰენრიკ ლარსონმა. ერთ-ერთ ეპიზოდში შვედმა ფორვარდმა უხერხულად მოიქნია ფეხი და მარცხენა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლარსონს აღსადგენად დაახლოებით ექვსი კვირა დასჭირდებოდა. თუმცა, საბოლოო პასუხი ქირურგებს ოპერაციის შემდეგ უნდა გაეცათ.

როგორც პროფესიონალს შეშვენის, ჰენრიკ ლარსონმა ოპერაცია აღარ გადადო და ის ორშაბათს გაიკეთა. თუმცა, მისი შედეგი ფეხბურთელისთვის არცთუ ისე სახარბიელო გამოდგა. ექიმების შეფასებით, ლარსონს აღსადგენად დაახლოებით ექვსი თვე სჭირდება. საქმე ის არის, რომ ოპერაციის დროს ექიმებმა ლარსონს მუხლში ძველი ტრავმის ნაშთები აღმოუჩინეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ქირურგიული დანის ქვეშ კიდევ ერთხელ მოუწევს დაწოლა. "ფეხბურთელის სურვილის მიხედვით, ოპერაცია ჯვარედინ იოგებზე მას მოგვიანებით გაუკეთდება", - ნათქვამია კლუბის ოფიციალურ კომუნიკეში.

შეგახსენებთ, რომ ლარსონი "ბარსელონაში" მხოლოდ წლევანდელ სეზონში გადავიდა და თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება ვერ მოასწრო. ჯერჯერობით მის ანგარიშზეა ოფიციალურ მატჩებში გატანილი ოთხი გოლი, რომელთა შორის ერთი ლარსონმა ჩემპიონთა ლიგის ტურნირში გაიტანა. შედეგად, ბოლო მატჩებში, "რეალთან" შეხვედრის გარდა, მას მხოლოდ შეცვლაზე შემოსვლის შემდეგ ჰქონდა თავის გამოჩენის საშუალება. სამწუხაროდ, ამ სეზონში ლარსონი თავისი გოლების მარაგს, ალბათ, უკვე ველარ შეავსებს.

ეს კი ნიშნავს, რომ მისი მომავალი ესპანურ კლუბში ბოლომდე გაურკვევლად რჩებოდა, რაკი



*ჰენრი ლარსონი მეორე ოპერაციასაც გაიკეთებს.*

ლარსონისა და "ბარსელონას" კონტრაქტი ერთწლიანი იყო, შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივით. ანუ კლუბში დარჩენა ლარსონს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებოდა, თუ ამას თავად "ბარსა" მოითხოვდა.

თუმცა, ახლახან გაირკვა, რომ ფეხბურთელსა და კლუბს შორის ყველა საკითხი მოგვარებულია და ლარსონი კლუბში კიდევ ორი წლით დარჩება. საქმე ის არის, რომ "ბარსამ" ფეხბურთელთან გააფორმა ახალი კონტრაქტი, რომლის მიხედვით ლარსონი გუნდში 2006 წლამდე დარჩება. ამ ტრავმის მიუხედავად, შვედმა თავისი თამაშით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კლუბის ხელმძღვანელობაზე და კლუბმაც გადაწყვიტა, ფეხბურთელი შეენარჩუნებინა. არადა, ამ ტრავმის გამო ფეხბურთელი ვერ აგროვებდა სეზონში მატჩების 60 პროცენტს, რაც ახალი კონტრაქტისთვის აუცილებელი იყო. შეგახსენებთ, რომ ლარსონი ესპანეთში გლაზგოს "სელტიკიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა, "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელი დაამშვიდა. მას აუხსნეს, რომ ის კლუბისთვის უაღრესად საჭიროა. ამდენად, ლარსონს შეუძლია მშვიდად იყოს, მკურნალობაზე იფიქროს და საკუთარ მომავალზე აღარ იდარდოს.

ლარსონის ტრავმამ დიდი თავსატეხი გაუჩინა მწვრთნელთა შტაბს. "ბარსელონას" რიგებში ხომ ერთადერთი ფორვარდია, რომელსაც ძალისმიერი ბრძოლა შეუძლია - სამუელ ეტო`ო. უფრო ადრე ტრავმების გამო მწყობრიდან გამოვიდნენ ედმილსონი და ტიაგუ მოტა. თანაც, კლუბს ამჟამად არავითარი საშუალება არა აქვს, ახალი ფორვარდები შეიძინოს. სატრანსფერო დერეფანი ევროპაში მხოლოდ იანვარში გაიხსნება.

ამის მიუხედავად, იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ლარსონის ტრავმა კლუბისთვის გამოუსწორებელ პრობლემებს გამოიწვევს. კარგ ფორმაში მყოფ ეტო`ოს, დეკუსა და რონალდინიოს თავისუფლად შეუძლიათ, ნებისმიერი მეტოქის დაცვა გაარღვიონ. ეს "გალაქტიკოსთან" შაბათის მატჩმაც დაადასტურა. იმ მატჩში სამივე გოლი სწორედ კატალონიური სუპერტრიოს უშუალო მონაწილეობით გავიდა.

კალათბურთი

# სტოქტონის 12 უკვდავყვეს

სანდრო ნავერიანი

"იუტა ჯაზს" მოგებათა სერია არ უნდა შეეწყვიტა: სოლტ-ლეიკ-სიტიში ჩავიდოდა "ნიუ-ორლეან ჰორნეთსი", რომელსაც მანამდე არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. ჯაზმენებმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყეს და ნიუორლეანელებთან მატჩი მათთვის იოლი გასეირნება უნდა ყოფილიყო.

ჯაზმენებს დამატებითი სტიმული ჰქონდათ: სწორედ გუშინ სოლტ-ლეიკ-სიტიში, კერძოდ, "დელტა ცენტრში" მოეწყო დღესასწაული, რომელიც ლეგენდარულ ჯონ სტოქტონს მიუძღვნეს: 12-ნომრიანი მაისურა, რომელსაც ჯონ სტოქტონი ატარებდა, უკვდავყვეს. ამიერიდან "იუტა ჯაზის" რიგებში 12-ნომრიან მაისურას ველარავინ მოირგებს. ასეთი პატივი სტოქტონამდე კიდევ ხუთ ჯაზმენს ხვდა წილად. თავის დროზე უკვდავყვეს პიტ მარავიჩის 7 ნომერი, დერელ გრიფიტის 35, მარკ იტონის 53 და ჯეფ ჰორნეჩეკლის 14 ნომერი. ცერემონიას ესწრებოდნენ მარკ იტონი, ადრიან დენტლი და კარლ მელოუნი, რომლის 32 ნომერსაც, ალბათ, ძალიან მალე "იუტა ჯაზის" ხელმძღვანელობა იგივე ბედს აზიარებს.

როგორც გამოჩნდა, დღესასწაული არ გამოვიდა, უფრო სწორად, კი გამოვიდა, მაგრამ იუტელებმა მატჩის მოგება ვერ მოახერხეს. "ჰორნეთსმა" ისევე ითამაშა, როგორც წინა რვა შეხვედრაში, რომელშიც მარცხდებოდა. ჯაზმენებს ბევრჯერ ჰქონდათ საშუალება, სოლიდური უპირატესობა მოეპოვებინათ, მაგრამ მათ ეს შანსი ხელიდან გაუშვეს. ჯაზმენებს ძალიან დააკლდათ მეტ ჰარპრინგი, რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებს.

მიუხედავად იმისა, რომ "იუტა ჯაზის" უკლებლივ ყველა კალათბურთელმა თამაში ჩააგდო, ჯოხი ანდრეი კირილენკოს მხრებზე გადატყდა. საქმე ის არის, რომ მატჩის დამთავრებამდე 4,4 წამი იყო დარჩენილი, როცა ანდრეი კირილენკომ ორი საჯარიმო ვერ გამოიყენა. მეორე ტყორცნის შემდეგ ბურთი იუტელებმა მოხსნეს ფარიდან, გორდონ გირიჩეკმა ტყორცნა, მაგრამ მისი სროლა და საფინალო სირენის ხმა ერთი იყო. თუმცა, ბურთი მაინც აცდა კალათს. "იუტა ჯაზმა" 76:75 წააგო. ასე რომ, თქვენ თვითონ ხედავთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ანდრეი კირილენკოს საჯარიმო ტყორცნები: ერთიც რომ ჩაეგდო, მატჩი ოვერტაიმში გადავიდოდა, იქ კი, ვინ იცის...

დღის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა დალასში, "ემერიქან ეარლაინზ ცენტრში", "დალას მავერიქსის" საკალათბურთო სასახლეში. დალასელმა მოხეტიალეებმა "მინესოტა თიმბერვულვზს" უმასპინძლეს. ტეხასელბმა წლევანდელი სეზონი კარგად დაიწყეს, მაგრამ ბოლო ორი მატჩი სათანადო დონეზე ვერ ჩაატარეს და დამარცხდნენ. "მინესოტა თიმბერვულვზი" რომ ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, ამაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ და მოგახსენებთ უშუალოდ იმას, რაც "ემერიქან ეარლაინზ ცენტრში" ხდებოდა. პირველი მეოთხედი მინესოტელებმა 20:29 წააგეს, მაგრამ მატჩის მსვლელობა არ გვაფიქრებინებდა იმაზე, რომ დალასელები იოლ გამარჯვებას მოიპოვებდნენ. მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მეორე მეოთხედში "თიმბერვულვზმა" 20:14 მოიგო და ექვსი ქულა ამოქაჩა. შესვენების შემდეგ "თიმბერვულვზმა" უფრო დალაგებული თამაში აჩვენა, რამაც განაპირობა მესამე მეოთხედის 22:19 გამარჯვება. დალასელები ხშირად უტევდნენ, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში უხეიროდ მოქმედებდნენ. აღსანიშნავია, რომ "მავერიქსის" შემადგენლობაში არ თამაშობდა გუნდის აშკარა ლიდერი დირკ ნოვიცკი. უკანასკნელი მეოთხედის დაწყების წინ ანგარიში თანაბარი იყო (62:62). მატჩის უკანასკნელი მეოთხედი შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა: ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხან - მეორე, მაგრამ ბოლოს მინესოტელებმა დალასელებზე ერთი ქულით მეტი მოაგროვეს (21:20) და მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულეს (83:82). ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო ჯოშ ჰოვარდი, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა. დალასელთა შემადგენლობაში ასევე კარგად ითამაშა დევინ ჰარისმა, რომელმაც 14 ქულა, 3 შედეგიანი გადაცემა და 3 ბლოქ-შოტი გააკეთა. მინესოტელთა შემადგენლობაში კი, რა თქმა უნდა, ყველაზე შედეგიანი იყო კევინ გარნეტი, რომელმაც 21 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა, 17 მოხსნა და 3 ბლოქ-შოტი გააკეთა. გარნეტს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარნენ სემ კასელი და ტროი ჰადსონი, რომლებმაც, შესაბამისად, 16 და 11 ქულა მოუტანეს თავის გუნდს.

"სან-ანტონიო სფურზი" დამარცხდა "მემფის გრიზლისთან". როგორც ჩანს, ტეხასელთა კარგი სტარტი ნელ-ნელა ფუჭდება. სანანტონიოელებმა მემფისელებთან 90:93 წააგეს.

რაც შეეხება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალ ამბებს. "დეტროიტ პისტონზი" დროებით მთავარი მწვრთნელის ლარი ბრაუნის გარეშე დარჩა. ამის მიზეზი გახდა ნაოპერაციები ბარძაყი. ექიმებმა ლარი ბრაუნს ურჩიეს, "დეტროიტ პისტონზს" გასვლით მატჩებზე შარლოტსა და კლივლენდში არ გაჰყოლოდა. სავარაუდოდ, ბრაუნი გუნდს "მაიამი ჰიტთან" საშინაო მატჩის დროს დაუბრუნდება.



ორი დიდი კალათბურთელი - კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი.

მოკლედ

## შარაპოვა საუკეთესოა



მარია შარაპოვამ წელს ხუთი ტურნირი მოიგო, მათ შორის უიმბლდონი.

საჩოგბურთო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ, რომელიც თავის რიგებში 17 ქვეყნის კოლეგებს აერთიანებს, 2004 წლის ლაურეატები დაასახელა.

წლის ჩოგბურთელად რუსი მარია შარაპოვა აღიარეს. წლის შედეგების მიხედვით, WTA-ის ოფიციალურ რეიტინგში შარაპოვამ მეოთხე პოზიცია დაიკავა, მაგრამ გამოკითხვის მიხედვით ის პირველობისთვის მებრძოლ ამერიკელ ლინდსი დევენპორტსა და ფრანგ ამელი მორესმოს ჯობნის.

"მარიას პროგრესს ანალოგი არ მოეპოვება. მან წელი 32-ე ადგილზე დაიწყო. მის თამაშში უამრავი ხარვეზი შეინიშნებოდა და, ამის მიუხედავად, სეზონი დაასრულა, როგორც უშიშარმა, უნივერსალურმა და ჩამოყალიბებულმა მოთამაშემ", - განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა მეთიუ კრონინმა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს შარაპოვამ ხუთი ტურნირი მოიგო. მათ შორის "დიდი სლემის" სერიის ტურნირი - "უიმბლდონი" და წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი ლოს-ანჯელესში, რომელსაც არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატსაც უწოდებენ. შარაპოვამ 55 მატჩში გაიმარჯვა და მხოლოდ 15 დათმო. 17 წლის სპორტსმენის საპრიზო შემოსავალმა წლეულს 2,5 მილიონი დოლარი შეადგინა.

ვაჟთა შორის საუკეთესო მოთამაშის ნომინაციაში ბადალი არ ჰყავდა შვეიცარიელ როჟე ფედერერს, რომელმაც "დიდი სლემის" ოთხიდან სამი ტურნირი მოიგო და წლის შემაჯამებელი მასტერსიც მისი გამარჯვებით დასრულდა. ლაურეატთა დაჯილდოება შაბათს გაიმართება.

## რასისტებმა საფეხბურთო ინგლისს ომი გამოუცხადეს

ინგლისური პრემიერლიგის კლუბის "ბირმინგემ სიტისა" და ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების ფორვარდ დუაიტ იორკს "ბლექბერნ როვერსთან" შეხვედრაში მეტოქის გულშემატკივრებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და რასისტული ეპითეტებით შეამკეს.

მატჩის 74-ე წუთზე იორკის მინდორზე გამოსვლას გულშემატკივარი შეხვდა შეძახილით: "მაიმუნი". "ფანებმა ფეხბურთელი რასისტული გამოხდომებით შეურაცხყვეს. იორკი უაღრესად გულნატკენი და გაბრაზებულია", - განაცხადა "ბირმინგემის" ხელმძღვანელმა სტივ ბრიუსმა.

საერთოდ, ინგლისში მოთამაშე შავკანიან ფეხბურთელებს ბოლო დროს აშკარად არ უმართლებთ. მაგალითად, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უეფაში გაგზავნა საჩივარი, რომლის მიხედვითაც მას ატყობინებს, რომ ესპანეთის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრის დროს ინგლისელ ფეხბურთელებზე რასისტული ზეწოლა განხორციელდა.

კერძოდ, კარლტონ კოულსა და დარენ ბენტს ესპანელმა ქომაგებმა "მაიმუნი" უწოდეს. უფრო გვიან კი კიდევ ერთი ბრიტანელი ფეხბურთელი გლენ ჯონსონიც შეურაცხყვეს.

ამას წინათ რასისტულ გამოხდომაში კიდევ ერთი ესპანელი ლუის არაგონესი ამხილეს. მან უხამსი გამონათქვამებით შეამკო ლონდონის "არსენალის" ფრანგი ფორვარდი ტიერი ანრი. ესპანეთის ნაკრები ბელგიელებთან შესახვედრად ემზადებოდა, როცა არაგონესმა "არსენალის" კიდევ ერთ ფეხბურთელს ხოსე ანტონიო რეიესს მისი შავკანიანი თანაგუნდელის შესახებ ასეთი რამ უთხრა: "შენ იმ შავკანიან მაიმუნზე უკეთესი ხარ". როგორც ჩანს, ესპანელებს პრიმატებთან როგორღაც არაჯანსაღი სიყვარული აკავშირებთ.

მოტოსპორტი

# დიდი ჩია იტალიელი - ვალენტინო

მისთვის, ვინც ავტომოტოსპორტითაა გატაცებული, უცხო არ უნდა იყოს მოტო GP-ის უბადლო ოსტატის, ჩია იტალიელის ვალენტინო როსის სახელი, რომელსაც დიდ პრიზებზე არაერთი ტიტული მოუპოვებია. მაგრამ იტალიელის გულშემატკივრებს მისთვის ახალი გამოწვევა სურთ - ფორმულა 1-ის სახით. სამეფო რბოლებში როსის შესაძლო გადასვლის თაობაზე ჯერ კიდევ შარშან ლაპარაკობდნენ. არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ იტალიელ ტიფოზებს სურთ, თავიანთი კერპი ლეგენდარულ "ფერარიში" იხილონ.

მიხაელ შუმახერისა არ იყოს, დიდი პრიზების კვარცხლბეკზე როსის ხილვა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. ერთი ეგაა, "ფერარის" ლეგენდარული მესაჭე წლეულს მეშვიდედ დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, იტალიელი კი ერთი ასეთი ტიტულით ჩამორჩება სახელოვან გერმანელს.

ახლახან ვალენტინო როსის ინტერვიუ ჩამოართვეს. თავდაპირველად ახლახან დამთავრებულ სეზონზე ჰკითხეს, რომელიც მისი ტრიუმფით დასრულდა.

**- მართალი გითხრათ, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ "იამაჰაში" გადასვლის პირველივე წელს ჩემპიონი გახდებოდით. დარწმუნებული იყავით გამარჯვებაში?**

- არა, რა თქმა უნდა, ამის იმედი არ მქონდა. წლის დასაწყისში მეგონა, რომ შესაძლო იყო, რამდენიმე რბოლა მომეგო. ვფიქრობდი, რომ ხშირად დავიმსახურებდი კვარცხლბეკზე დგომის პატივს, მაგრამ ტიტულის დაუფლების იმედი არ მქონია. მხოლოდ მაშინ, როდესაც სამხრეთ აფრიკაში პირველივე რბოლა მოვიგე, ვიფიქრე, რომ შანსი მქონდა.

**- როდესაც "იამაჰაში" გადახვედით, რას ელოდით?**

- არ ვიცოდი, რას მიმზადებდა ბედი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ აუცილებელი იყო, რაღაც შემეცვალა, რომ ახალი გამოწვევა მჭირდებოდა. უბრალოდ, მშვენიერია, რომ "ოჯახმა" ჩემს ყველა ტექნიკურ მოთხოვნაზე მოახდინა რეაგირება. ეგეც არ იყოს, მოტოციკლი პირველივე ტესტებზე ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ველოდი. მეც ვიფიქრე: "უყურე ერთი, რა მაგარია!"

**- როგორ მოახერხეთ, რომ "ჰონდასთან" შედარებით სუსტ მოტოციკლზე გახდით მსოფლიო ჩემპიონი? თქვენ იყავით ძალიან ძლიერი თუ სხვები სუსტები?**

- "იამაჰამ" ჯერ კიდევ შარშან მიაღწია პროგრესს. ვფიქრობ, "იამაჰასთვის" მნიშვნელოვანი იყო ჩემთან და ჩემს გუნდთან თანამშრომლობა, რათა სწორი მიმართულებით განვითარებულიყო. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ თავად მოტოციკლიც კარგი იყო. როგორც წესი, მაღალ შედეგებს განაპირობებს მრბოლის კომბინაცია, მანქანა და გუნდი.

**- "იამაჰას" მეორე საუკეთესო მრბოლმა კარლოს ჩეკამ ჩემპიონატში თქვენი შედეგისგან ბევრად უარესი - მეშვიდე ადგილი დაიკავა. გამოდის, რომ თქვენ ასპარეზობდით ბრწყინვალედ...**

- დიახ, ასეა. "იამაჰას" სხვა მრბოლებს რთული წელიწადი ჰქონდათ. ამ მხრივ შედარებით უკეთესად ასპარეზობდა კარლოს ჩეკა, მაგრამ ვერ მოახერხა მიეღწია იმისთვის, რასაც მისგან სხვები და, რაც მთავარია, თვითონ ელოდა საკუთარი თავისგან.

**- მიუხედავად ამისა, პირველივე წელიწადს "იამაჰას" რიგებში ჩემპიონი გახდით. შესაძლებელი იქნება თუ არა მომავალში თქვენი დამარცხება?**

- დარწმუნებული ვარ, "ჰონდა" უკვე გაისად თავს დააღწევს წარუმატებლობას. ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ "იამაჰა" და მე დამამარცხონ.

ახლა დანამდვილებით არ შემიძლია იმის თქმა, შეძლებს თუ არა ვინმე მომავალ წლებში ჩემს დამარცხებას. ახლა ჩემი უმთავრესი მეტოქეები არიან ჟიბერნაუ და ბიაჯი. ჩემი ჩამოქვეითების ყველაზე დიდი შანსი სწორედ მათ აქვთ.

**- მეექვსე ტიტულის დაუფლების შემდეგ თქვენ ყველა დროის საუკეთესო მოტომრბოლად ითვლებით. იზიარებთ თუ არა ამ აზრს?**

- წინ ჯერ დიდი გზა მაქვს გასავლელი. მინდა, სპორტის ამ სახეობაში კიდევ ბევრს მივაღწიო. რეკორდების ნუსხას ჯერ კიდევ არ მოვქცევივარ სათავეში. იმედია, ახლო მომავალში ამას შევძლებ.

**- ვალენტინო როსის მოტოგრან-პრის მიხაელ შუმახერს ეძახიან. ასეთი შედარება მოგწონთ?**

- ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება, რადგან მიხაელი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენია. ასე რომ, ეს შედარება მსიამოვნებს!

**- იტალიასა და გერმანიაში მეტად აქტუალურია თემა ფორმულა 1-ში თქვენი შესაძლო გადასვლის თაობაზე. თუმცა, 2006 წლის ბოლომდე მოტორბოლებში გამოსვლას აპირებთ. შეგიძლიათ თუ არა იმის პირობა დადოთ, რომ 2007 წლის ბოლომდე არ დატოვებთ მოტოგრან-პრის?**

- თავს ვერაფერზე ვერ დავდებ. დანამდვილებით მარტო ის ვიცი, რომ ჯერჯერობით "იამაჰაში" ყოფნას ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, 2006 წლის ბოლომდე.



ვალენტინო როსის ჯერ კიდევ დიდი გზა ჰქონია გასავლელი.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 24 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. "SACRAMENTO KINGS" - "HOUSTON ROCKETS". პირდაპირი ტრანსლაცია
08:30 NBA TV - NBA შიგნიდან
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" (უკრაინა) - "რომა"
14:10 ჩემპიონთა ლიგა. "მონაკო" - "ლივერპული"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:05 ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ლიონი"
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ჩემპიონთა ლიგა. ცსკა - "პორტუ". პირდაპირი ტრანსლაცია
22:25 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები პირდაპირ ეთერში
00:45 ჩემპიონთა ლიგა. პსვ - "არსენალი"
02:40 02:40-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. "CLEVELAND CAVALIERS"- "DETROIT PISTONS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - დღიური

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
11:15 შოუ მოტოსპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:50 "არტეფაქტი". ველოსიპედი
14:30 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "TROPHEE ERIC BOMPARD"
16:15 როდეო. "Bull Riders"
17:00 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "TROPHEE ERIC BOMPARD". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
19:45 "სპორტისიმო"
20:30 "სპორტის აკვატორია"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ჰოკეი. ქალები. ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირი
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 "თოვლიანი სამყარო". ტელეჟურნალი
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" - პსჟ. პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა" - "სელტიკი"

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი - ევროგოლები
11:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი
13:00 ფეხბურთი. 19 წლამდელ გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ფეხბურთი. 19 წლამდელ გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში. ნახევარფინალი
20:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
21:00 აფროსნობა
21:30 პოლო. კარტიეს თასი
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 გოლფი. აზიის ტური
01:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:45 ახალი ამბები
02:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი
03:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

# ფიქრები ერთი წლის შემდეგ

## მოკითხვა ამერიკიდან

ირაკლი კაკაბაძე
ვაშინგტონიდან

*გილოცავთ დაუმორჩილებლობის წლისთავს და გისურვებთ, მთავრობა დაგმორჩილებოდეთ და კარგი ცხოვრება მოეწყოს მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხალხის ქვეყანაში. იმედია, ნოდარ ლადარია არ მიწყენს ამ შოვინისტურ გამოთქმას - საქართველოც, მისი ქალებიც და სილამაზეც იმდენად მომენატრა, რომ ლადარიას შიშიც გადავლახე და უშიშროების სამინისტროსიც. ამიტომაც მოლოცვასთან ერთად ყველაზე უფრო კრიტიკული შენიშვნებიც მინდა გამოვთქვა საქართველოს უკვე ერთი წლის ხელისუფლებისა და მედიის მიმართ.*

კრიტიკას საკუთარი თავით დავიწყებ. მინდა, საკუთარ თავს გულწრფელად ვუსაყვედურო ის, რომ ამ ერთ წელიწადში სამართლიანი კრიტიკა ისეთი დაყვავების ტონით შევცვალე, რომელიც მხოლოდ ჩემი პატარა 2 წლის შვილის, გიგოს მიმართ უნდა გამოვიყენო, ისიც მაშინ, როდესაც მას "თხა და გიგოს" ვუკითხავ. ამიტომაც, რევოლუციის წლისთავზე მოლოცვასთან და "თხა და გიგოსთან" ერთად, ილიას ის ნაწერიც უნდა გავიხსენო, სადაც "მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო" - ამბობს. ქართული საზოგადო ცხოვრება, ისევე როგორც ქართული ლიტერატურა, მეტად მრავალფეროვანი ფენომენია. მის ერთ-ერთ ფერს მაინც თუ დავივიწყებთ, აღარ გვექნება სრულყოფილი წარმოდგენა ამ ქვეყნის შესახებ. ასე ვარ ახლა მე, რომელსაც დამავიწყდა ის, რომ ჩემი პატარა გიგოს ბაბუამ, ანუ მამაჩემმა, თავის დროზე "ფერადებად შენაფერი მზის" ნახვა ერთ-ერთ უდიდეს ბედნიერებად მონათლა და მეც არ შეიძლება, არ დავეთანხმო ამ შემთხვევაში მამაჩემს, მიუხედავად იმისა, რომ ლადარიას, ვიცი, ეს ნამდვილად არ მოეწონება. ესეც ხომ სიმამაცის ნიშანია. აბა, ვაჟკაცობა ასე იწყება. თავიდან ლადარიას გაუბედავ საწინააღმდეგო აზრის თქმას და ერთ-ორ წელიწადში იქნებ ვანო მერაბიშვილსაც გადავწვდე, ჩემო ირაკლი. ასე რომ, ორივე აზრის თქმა შეიძლება - დადებითისაც და უარყოფითისაც. მხოლოდ უარყოფითის თუ მხოლოდ დადებითი აზრის პატრონი, ორივე ტენდენციურია და არც ერთი არ გამოდგება პირნათელ მსაჯულად. ასე რომ, ჩემო ირაკლი, თუ გინდა, ვარდების რევოლუცია წარმატებით დამთავრდეს, ხან ნოდარ ლადარიასაც უნდა შეეკამათო და ხან ვანო მერაბიშვილსაც. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თბილი ირონიაა, რადგანაც ჩვენ ყველანი ერთ ქვეყანას ვაშენებთ, და ამ დიალოგში საზოგადოების ყველა ფენა უნდა ჩაებას.

ყველა შემთხვევაში სიმართლის თქმა აუცილებელია. ამიტომაც პუნქტობრივად ჩამოვყვეთ. ვეცდები, დღევანდელი გადმოსახედიდან ის ვთქვა, რისი გაკეთებაც შეიძლება იმისათვის, რომ "ვარდების რევოლუცია" ჩვენთვის მხოლოდ სასიამოვნო მოგონებად არ დარჩეს და ამ მონაპოვარს სტრუქტურული ხასიათი მიეცეს.

■ ■ ■

პირველი შენიშვნა საკუთარ თავს მივეცი და მეორეს, რომელსაც ზოგადად მედიის მიმართ ვამბობ, საკუთარი დის მიერ მომზადებულ რეპორტაჟზე ვიტყვი. რამდენიმე დღის წინ რევოლუციის შესახებ

მომზადებულ რეპორტაჟში ლაპარაკი იყო "სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტის" წევრებზე. ვფიქრობ, აქ მნიშვნელოვანია, რომ შთამომავლობამ იცოდეს - ეს სამოქალაქო პირებისაგან შემდგარი არაფორმალური ორგანიზაცია არც "რევკომი" იყო და არც "არტკომი", მიუხედავად იმისა, რომ მასში ხელოვანნიც იყვნენ და პროფესიონალი რევოლუციონერებიც. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და მშვიდობიანი მეთოდებით პროტესტის უფლება ქვეყნის ყველა მოქალაქის უფლებაა და მისი გამოყენება ყოველთვის აუცილებელია, როდესაც ხელისუფალი ხალხის საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს - სოციალურად უსამართლო ნაბიჯებს. "დაუმორჩილებლობის აქტი" ქართველმა ხალხმა განახორციელა პოლიტიკურ პარტიებთან და სამოქალაქო პირებთან ერთად. მშვიდობიანი დაუმორჩილებლობით და სიყვარულით სოციალური ცვლილების განხორციელების იდეა ახალი აღთქმის ეთიკას ეყრდნობა. თანამედროვე მსოფლიოში ამის რამდენიმე მაგალითი გვაქვს: მაგალითად - მაჰათმა განდი, მარტინ ლუთერ კინგ ჯუნიორი, ვაცლავ ჰაველი და ასე შემდეგ. ქართულ რეალობაში კი ვარდების საშუალებით ომის მოგებაზე პირველად ზვიად გამსახურდიამ თქვა 1991 წელს და კარგი იქნება, ამ კაცს ეს მაინც არ დავუკარგოთ, მიუხედავად ჩვენი მისდამი დამოკიდებულებისა. "არტკომის", "რევკომისა" თუ "დამკომის" დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ მონაწილე იყო ამ არაჩვეულებრივი მოვლენისა. თორემ მთავარი ამ შემთხვევაში ის სულისკვეთებაა, რომელიც მთლიანად ხალხს ჰქონდა, რომლის მიხედვითაც ძალადობა არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული და ძალადობის გარეშეც შესაძლებელია, არ შევეპუოთ უსამართლობას.

■ ■ ■

მესამე შენიშვნიდან მინდა, უკვე მთავრობაზე გადავიდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთ წელიწადში ნამდვილად უამრავი კარგი რამ გაკეთდა, საჭიროა კიდევ უფრო მეტის გაკეთება. პირველ რიგში საჭიროა ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვა. პირადად მე ბენდუქიძის კანდიდატურასაც მივესალმები, ირაკლი მანაგაძისაც და ნოღაიდელისაც. ვფიქრობ, ისინი კარგი კადრები არიან. მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა ჩანდეს მთავრობის პოლიტიკური ნება, რომ დაიწყოს ახალი გრანდიოზული პროექტები. საქართველოში დღეს ნამდვილად შესაძლებელია "ახალი ეკონომიკური კურსის" დაწყება და სერიოზული თანხების დაბანდება ეროვნულ ეკონომიკაში. ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვება. მე, მაგალითად, არ მესმის, რა უდგას წინ მცირე და საშუალო ჰიდრო-ელექტროსადგურების შენებას ჩვენს პერიფერიებში. ამისათვის ინვესტიციების მოზიდვაც შეიძლება და ამავე დროს სახელმწიფო ინვესტიციის განხორციელებაც. ეს უამრავ სამუშაო ადგილსაც გააჩენს და 2-3 წელიწადში ენერგეტიკულ პრობლემასაც მოხსნის. იმედი მაქვს, ასეთ პროექტებზე მუშაობა უკვე დაწყებულია საქართველოში. ამავე დროს დიდი ყურადღების მიქცევა უნდა ინტელექტუალურ ბიზნესს, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას და სხვა პრიორიტეტულ დარგებს. საქართველოს ეკონომიკას დეპრესიიდან მხოლოდ "ახალი კურსი" გამოიყვანს, რომელსაც კიდევ უფრო მეტი პოზიტიური პოლიტიკური ნება სჭირდება.

■ ■ ■

მთავრობამ რამე უნდა მოიფიქროს პენსიებისა და ხელფასების გასაზრდელად. ეკონომიკურ პროგრამასთან ერთად ჯერჯერობით არ ჩანს სოციალური პროგრამა, რომელიც საჯარო სექტორში დასაქმებულ ხალხს რეალურ ანაზღაურებას შესთავაზებს. კარგია, რაც პოლიციაში მოხდა, მაგრამ სხვა პროფესიების წარმომადგენლებიც არ უნდა დაგვავიწყდეს. უნდა გაგრძელდეს თანამედროვე პროფკავშირული მოძრაობის ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა. ამას აუცილებლად სჭირდება მთავრობის მხარდაჭერა, თუ არა და ჩვენც გავაგრძელებთ სვლას "ბანანას რესპუბლიკისაკენ".

■ ■ ■

აგრეთვე აუცილებელია თვისობრივად ახალი ტიპის პოლიტიკური და საზოგადოებრივი დიალოგის წახალისება. პოსტ-კომუნისტური, პათოლოგიური, ჭორებზე დაყრდნობილი ურთიერთლანძლევის წესი საბოლოოდ უნდა ჩაბარდეს ისტორიას და მთავრობამ მისცეს ტრიბუნა კვალიფიციურ ოპოზიციას, იმისათვის, რომ საკუთარი იდეები უკეთესად გაფილტროს. ახლა ჩვენთან უკვე არის ნორმალური ოპოზიციის ჩანასახი და ამას სჭირდება, უბრალოდ, თვისობრივად ახალი დიალოგის დაწყება. გარკვეულ დონეზე ეს შეიძლება ხდება კიდეც, მაგრამ, ვფიქრობ, გაცილებით მეტია საჭირო. საჭიროა მეტი დიალოგი არსებით საკითხებზე და არა პიროვნებებზე და მათს ერთმანეთში დამოკიდებულებაზე. ამ დიალოგის დაწყებაში როლი მთავრობამაც უნდა ითამაშოს და მედიამაც. აგრეთვე, აუცილებლად მინდა დავამატო, რომ პრეზიდენტი ახლა უკვე დემოკრატიის გარანტის როლში უნდა გამოდიოდეს; მისი ჩაბმა ნებისმიერ პოლემიკაში და ცხარე კომენტარები ნამდვილად არ წაგვადგება არავის და პირველ რიგში თვითონ მას. ვფიქრობ, ის უკიდურესად ნიჭიერი კაცია და ამ ახალი დიალოგის დაწყებაც მშვენივრად ძალუძს. ამისათვის რესურსი არის, უბრალოდ, საჭიროა მეტი ნება.

■ ■ ■

აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში კარგი რამეებიც გაკეთდა და შეცდომებიც იქნა დაშვებული. ჩემი აზრით, ზედმეტად მილიტარისტული ტონი ამ კონფლიქტებზე ლაპარაკისას მისაღები არ არის. ძალიან კარგი, რომ ასეთ ტონს სისტემური ხასიათი არა აქვს და იგი მხოლოდ ადგილ-ადგილ თუ გაიელვებს. ამავე დროს, ვფიქრობ, სააკაშვილს დიდი შესაძლებლობა აქვს, რომ ურთიერთობები მოაწესრიგოს აფხაზებთან და ოსებთან. ვფიქრობ, საკუთარი პასუხისმგებლობის დანახვა იქნებოდა პირველი ნაბიჯი კონფლიქტის მოგვარებისაკენ. ჩვენ ღიად უნდა ვაღიაროთ 1992-93 წლებში ჩვენი დანაშაული და ამის პასუხისმგებლობას ახალი მთავრობა მკვეთრად უნდა გაემიჯნოს. ისტორიული და პოლიტიკური შეფასება უნდა მივცეთ ამ მოვლენებს და ყველაფერს საკუთარი სახელი დავარქვათ. ამავე დროს, არასდროს უნდა გავიმეოროთ ის, რაც იმ წლებში მოხდა. აფხაზებსა და ოსებს, რა თქმა უნდა, თავისი დანაშაული და საკუთარი პასუხისმგებლობა აქვთ, მაგრამ ჩვენ, პირველ რიგში, საკუთარი თვალიდან უნდა ამოვიღოთ დირე. სააკაშვილს ყველანაირი პოლიტიკური კაპიტალი გააჩნია მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმატებით საწარმოებლად, მით უმეტეს, ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ქართული ჯარი აღარ არის ხელწამოსაკრავი ძალა. ჩვენ ახლა ღირსეული შეიარაღებული ძალები გვყავს, რომელთაც მშვიდობა უნდა დაიცვან და ისინი თვისობრივად სხვა პოლიტიკურ ნიადაგზე უნდა იდგნენ, ვიდრე იმ წლების ზოგიერთი ნახევრად კრიმინალური სამხედრო ფორმირება.

■ ■ ■

კადრების შერჩევაში ცოტა მეტი სიფრთხილის გამოყენება ჰმართებს ჩვენს მთავრობას. ერთი მხრივ, უნდა ითქვას, რომ ბევრი დანიშვნა მაღალ დონეებზე საკმაოდ წარმატებულია (მაგალითად: ზურაბიშვილი, ბენდუქიძე, ოქრუაშვილი, ბარამიძე და ა.შ.), მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ შედარებით დაბალ საფეხურებზე აშკარად იგრძნობა გამოუცდელი და ჯერ კიდევ დაულვინებელი ახალგაზრდა კადრების სიმრავლე. ახალგაზრდა (20-იდან 30-წლამდე) ნამდვილად შეიძლება იყოს კარგი საჯარო მოხელე ამ ასაკში, მაგრამ არა როგორც წესი. ამიტომაც არის, რომ ამ ასაკში ცივილიზებულ ქვეყნებში შედარებით ნაკლებ პასუხისმგებლობას აკისრებენ. ამ დროს ჯერ კიდევ მეტად აქტიური ჰორმონები საკუთარს ითხოვენ და მხოლოდ გამონაკლისებს შეუძლიათ გაუძლონ ცდუნებას. დანარჩენი საჯარო მოხელეები კი ამ ასაკში ამხელა რაოდენობით ნამდვილად გარკვეულ ზარალს მოგვიტანენ ჩვენც და საკუთარ თავსაც. ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა - არა კომუნისტურს და ნომენკლატურულს. მაგრამ ვერაფრით დავიჯერებ, რომ ჩვენს ქვეყანაში 40-იდან 65 წლამდე ასაკის ადამიანებში ყველა ნომენკლატურულად აზროვნებდეს. ამიტომაც, ცოტა უფრო მეტი ძებნაა საჭირო და კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების რესურსების მეტი გამოყენება. იმედი მაქვს, ეს მუშაობაც უკვე მიდის.

■ ■ ■

ვფიქრობ, არანაირად არ უნდა გადავვარდეთ "დასავლური ფუნდამენტალიზმის" მორევში. ამაში ვგულისხმობ ყველაფერი დასავლურის უკრიტიკოდ მიღებას და ყველაფერი ქართულის დაუფიქრებლად გაკიცხვას. ჩვენი კულტურის მარგალიტი თვალწინ გვიდევს და არ შეიძლება, ყველაფერში საკუთარი თავი ამერიკის მონად გამოვაცხადოთ. თვით ამერიკაშიაც უამრავი ადამიანია უბედური იმ უსამართლობებით, რომლებიც აქ ხდება და ჩვენ არ უნდა შეგვეყაროს ეს საოცარი უარყოფა ყველაფერი საკუთარისა. ამერიკას და ევროპას კარგის მოცემაც შეუძლია და ცუდისაც. ჩვენც უნდა გავაკეთოთ არჩევანი. ამ საკითხებზე საჭიროა სხვადასხვა მოსაზრებების მოსმენა, არა მხოლოდ ლიბერალებისაგან, არამედ კონსერვატორებისაგან და ეგრეთ წოდებული რადიკალებისაგან. საზოგადოების ეს ორივე ნაწილი არანაკლებ ღირებულია, ვიდრე ლიბერალური. საჭიროა ეროვნული ტრადიციების დამცველებსა და პროგრესის მომხრეებს შორის ჯანმრთელი დიალოგის გამართვა, რამეთუ გადაჭარბებული "დასავლური ფუნდამენტალიზმიც" არანაკლებ უბედურებამდე მიგვიყანს, ვიდრე შინაური ნაციზმი.

■ ■ ■

გილოცავთ "რევოლუციის წლისთავს" და იმედი მაქვს, გაისად ბევრად უფრო უმნიშვნელო შენიშვნები მექნება საკუთარ თავთანაც და საკუთარ მთავრობასთანაც.

# ზამთრის დროზე გადასვლასთან დაკავშირებით

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ უბრუნდება სასაათო სარტყელს, ანუ კოსმიურ დროს, რაც განხორციელდა დეკრეტული დროის გაუქმებით.

ლენინის მიერ თავის დროზე დეკრეტული დროის შემოღება ინსპირირებული იყო გარკვეული შავი ძალების მიერ, რომლებმაც კარგად უწყოდნენ, რომ ახალი ტიპის ადამიანის (Homo Sovieticus) შექმნისათვის, ანუ ადამიანის ფსიქიკის შეცვლისათვის, მთელი რიგი ფაქტორებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დროის აღრევა იყო.

ამიტომ ახალი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის პირობებში, რასაც ადგილი აქვს დღევანდელ საქართველოში, ზუსტ სასაათო სარტყლის დროში, ანუ კოსმიურ დროში დაბრუნებას, განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზვიად გამსახურდიას დროსაც ასევე გაუქმდა დეკრეტული დრო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მისი შენარჩუნება ვერ მოხერხდა (ნიშანდობლივია, რომ ვერც სახელმწიფოს შენარჩუნება შევძელით მაშინ). ახლა სწორედ ამ მიზეზებს შევეხებით და მოკლედ მივუთითებთ იმ გარემოებაზე, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია, რათა კვლავ არ აგორდეს კამპანია კოსმიური დროის გაუქმების მოთხოვნით, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა წინა მოწვევის პარლამენტის დროს და სავალალოდაც დასრულდა.

უმარტივესი ჭეშმარიტებაა, რომ საათის გადაწევა-გადმოწევით დღის ხანგრძლივობა შეუძლებელია გაიზარდოს ან შემცირდეს. ასევე უმარტივესი ჭეშმარიტებაა, რომ შუადღე და შუაღამე არის 12 სთ-ზე და 24-სთზე. ამის დადგენა შემთხვევით არ მომხდარა და იგი უკავშირდება გარკვეულ კოსმიურ რიტმებს, რომელ რიტმებშიც ცხოვრება უწევს ადამიანს და რომლიდან ამოვარდნასაც იგი ზღავს ეკონომიკურად (ელექტროენერგიის ზედმეტი ხარჯვა), თავისი ფიზიკური მდგომარეობისა და ფსიქიკის ნაწილობრივ მოშლითაც კი, რადგან გვიან დაძინება (და, როგორც წესი, ტელევიზორის ყურება), შესაბამისად გვიან გაღვიძება, იწვევს ნევროზებს, თვალის და სხვა ავადმყოფობებს.

მეცნიერულად არის დადასტურებული, რომ ე.წ. ბიოლოგიური საათი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებში და ის სწორედ ზემოაღნიშნულ რიტმებს ესადაგება. მოზარდები ხომ ინსტინქტურად გრძნობენ დროის რიტმებს და მათ სრულებითაც არ აწუხებთ, თუ რას უჩვენებს კედლის საათი და როდის გადაწევენ ან გადმოწევენ მას. მაგალითად, ცნობილია, რომ ჩვილი ბავშვები, თუ მათ მოთხოვნილებისამებრ აჭმევენ დედის რძეს, ზუსტი რიტმით ცხოვრობენ და ამიტომ შესანიშნავადაც იზრდებიან, ცხადია, თუკი მათ ხელოვნურად ან დავუკარგავთ ბუნებრივ ინსტინქტებს, ანდა გარეშე ფაქტორები (ავადმყოფობა, ძუძუთი კვების შეუძლებლობა და ა.შ.) არ აწუხებთ.

ახლა შევეხოთ იმ კონკრეტულ წინადადებებს, რისი განხორციელებაც ახალ რიტმზე გადასვლისთვის აუცილებლად მიგვაჩნია.

ზამთარში, როდესაც დღის ხანგრძლივობა არის საშუალოდ 9-10 საათი, ხოლო ზემოაღნიშნულის თანახმად მზე ზენიტშია, ანუ შუადღე არის 12 სთ-ზე, ალიონი დაიწყება დილით 7.00-7.30 სთ-დან, ხოლო შებინდდება 16.30-17.00 სთ-დან. დღის სინათლის, ანუ ბუნებრივი სინათლის მაქსიმალური გამოყენებისთვის საჭიროა მთელი ქვეყნის მასშტაბით სამუშაოს დაწყება 8.00-8.30 სთ-ზე (თბილისში აუცილებლად 8 სთ-ზე, რეგიონებში შესაძლებელია 8.30 სთ-ზე, გამომდინარე ადგილობრივი პირობებიდან, რადგან უმრავლესობას ფეხით უწევთ სამსახურში სიარული შორ მანძილზე და სხვა). ეს ქვეყანას მისცემს ელექტროენერგიის (ამ არგუმენტებს იშველიებენ ყველაზე ხშირად დეკრეტული დროის გაუქმების მოწინააღმდეგენი) დიდ ეკონომიას, რომელიც სხვადასხვა გათვლით 10%-დან 20%-მდე მერყეობს. ეს კი საკმაოდ დიდი რაოდენობაა, მით უმეტეს, ელექტროენერგიის ასეთი დეფიციტის პირობებში. ეს ეკონომია იქნება როგორც ბიუჯეტისთვის, ისე თითოეული მოქალაქის ჯიბისთვის.

ვინაიდან ჩვენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, არსებითად, ორიენტირებულია სატელევიზიო საინფორმაციო-ანალიტიკურ გადაცემებზე, ამიტომ საჭიროა ტელეარხებს მიეცეთ რეკომენდაცია, რომ დილის საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემები დაიწყოს 7 სთ-ზე, შუადღისა 11-13 საათზე (სხვადასხვა არხს ეს გადაცემები სხვადასხვა დროს აქვს), ხოლო საღამოს საინფორმაციო გადაცემები დამთავრდეს ყველაზე გვიან 22.00-22.30 სთ-ზე.

საბავშვო გადაცემები და ფილმები დამთავრდეს ყველაზე გვიან 20.15 სთ-ზე.

სკოლებში სწავლა უნდა დაიწყოს 8 სთ-ზე, ხოლო ცალკეულ რეგიონებში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სწავლის დაწყება 8.30 სთ-ზე.

ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: როგორც ენერგეტიკის წარმომადგენლები გვაიმედებენ, თბილისში გვექნება 24 სთ-იანი გრაფიკი. მაგრამ სხვა დიდ ქალაქებში 18-20 სთ-იანი, რეგიონებში კი 8 სთ-იანი.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ 8 სთ-იანი გრაფიკის დროს სინათლე მიეწოდოს მოსახლეობას შემდეგი გრაფიკით: დილით 6.30-დან 9.30-მდე, ხოლო საღამოს 17.30-დან 22.30-მდე.

18-20 სთ-იანი გრაფიკის დროს, სასურველია, შუქი ყველა შემთხვევაში შეუწყდეთ საღამოს 23 სთ-დან ღამის 3-5 სთ-მდე.

ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა იძულებული იქნება, სწრაფად მიეჩვიოს ცხოვრების ახალ რიტმს, ანუ შესაბამისად დაწვეს ადრე და ასევე გაიღვიძოს ადრე, რითაც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული დღის სინათლე. ამით ელექტროენერგიაც დაიზოგება და ცხოვრების ევროპულ რიტმსაც სწრაფად მივუახლოვდებით (ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში 22.00-22.30 სთ-ზე მოსახლეობის უმეტესობას უკვე სძინავს და ცხოვრებას დილის 6.00-6.30-ზე იწყებს).

საქმეში ოდნავ ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ სოფელში (განსხვავებით ქალაქისაგან) საქმეს დილის 10-11 სთ-ზე არავინ იწყებს (როგორც ამას ადგილი აქვს მაგ., თბილისში); ამ დროს მეურნე კაცი უკვე სადილობს კიდეც და თავისი ძირითადი საქმე დასრულებული აქვს. სასურველია მთელი ქვეყანა გადაერთოს დროის ამგვარ რიტმში. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ისევ ძველი რიტმით გააგრძელებს ცხოვრებას (ე.ი. ძველი მენტალობით) და, შესაძლოა, ოპონენტების ზეწოლის შედეგად პარლამენტმა იძულებითი წესით კვლავ დააბრუნოს დეკრეტული დრო, მაგრამ ამ გზით ევროგაერთიანებამდე ვერასოდეს მივალთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ სიცრუის თავიდან აცილებაც, რასაც ყოველდღიურად აქვს ადგილი, როდესაც ვკითხულობთ: რომელი საათია, და ამ დროს ვამბობთ ტყუილს. განსაკუთრებით ახალი წლის დღესასწაულია ღიმილის მომგვრელი, როდესაც მის დადგომას ვზეიმობთ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არის დამდგარი. ეს ძალზე დამანგრეველია, რადგან არავითარი მადლი არა აქვს. საბედნიეროდ, წელს ნამდვილად გვაქვს შესაძლებლობა, ახალი წელი ვიზეიმოთ მაშინ, როცა ის ნამდვილად დადგება და მაშინ მილოცვას ნამდვილად ექნება მადლი (ამას ადასტურებს როგორც უძველესი აღმოსავლური, ისე დასავლური სიბრძნე) ყველასათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ამას გააცნობიერებს.

ჩვენ სასურველია ევროპელები ვიყოთ ცნობიერებით და არა გეოგრაფიულად. ამისათვის არის საჭირო ამ თითქოსდა მეორეხარისხოვან საკითხს ცნობიერად მივუდგეთ. ვფიქრობთ, ეს ასეც მოხდება და ამ საკითხს აღნიშნულ ჭრილში კომპეტენტური ადამიანებიც (ასეთები კი საქართველოში მრავლადაა) გამოეხმაურებიან და მას უფრო ვრცლად გააშუქებენ, იქნება ეს პრესით თუ ტელევიზიით. მით უფრო, როცა ამის მცდელობები უკვე იყო. ვფიქრობ, საჭიროა მათი მხრიდან მეტი ქმედითობა, რათა ყოველივე არ დარჩეს "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...".

**მიხეილ კვარაცხელია**
**ანზორ კვარაცხელია**
**გურამ გოგოხია**



## ფოტოგალერეა



გიორგობა.

ავტორი: გოგიტა ბუხაიძე

# ბილბორდი

ამერიკულ ჟურნალ "ბილბორდს" ხშირად ეძახიან თანამედროვე შოუბიზნესის ბიბლიას იმიტომ, რომ მუსიკალური და გასართობი ბიზნესის ყველა სფეროს ის ავტორიტეტულ წყაროებზე დაფუძნებულ უახლეს ინფორმაციას აწვდის. "ბილბორდის" მუდმივი მოხმარება ხელს უწყობს მათ ნაყოფიერ მუშაობას, ვინც უშუალოდ დაკავებულია ამ სფეროთი. ყოველ კვირას ჟურნალში ჩნდება ახალი ინფორმაცია მარკეტინგზე, ახალ ტალანტებზე, რეკლამაზე, რადიომაუწყებლობაზე, ვიდეო და აუდიო ტექნიკაზე, ახალ ტექნოლოგიებზე და საავტორო უფლებებზე. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, "ბილბორდი" აქვეყნებს ცხრილებს, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია ყველა სახის მუსიკით ვაჭრობის და ტრანსლირებისთვის: ჟურნალში სულ 40 სხვადასხვა სახის ცხრილი ქვეყნდება ხოლმე.

თუმცა, "ბილბორდის" ტირაჟის დიდი ნაწილი ამერიკაში საღდება, ჟურნალის გავლენა მთელ მსოფლიოზე ვრცელდება, რადგან ყველა ქვეყანაში, სადაც განვითარებულია მუსიკალური ინდუსტრია, "ბილბორდს" თავისი მკითხველი ჰყავს.

"ბილბორდი" (Billboard - განცხადებების დაფა) დაფუძნდა 1894 წლის ნოემბერში ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატიში, კერძო ტიპოგრაფიაში, რომელიც ლია ბარათებს უშვებდა. თავიდან ის თვეში ერთხელ გამოდიოდა. მოგვიანებით კი, გასართობი ინდუსტრიის ჟურნალი გახდა და ისეთ თემებს აშუქებდა, როგორიცაა სასოფლო სამეურნეო გამოფენები, ბაზრობები და ასევე საცირკო გამოსვლები. შემდგომში თემატიკა კიდევ უფრო გამრავალფეროვანდა და მოიცვა თეატრალური დადგმები, კინოფილმები, ხმის ჩაწერა, ვიდეოპროდუქცია. 1901 წლიდან ჟურნალი ყოველკვირეული გახდა. 1900-ანი წლების დასაწყისში კი ის ამერიკაში წამყვან თეატრალურ ყოველკვირეულად ითვლებოდა.

ჟურნალის დამფუძნებელი უილიამ დონალდსონი ქალთა უფლებების დასაცავად გამოდიოდა და შავკანიან შემსრულებელთა მხარდასაჭერად კამპანიებს ატარებდა.

20-ანი წლების დასაწყისში დიდმა ბიზნესმა გრამფირფიტების წარმოებაც მოიცვა - გაჩნდა ინდუსტრიის ახალი დარგი. 1921 წლისათვის შემოსავალმა ფირფიტების გაყიდვიდან 106 მილიონი დოლარი შეადგინა. თუმცა, მალე კომერციული რადიომაუწყებლობის გაჩენამ და ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ფირფიტების გაყიდვაზე. 1925 წლისათვის შემოსავლებმა ფირფიტების გაყიდვებიდან 57 მილიონ დოლარამდე დაეცა. მაგრამ, კრიზისის დაძლევის შემდეგ ელექტროტექნიკის და ხმის ჩაწერის ინდუსტრია კვლავ აყვავდა.

30-ან წლებში რედაქციამ მიზნად დაისახა გამხდარიყო დამაკავშირებელი რგოლი ხმისჩამწერ ფირმებსა და მომხმარებელს შორის.

40-50-ან წლებში ჟურნალში სულ უფრო იშვიათად ჩნდება სტატიები თეატრისა და კინოს შესახებ, ცნობები კარნავალებისა და ბაზრობების ირგვლივ. "ბილბორდი" შეიცვალა. ის უკვე აღარ ცდილობდა, რომ შოუ-ბიზნესის მთელი სპექტრი მოეცვა. ის უკვე მხოლოდ ხმის ჩამწერ ინდუსტრიას ემსახურებოდა.

1984 წლამდე "ბილბორდი", რომლის აქციათა უდიდეს ნაწილს ფირმის დამფუძნებელი ოჯახი ფლობდა, კერძო კომპანიად რჩებოდა. მაშინ "ბილბორდი" იყიდა ერთმა ბოსტონურმა ფირმამ, რომელმაც მოგვიანებით გაზეთ Boston Globe-ის მფლობელებს 100 მილიონ დოლარად მიჰყიდა.

P.S. ყოველ შაბათს "24 საათში" ქვეყნდება "ბილბორდის" ათეულები.

## სკანვორდი




## TV პროგრამა

24 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "მადმუაზელ "ო" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. "რეალი"-"ლევერკუზენი" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა 22.455 ჩემპიონთა ლიგა. "ეინდჰოვენი" - "არსენალი" **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ქრონიკები მთიდან. **12.00** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** იყო ჩეჩნეთი. დოკ. ფილმი. რეჟისორი ნინო კირთაძე.2002. **21.05** გადაცემა: თვალსაზრისი. **23.05** მოზამბიკი. დოკ. ფილმი. **03.05** სამხრეთის ანარეკლი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "თემო" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **11.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.05** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ვიქტორ ჰიუგო" **15.20** "საღამოს საუბრები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **17.25** დოკ. სერიალი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ცხოველთა ბედი" **19.00** საზეიმო კონცერტი (ტრანსლაცია ოპერიდან) **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" 1-ლი ს. **22.00** "მიამბეთ თქვენზე" - ლ. ასათიანი **00.00** მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" (გ)

### კავკასია

**14.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" (გ) 1-ლი ს. **16.00** ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" (გ) მე-2 ს. **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "დევნა" (18) (კლაუდია შიფერი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" **21.50** "ეძიე ქალი" **22.05** ქიმერიონი **22.40** მხ. ფილმი "სპირალი" (გ) მე-2 ს.

**18.00** მხ. ფილმი "დიდი მანევრები" (გ) **20.00** დოკ. ფილმი **21.50** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "ცისფერი ანგელოზი" (15)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მტვრის გემო" **12.20, 17.10, 02.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "გიორგობის თვე" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 02.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** უცნობი საქართველო **23.40** მხ. ფილმი "მძიმე ფული" (გ) (ვ. კილმერი) **01.20** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "სათამაშო" **10.50** ისტორიული ფილმი "რევოლუცია" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **13.05** მხ. ფილმი "უდაბნოს ცხელი მზე" **14.45** მელოდრამა "ვალსი" **16.15** მულტფილმი **17.45** მხ. ფილმი "მზით დატანჯულნი" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** მხ. ფილმი "მზით დატანჯულნი" **20.20** მუსიკა **21.00** კომედია "ორმაგი სახე" **22.45** მუსიკა **23.00** "ზღვარი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მისტიკა "სიღრმეში"

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** “Доброе утро” **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **“ДЕТИ АРБАТА”. 10.30** Сериал **“КЛОН”. 11.30** Док. детектив. “Исчезновение “Изауры”. Дело 1998г. **2**-я с. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00** “Пять вечеров”. Среда. **18.10, 19.00** Сериал **“КЛОН”. 20.00** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** Спецрасследование. “Ведьмы наших дней”. **23.50** “Фабрика звезд”. **00.10** Теория невероятности. “Любовь и секс”. Часть 1-я. **00.40** Док. фильм “Человек дождя” Альфред Шнитке”. **01.10** Антонио Фагундес в фильме **“БОССА-НОВА”. 02.50** Сериал **“ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА”. 04.40** Док. сериал “История живописи сестры Венди”.

### НТВ

**06.00** “Сегодня” **09.05** Сериал **“МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** “Сегодня” **10.15** Криминальная Россия. **10.50** “Женский взгляд” **11.20** “Растительная жизнь”. **11.55** Сериал **“ТОЛЬКО ТЫ...”. 13.30** Детективный сериал **“ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА”. 14.30** “По ту сторону войны”. Фильм Алексея Поборцева. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу “Принцип домино”. **17.25** Сериал **“РОКИРОВКА”. 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Премьера. Сериал **“ТОЛЬКО ТЫ...”. 20.50** “По ту сторону войны”. Фильм Алексея Поборцева. **3**-я с, закл. **22.00** “Страна и мир” **22.40** “Стресс”. Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Детектив **“Я ВСЕ ЕЩЕ ЗНАЮ, ЧТО ВЫ СДЕЛАЛИ ПРОШЛЫМ ЛЕТОМ” 02.20** Бильярд. **03.10** Сериал “Дикий мир. Борьба за выживание: рыжий кенгуру”. **04.10** Сериал **“ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА”. 04.55** Сериал **“МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ”. 05.40** Чрезвычайное происшествие.


Athen
Barcelona
Bari
Berlin
Bilbao
Bologna
Budapest
Dresden
Dublin
Edinburg
Faro
Hamburg
Helsinki
Ibiza
Lisbon
London
Manchester
Madrid
Marseille
Milan
Malaga
Mallorca
München
Nice
Palermo
Palma
Paris
Pisa
Prague
Rome
Sevilla
Stockholm
Thessaloniki
Vienna
Warsaw
Valencia
Venezia
Zurich

KÖLN/BONN — TBILISI

თბილისი - კიოლნი/ბონი

ყოველ ორშაბათს
ST 1140 CGN-TBS 21:30/03:40

ყოველ სამშაბათს
ST 1141 TBS-CGN 04:40/07:05

ერთი გზა 255 EURO
ორი გზა 390 EURO

www.gexx.de

Sheraton Metechi Palace
20, Telavi St.
0209 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 773171
Fax: +995 32 774171
sales@valley.ge

Flughafen Koeln/Bonn
51147 Koeln, Germany
Fax: +49-2203-54490
Georgien@GermaniaAirline.de
Callcenter: +49 1805 737100

Germania
Germania Fluggesellschaft mbH


# მოგზაურობა ევროპაში-XXI და სხვა

თამარ სუხიშვილი

"ნათქვამია: ულამაზესი ქვეყანა ის არის, სადაც ცხოვრობო" - ბერტოლდ ბრეხტმა "სიმონა მაშარის სიზმრებში" ძველების სიბრძნე გაიმეორა. თუმცა, რაღა შორს წავიდეთ, ჩვენს პოეტსაც ხომ უთქვამს: "სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა..."

**ნუგზარ შატაიძის ახალი მოთხრობაც - "კაპიკი გაკაპიკებულა ანუ მოგზაურობა ევროპაში"**, რომელიც **ჟურნალ "არილის"** ბოლო ნომერში (№9-10 2004) დაიბეჭდა, ამ ტალღაზეა აწყობილი. თბილისი-დიუსელდორფი-ინსბრუკი-ვერონა-პატრა... - ასეთი იყო ნუგზარ შატაიძის, კოტე ჯანდიერისა და ელგუჯა ბერიშვილის არასრული ევროპული მარშრუტი ერთი წლის წინ. სხვათა შორის, მოთხრობაში თავმოყრილი ისტორიების ერთი ნაწილი წელს, გაზაფხულზე მოვისმინეთ გონიოში კოტე ჯანდიერისგან. ეს იყო პენმარათონის დროს. როცა გონიოს ციხეში "გამომწყვდეული" ბატონი ნუგზარი სამარათონე მოთხრობას წერდა, ჟიურის წევრი კოტე ჯანდიერი "ტეკილას" ჭიქით ხელში გონიოს პლაჟზე ბევრ სხვა სახალისო ამბავთან ერთად ზემოხსენებული ევროპული ვოიაჟის ამბებსაც იხსენებდა. მსმენელი სიცილით იგუდებოდა.

თუმცა, "კაპიკი გაკაპიკებულა" მხოლოდ სახალისო თავგადასავლების ნაკრები არ არის. უცხო ენის უცოდინარი და უცხო ქვეყანაში პირველად მოხვედრილი მწერლის მოგზაურობა ერთგვარი ფონია ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკურ-სოციალური მოვლენების და ამ მოვლენათა შედეგების წარმოსაჩენად. მკითხველის თვალწინ ჩვენი უახლესი ისტორია გაცოცხლდება: თბილისის ომი, წყვდიადით მოცული ქალაქისა თუ სოფლის გაჭირვება, "ქართველი პერეგონშიკების", "სახელგანთქმული" ქართული საბაჟოსა და სხვა ამბები (თვით პენმარათონის ექსტრემალური პირობებიც კი). ყოველი ახალ ადგილის ნახვისას ავტორი თავის ქვეყანასთან ავლებს პარალელს. "დავდიოდით ამ კოპწია ქალაქის ქუჩებში და გვაგონდებოდა გურიისა და აჭარის მოუწყობელი, დანაგვიანებული სანაპირო, ქობულეთის გაძარცვული, გაპარტახებული დასასვენებელი სახლები, დანგრეული გზები..." "ეზოებში ვიყურები, კისერწაგრძელებული ვათვალიერებ იქაურობას - ნეხვს ვეძებ, საცა საქონელია, იქ ნეხვიც ხომ უნდა იყოს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, იმისი კვალიც კი არსადა ჩანს - ისეა იქაურობა დაწკრიალებულ-დამასმასებული, რომ გულში ნათელი ჩაგადგება..."

მაგრამ, იმ გაპარტახებულ სამშობლოსაც კი სხვა სილამაზე აქვს. ამიტომ ეშურებიან მოთხრობის გმირები შინ დაბრუნებას. სამშობლოს მცირე ხნით მოშორებულები კი იმაშიც რწმუნდებიან, რომ "არ გავცვლი სალსა კლდეებსა" ყალბი პათეტიკა სულაც არაა და ამიტომაც აეკვიატება მთხრობელს საბავშვო ენის გასატეხი "კაპიკი გაკაპიკებულა..." ეს განწყობა კი მოთხრობის პირველივე წინადადებაში ჩანს: "იმ პაპანაქება სიცხეში წავშავჭირდი ევროპაშიო..."

ვფიქრობთ, XXI საუკუნის მოგზაურობა ევროპაში მკითხველისთვის საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს. სხვათა შორის, "არილის" ეს ნომერი, რომელიც ერთთვიანი პაუზის შემდეგ კვლავ გაჩნდა წიგნის მაღაზიების თაროებსა თუ კიოსკების დახლებზე და ახლა უკვე ჩვეული პერიოდულობით გააგრძელებს არსებობას, პენმარათონის გამარჯვებულთა შემადგენლობითაც გამოირჩევა. წლევანდელი პირველი ადგილის მფლობელის - **პაატა ბერიკაშვილისა** და შარშანწინდელი მარათონის მესამე ადგილის მფლობელის - **თამრი ფხაკაძის** მოთხრობების გვერდით ჟურნალში დაბეჭდილია ზურაბ ლეჟავას პროზა და ბათუ დანელიას პოეზია.

რუბრიკა "ახალი თარგმანები" კი ნუგზარ შატაიძის ზემოხსენებული მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს, მწერალ **დავით წერედიანს** უმასპინძლებს. დავით წერედიანის ახალ თარგმანს (ჟურნალში "ფაუსტის" ერთი სცენაა წარმოდგენილი) წინ უძღვის მთარგმნელის მცირე წინასიტყვაობა, სადაც განმარტებულია, თუ რა არის საჭირო "ფაუსტის" სრულფასოვანი ესთეტიკური აღქმისათვის და ნაწარმოების ცენტრალურ თემაზე - ფაუსტისა და მეფისტოფელის ურთიერთობაზეცაა საუბარი. ეს წინასიტყვაობა მკითხველს უდავოდ დაეხმარება ნაწარმოების გაგებაში.

ამავე რუბრიკაში პირველად იბეჭდება ამერიკელი მწერლის, 2004 წლის პულიცერის პრემიის ლაურეატის - **ედუარდ ჯონსის** მოთხრობა "მაგარი გოგო-ბიჭები" (ასმათ ლეკიაშვილის თარგმანი). პოპულარული მწერლის ეს ნაწარმოები თანამედროვე ამერიკული "თავისუფალი სამყაროს" ყოფას ეხმიანება. ეს ყოფა საკმაოდ შორს დგას ყველასათვის სანატრელი "ამერიკული ოცნებისგან". ეს არის თავგადაკლული ტელეფანატების (რომელთაც სიცოცხლეში ერთი წიგნი არ წაუკითხავთ), უპასუხისმგებლო ახალგაზრდების (რომელთაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ და თავს არ იწუხებენ დაუწერელი კანონების შესრულებით) ყოფა. ცხოვრება იმ ადამიანებისა, რომლებსაც ერთმანეთთან კონტაქტის დამყარება უჭირთ და მხოლოდ ფულის ენაზე შეუძლიათ ურთიერთობა. ფულის ენა კი მარადიულია, მაგრამ ერთი ცუდი თვისება აქვს - მას უბედურების მეტი არაფერი მოაქვს. ჯონსის გმირები ამას თითქოს იმთავითვე შეგუებული არიან. მათ ბედნიერების კი არა, უბედურების სჯერათ. "უბედურება სახეს არ იცვლის, ბედნიერება კი მაცდურია..." თვით სახელგანთქმული მესვირინგეს მიერ ამოტვიფრული ანგელოზებიც კი უბედურები არიან. ბედნიერი სახეების დახატვისას მესვირინგეს ხელი არ ემორჩილება. ჯონსის მაგარი ბიჭები სტაჟიანი თუ უსტაჟო მკვლელები არიან, მაგარი გოგოები - მეძავები, რომელთაც ძალიან გვიან ახსენდებათ, რომ თვითონაც ამ სამყაროს ნაწილს წარმოადგენენ... მოთხრობის მთავარი გმირი, ციხიდან სულ ახლახან გამოსული, მკვლელობებისთვის ნასამართლევი ცეზარი დიდი ხნის მერე მიხვდება იმ ჭეშმარიტებას, ერთმა მეძავმა რომ უთხრა: "ჩვენ ყველას რაღაც გვინდა ერთმანეთისგან, მისტერ. და რაც უფრო მალე მორჩებიან შენისთანები სიაბანდობას, სამყაროც უკეთესობისკენ შეიცვლება. ფლიდების გამოა ასე დამპალი. ასეთი დამყაყებული."

დანარჩენს მკითხველი თავად წაიკითხავს და განსჯის. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ სანამ ჟურნალს გადავფურცლავდი, ჩემი ყურადღება "არილის" ახალი ნომრის გარეკანმა მიიქცია. ეს გერმანელი კინორეჟისორის, **მურნაუს** მიერ გადაღებული ცნობილი ფილმის - **"ფაუსტის"** პლაკატია. მურნაუმ ეს ფილმი 1926 წელს გადაიღო.





ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:
შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

| | | |
|---|---|---|
| 1 სახელი, გვარი და მამის სახელი | 4 დაბადების თარიღი | 7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი |
| 2 მისამართი | 5 სკოლა | 8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა |
| 3 საკონტაქტო ტელეფონის ნომერი | 6 კლასი | 9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |

ყურადღება:კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი



საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



12-მდე

შენ 11 ან 12 წლის ხარ და გაქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადაცემაში "ყველაზე ჭკვიანი"?
მაშინ აუცილებლად უნდა შეიძინო გაზეთი "12-მდე", რადგან მხოლოდ ჩვენს გაზეთში იბეჭდება ამ გადაცემის მონაწილის ანკეტა!
გარდა ამისა, 12 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს გაზეთი "12-მდე" აძლევს შანსს, მონაწილეობა მიიღოს პარიზის დისნეილენდის ორი საგზურისათვის გამოცხადებულ კონკურსში, გაიმარჯვოს და ზამთრის არდადეგები დისნეის სამყაროში გაატაროს.
მაშ ასე, შეიძინე გაზეთი "12-მდე" და ხდები ზღაპრული კონკურსისა და ტელეგადაცემის მონაწილე!

ყველაზე ჭკვიანი





# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება


თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.